პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეთოთხმეტე

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცეკა-ს და ტფ. კომიტეტის და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—53, მთ. კანტორის—6—31

პარასკევი, 12 იანვარი 1934 წ. № 11 (3867)

ყრილობის დღიური

— გუშინ ყრილობის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ბ. სტურუას მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ და სარევიზიო კომისიის ანგარიში (ამხ. ნ. ლღ-შაკაას მოხსენება).

— დილის სხდომაზევე გაიხსნა კამათი მოსმენილ მოხსენებათა გარშემო. კამათში გამოვიდნენ ამხ. ზ. გოგეჩია (ტფილისი), ზაგარაძსკი (ტფილისის დეპო), ა. კააჩლია, მალანია (ფოთი), ი. იმედაძე (ლაგოდეხი).

— ყრილობის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ამხ. გიორგობიანმა (საქ. კომკავშირის ცეკა), რამიშვილმა (ლანჩხუთი), ზეინალოვმა (ბორჩალო), ს. არუთინოვმა (ტფილისი), გაბუნიამ (ზესტაფონი), გეურქოვმა (აჭარისტ.) და ბუნიატ-ზადემ.

— ფერომარგანეცის ქარხნის დამკვრელ მუშების და საინჟინერო-ტექნიკური მუშაკების ტფილისში ჩამოსულ დელეგაციის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ნიჟარაძე. ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების დამკვრელ მუშების და საინჟინერო-ტექნიკური მუშაკების დელეგაციიდან ყრილობაზე გამოვიდა ათი კაცი ტყიბულის მაღაროელების დროშით, ერთმა მათგანმა ამხ. კაციტაძემ, რომელიც ესალმება ყრილობას, მაღაროელის ფარანი გადასცა ამხ. ლ. ბერიას, როგორც ტყიბულის მაღაროების საპატიო მაღაროელს.

— ყრილობას მიესალმნენ აგრეთვე რიონჰესის დამკვრელ მუშებისა და საინჟინერო ტექნიკური მუშაკების სახელით ამხ. მახარობლიძე და გრიგორიანი.

— მუშების წარმომადგენლები შეყვანილ იქნენ ყრილობის პრეზიდიუმის შემადგენლობაში, რასაც დელეგატები ტაშით შეხვდნენ.

— ყრილობის დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ წითელი არმიის ტფილისის გარნიზონის ნაწილების წარმომადგენლებს. საბრძოლო დროშებით ჯარის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები ადიან ყრილობის ტრიბუნაზე და იკავებენ დარბაზში გასასვლელს. საინტერესო, მგრძნობიარე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. როზენბახი.

— სახელოვანი გმირული წითელი არმიის წარმომადგენელთა მისალმების საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. ფ. მახარაძე.

— შემდეგ ყრილობას მიესალმა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო პოლიტსამმართველოს სანაპირო რაზმის და ჯარების და აგრეთვე ტფილისის ნაწილების მეორე საოლქო პარტკონფერენციის დელეგაცია, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდა ყრილობა, დელეგაციის სახელით გამოვიდა ამხ. ზატულინი.

— ყრილობამ დელეგაცია გაგზავნა პარტკონფერენციის მისასალმებლად.

— საღამოს სხდომის დასასრულის წინ დარბაზში შემოდის ახალგაზრდა ლენინელ-პიონერების ტფილისის ორგანიზაციის მრავალრიცხოვანი დელეგაცია. ხალისიანი ხმებით პიონერია ესალმება ყრილობას. თავის მისალმება პიონერებმა დაამთავრეს პარტიზანული სიმღერით. დარბაზში დიდხანს ისმოდა ბოლშევიკების ტაში, რომლებიც ესალმებოდნენ მოზარდ თაობას.

საქ. კ. პ. (ბ) IX ყრილობა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში

ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენება

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) IX ყრილობაზე 1934 წლის 10 იანვარს

ამხანაგებო!

ჩვენ ვიმყოფებით სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის—ბოლშევიკების მე-17 ყრილობის მოწვევის წინ.

მე-17 ყრილობა შეაჯამებს საბჭოების ქვეყნის წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის განვითარების საქმეში. პარტიის მე-16 ყრილობის შემდეგ განვლილი 3 ნახ. წელი შევა კაცობრიობის ისტორიაში, როგორც პროლეტარიატის უდიდესი გამარჯვების პერიოდი, რომელსაც აქვს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა.

სწორედ ამ პერიოდის განმავლობაში, სოციალისტური მშენებლობის თვითეულ უბანზე პარტიის გენერალური ხაზის სწორად გატარების შედეგად, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენიალური ხელმძღვანელობით დიდი სტალინის მეთაურობით, საბჭოების ქვეყანა, რომელიც ზედიზედ აღწევდა გამარჯვებას, საბოლოოდ განმტკიცდა სოციალისტურ გზაზე, მან საბოლოოდ გადაჭრა სოციალიზმის სასარგებლოდ, კაპიტალიზმის წინააღმდეგ ლენინის მიერ დასმული კითხვა „ვინ ვის" როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

მრეწველობაში — ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში წარმატებით შესრულებამ და 1933 წლის — მე-2 ხუთწლედის პირველი წლის — მშენებლობის მიმდინარეობამ გამოიწვია ის, რომ ახლა არ მოიპოვება ისეთი მანქანა, არ მოიპოვება ისეთი საქარხნო ან ლაბორატორიული დანადგარი, რომლის აშენებაც არ შეგვეძლოს ჩვენ საკუთარი ძალებით, საკუთარ ქარხნებში, საკუთარი საბჭოთა მასალისაგან.

ჩვენმა მძიმე მრეწველობამ მიაღწია ისეთ მდგომარეობას, და ისეთ ხვედრით წონას, რომელიც უზრუნველყოფს მრეწველობის ყველა სხვა დარგის შემდგომ მძლავრ განვითარებას და მთლიანად მთელი სახალხო მეურნეობის ხელახალ ტექნიკურ შეიარაღებას. მან საშუალება მოგვცა გაგვეძლიერებინა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარი როგორც ხმელეთზე, ისე წყალსა და ჰაერში. ახლა კაპიტალიზმის ვერავითარი ძალა ვერ გაარღვევს საბჭოთა ჯავშანს.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმს საბოლოოდ გამოეთხარა ფესვები სოფლად და საბჭოთა კავშირი, კოლექტივიზაციის და სასოფლო-სამეურნეო პროცესების სწრაფად მზარდი მექანიზაციის საფუძველზე, გადაიქცა მსოფლიოში ყველაზე უფრო მსხვილ მიწათმოქმედების ქვეყნად.

იზრდება საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, გადაჭრით უმჯობესდება მისი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მდგომარეობა, იზრდებიან და მტკიცდებიან კოლმეურნეობები სოფლად და ყველას თვალწინ ხდებიან ისინი ნამდვილ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად. კოლმეურნე მტკიცე ნაბიჯით მიდის შეძლებული ცხოვრებისაკენ. კოლმეურნის შეძლებული ცხოვრება — რეალური სინამდვილეა. კოლმეურნეები უკვე ასიათასობით გადაიქცნენ შეძლებულებად.

საბჭოთა კავშირი გადაიქცა მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, მთელი მსოფლიოს მშვიდობიანობის დასაყრდენად, სწრაფი გარევოლუციონერების გზაზე მდგარი საერთაშორისო პროლეტარიატის იმედად, სიამაყედ და ციხე-სიმაგრედ.

საბჭოთა კავშირის ეს გიგანტური წარმატებანი აშკარად მოსჩანან კაპიტალისტური ეკონომიური კრიზისის ფონზე. კრიზისის, რომელიც უკვე მეხუთე წელიწადია არყევს კაპიტალისტურ მეურნეობას.

აღნიშნული წარმატებებით ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენიალურ ხელმძღვანელობას და პირადად ამხ. სტალინს, რომელსაც ურყევი ენერგიით, მესაჭის მტკიცე ხელით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებამდე (ტაში).

⁂

ამიერ-კავკასია, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირი, საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობას ხვდება დიდი სამეურნეო პოლიტიკური გამარჯვებებით.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ამიერ-კავკასიის შესახებ 1931 წელს მიღებულმა გადაწყვეტილებამ და ამხ. სტალინის პირადმა მითითებებმა, რომლებიც საფუძვლად დაედვა პარტიული ორგანიზაციების მთელ მუშაობას უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, განამტკიცეს ამიერ-კავკასიის ფედერაციის პოლიტიკური და სამეურნეო ძლიერება. ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცება მიმდინარეობდა რესპუბლიკათა განმტკიცების და მათი თვითმოქმედების და სამეურნეო ინიციატივის გაშლის საფუძველზე.

ჩვენ მივაღწიეთ მუშაობის სწორ ორგანიზაციას, როგორც სამხარეო, ისე რესპუბლიკურ ორგანოებში, ძალების განაწილებას მხარესა, რესპუბლიკებსა და რაიონებში. გამოვასწორეთ რა გლეხობის საკითხში დაშვებული შეცდომები და უზრუნველვყავით რა სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ჩვენ დავრაზმეთ მთელი პარტიული ორგანიზაცია მხარის სამეურნეო გეგმების შესასრულებლად.

მოვიყვან რამდენიმე ძირითად მაჩვენებელს, რომლებიც დამახასიათებელია ამიერ-კავკასიის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებისათვის.

1. ნავთის გეგმა 1933 წლის — 14.400 ათასი ტონას ოდენობით — შესრულებულია. პარტიის და მთავრობის დამატებითი დავალება—ამოგველო და გადაგვეზიდა ნავიგაციის შეწყვეტამდე 500 ათასი ტონა ნავთი და, ამას გარდა, — 384.000 ტონა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის დავალებით — შესრულებულია გადაჭარბებით, ე. ი. ჩვენს ქვეყანას მივეცით 15.325.500 ტონა ნავთი ანუ გეგმის 100,03 პროცენტი.

1934 წლისათვის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენ დაგვიმტკიცა გეგმა 22 მილიონი ტონას რაოდენობით, აქედან ერთი მილიონი ტონა გაზი. მარტო ეს—გეგმის გადიდება 1934 წელს 7 მილიონი ტონით უდრის ნავთის იმ ოდენობას, რომელსაც ომამდე იღებდა ბაქოს მთელი ნავთის მრეწველობა. ახალმა სარეწაოებმა უნდა მოგვცენ 1934 წლის მთელი ამოღების 45 პროცენტამდე.

1934 წლის გეგმა, როგორც თქვენ ხედავთ, დიდია, მაგრამ აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობას მოეპოვება ყველა პირობა მისი მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ნავთის გეგმა 1934 წელს ჩვენ უნდა შევასრულოთ ისე, როგორც შევასრულეთ 1933 წლის გეგმა. ნავთისათვის ბრძოლა—ეს არის ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის ყველა ბოლშევიკის ბრძოლა. ნავთისათვის ბრძოლა და გეგმის შესრულება წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ღირსების საქმეს და ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ, ბაქოს ორგანიზაცია, ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშები, საქართველოს და სომხეთის ბოლშევიკების აქტიური დახმარებით, აუცილებლად აღწევენ 1934 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

2. ელექტროფიკაცია. თუ 1931 წელს ამიერ-კავკასიის ყველა ელსადგურის სიმძლავრე 168.000 კილოვატით განისაზღვრებოდა, 1933 წელს ჩვენ მივაღწიეთ 291.000 კილოვატს. 1931 წელს გამომუშავებული იქნა 729 მილიონი კილოვატ-საათი ელექტრო-ენერგია, ხოლო 1933 წელს — 955 მილიონი კილოვატ-საათი.

ამუშავდა ამიერ-კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძლავრი ჰიდრო-სადგურის — რიონჰესის პირველი რიგი. მუშაობს ძორაჰესი, მოხდა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია. მთელი რიგი სადგურები (კანაკირჰესი, აწჰესი და სხვ.) მშენებლობის პროცესში იმყოფებიან.

მიღწევები დიდია, მაგრამ ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები ჯერ კიდევ არ არის ამოწურული. მომავალში კიდევ ბევრი მუშაობა მოგველის: ამიერ-კავკასია მდიდარია ჰიდრო-რესურსებით და მათზე მოთხოვნილება კოლოსალურია.

3. ბამბა. ამიერ-კავკასია უკვე გადაიქცა საბჭოთა კავშირის მებამბეობის მეორე ბაზად შუა აზიის შემდეგ და დაადგა იმ გზას, რომ გახდეს ეგვიპტური ჯიშის ბამბის ძირითად ბაზად.

მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა უკანასკნელ თვეებში (წვიმა, თოვლი), ბამბის დამზადების გეგმა ამიერ-კავკასიაში შესრულებულია 99,3 პროც., მოკრეფილია 146.321 ტონა. დამზადება გრძელდება და, ეჭვს გარეშე, გეგმას 100 პროცენტით შევასრულებთ.

4 ჩაი. პარტიის და მთავრობის დავალებაა მეორე ხუთწლედში „მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების ძირითადად დაკმაყოფილება ჩაის მხრივ". ამ საქმეს უკვე ჩაეყარა მტკიცე საფუძველი: ჩაის პლანტაციების ფართობმა 1933 წელს მიაღწია 33.325 ჰექტარამდე. ჩაის მწვანე ფოთოლი შეგროვებულია 3.164.000 კლგრ., ხოლო უხეში ფოთოლი — 2.285.000 კლგრ., ხმელი ჩაი მივიღეთ 1.400.000 კლგრ., ჩაის გეგმა შესრულებულია 100 პროც.,

5. თამბაქო. 1933 წელს დარგულია — 25.470 ჰექტ. სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს 14.580 ტონა, რაც შეადგენს საბჭოთა კავშირში დასამზადებელ მთელ ყვითელ თამბაქოს 28,7 პროცენტს. 1 იანვრისათვის დამზადებულია 7.723 ტონა, რაც შეადგენს გეგმის 102,0 პროცენტს (უაფხაზეთოდ).

ჩვენი თამბაქო თავის ხარისხით პირველია საბჭოთა კავშირში. აფხაზეთის თამბაქო ხარისხის მხრივ თურქეთის თამბაქოს არ ჩამოუვარდება.

6. ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობები მტკიცდება ორგანიზაციულად, მეურნეობრივად და პოლიტიკურად. შეძლებული ცხოვრება ისე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ჩვენი კოლმეურნეებისათვის რეალურ სინამდვილედ გადაიქცა. წარმოებს ბრძოლა იმისთვის, რომ თვითეული კოლმეურნე გახდეს შეძლებული და თვითეული კოლმეურნეობა — ბოლშევიკური. წარმოებს ძირითადი კულტურების —ბამბის, ჩაის და თამბაქოს გეგმიანად გაშენება საკოლმეურნეო მინდვრებზე.

როგორც ხედავთ, ამიერ-კავკასიის მეურნეობის ძირითადი დარგების მაჩვენებლები საკმაოდ კარგია.

ისინი მიღწეულია ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მედგარი ბრძოლით ცენტრალურ კომიტეტის 1931 წლის ისტორიული გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის, წარსული შეცდომების გამოსწორებისა და გლეხობის სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობის საფუძველზე.

უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ჩვენ არ გვექნებოდა ეს წარმატებანი იმ სისტემატიური დახმარების გარეშე, რომელსაც გვიწევდნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ამხ. სტალინი, რომლებიც ეცნობოდნენ ჩვენი მუშაობის დეტალებსაც კი.

⁂

ორი წლის წინად, საქართველოს კომპარტიის მე-8 ყრილობაზე, მე თქვენ მოგახსენეთ იმის შესახებ, თუ როგორ აპირებდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ცნობილი დადგენილებით ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრას.

მაშინ, მე-8 ყრილობამ მიღებულ რეზოლუციაში, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ამ გადაწყვეტილების გასატარებლად, დასახა მუშაობის დაწვრილებითი გეგმა.

ჩემს ამოცანას შეადგენს გაგაცნოთ, რა გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განვლილ ორ წელიწადში, რამდენად განახორციელა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივები და რა დაგვრჩა ჩვენ კიდევ გასაკეთებელი იმისთვის, რომ დავამთავროთ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის მე-8 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება.

რით დავიწყეთ ჩვენ მაშინ?

თქვენ გახსოვთ, რომ მემკვიდრეობას, რომელიც ჩვენ დაგვიტოვა ძველმა ხელმძღვანელობამ, არ ახასიათებდა მაინცდამაინც კარგი მაჩვენებლები.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია (ისე, როგორც მთელი ამიერ-კავკასიის ორგანიზაცია) შეპყრობილი იყო კინკლაობის, ინტრიგების და ერთმანეთისთვის ძირის გამოთხრის სენით. „ატამანშჩინა" და ჯგუფური უპრინციპო ბრძოლა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა მთელ რიგ ორგანიზაციებში.

ამ ბრძოლაში უკანა რიგში იყო მოქცეული ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის საკითხები. პოლიტიკურ შეცდომების მთელმა სერიამ, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი იყო შეცდომა გლეხობის საკითხში, შეარყია პოლიტიკური მდგომარეობა სოფლად, გამოიწვია ანტისაბჭოთა ელემენტების გავლენის გაძლიერება ღარიბ და საშუალო გლეხთა ფენებზე.

1931 წლის საგაზაფხულო თესვა ჩაიშალა.

კატასტროფულად ეცემოდა ძირითად ტექნიკურ და სპეციალურ კულტურების მოსავლიანობა, რადგან ფართობების ზრდის გამოდევნებაში სრულიად ივიწყებდენ მუშაობის ხარისხს. კოლექტივიზაციის მიმდინარეობა, რომელიც არა-საკმაოდ იყო მომზადებული, ქმნიდა სოფლად პარტიის ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიების ჩაშლის საფრთხეს.

ხელმძღვანელობის მეთოდებში ჭარბობდა „საერთოდ" და „შემთხვევიდან შემთხვევამდე" ხელმძღვანელობის სისტემა.

ეს სურათი თქვენ ყველას კარგად გახსოვთ და მე დარწმუნებული ვარ, რომ გადაჭარბებულად არ მოგეჩვენებათ.

ჩვენ მაშინ, დავიწყეთ ყველაზე მთავარით: საქართველოს პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებით, პარტიულ და სამეურნეო-საბჭოთა კადრების სწორად განაწილებით.

უაღრესად დაძაბულ და ენერგიულ მუშაობაში გამოყენებულ იქნა ყველა, ვისაც რაიმე უნარი ჰქონდა საქმიან პარტიულ მუშაობაში. კონკრეტულობა და ოპერატიულობა შეცდომების გამოსწორებისათვის ბრძოლაში გადაიქცა ჩვენი მუშაობის და ხელმძღვანელობის ერთად-ერთ მეთოდად.

მაქსიმალური ყურადღება ექცეოდა სოფლის სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფას.

და, ბოლოს, გადამწყვეტი ლახვარი ჩაეცა კლასობრივ მტერს, რომელიც იყენებდა რა წარსულ შეცდომებს, აცხოველებდა თავის კონტრრევოლუციურ მუშაობას.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის და პირადად სტალინის დახმარებით, მუშათა, კოლმეურნეთა და ყველა პატიოსან მშრომელთა ფართო მასებზე დაყრდნობით საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ მიაღწია წარმატებებს, რომელთა შესახებ ჩვენ დღეს ანგარიშს ვაბარებთ საქართველოს კომპარტიის მე-9 ყრილობას.

საქართველოს მრეწველობა

საბჭოთა კავშირსა და ა.-კ. ს. ფ. ს. რ.-ში სოციალისტური მრეწველობის საერთო ზრდასთან შეფარდებით, ინდუსტრიალიზაციის საქმეში საქართველოშიც მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს.

სახალხო მეურნეობაში მთელი მრეწველობის (ელექტროსადგურებისა და კოოპ. მრეწველობის ჩათვლით) საერთო პროდუქციის ხვედრითი წონა 1931 წ. შეადგენდა 46 პროც. ხოლო სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა —54 პროც.

1933 წელს (წინასწარი გამოანგარიშების მიხედვით) მრეწველობის ხვედრითი წონა შეადგენდა 59,8 პროც. ხოლო სოფლის მეურნეობის 40,2 პროც.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში სოფლის მეურნეობა (ტექნიკური კულტურები) წარმოადგენს უმთავრეს და ძირითად დარგს და ვითარდება უდიდესი ზომით, მრეწველობა უკვე იკავებს უპირატეს როლს.

მრეწველობის უპირატესი როლი შემდეგში კიდევ უფრო გაძლიერდება, რამდენადაც ჩვენ გვაქვს სხვადასხვა სამთო სიმდიდრენი (მარგანეცი, ნავთი, ნახშირი, რკინა, ფერადი ლითონები, დარიშხანი, ბარიტი და სხვ.). ჩვენი სამთო სიმდიდრეების შესწავლა ჩვენს წინაშე შლის სრულიად ახალ ობიექტებს (იშვიათი ლითონები — მოლიბდენი, ოქრო და სხვ.), რომელთაც უდიდესი საკავშირო მნიშვნელობა აქვთ.

სამრეწველო მშენებლობა

მთელი მრეწველობის (მძიმე, მსუბუქი, მომარაგების, სატყეო და სხვ.) მშენებლობაში ელექტროფიკაციასთან ერთად დაბანდებულია 1932 წ.—121 მლნ მანეთი, 1933 წ.—136,7 მლნ მანეთი.

ამრიგად, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მრეწველობასა და ელექტროფიკაციაზე დახარჯულმა თანხებმა შეადგინეს 257,7 მლნ მან. მაშინ როდესაც ოთხი წლის განმავლობაში, 1928 წ-დან 1931 წ-მდე (ჩათვლით), დაბანდებული იყო მხოლოდ 205 მლნ მან.

დაბანდებათა მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა მძიმე მრეწველობას და ელექტროფიკაციას. 257 მლნ მანეთიდან ორი წლის განმავლობაში ამ დარგებში დაბანდებული იქნა 167 მლნ მან.

1932—33 წლების განმავლობაში გადაცემულია საექსპლოატაციოდ:

1. რიონჰესი — სრული სიმძლავრე 48 ათასი კილოვატი. ამუშავებულია 2 ტურბინი, ხოლო ორი დანარჩენის ამუშავებას ამხ. ჯიქია (მშენებლობის უფროსი) გვპირდება ერთისას — მე-17 ყრილობისათვის, მეორისას — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დღისათვის. მშენებლობის ღირებულება 86 მლნ მანეთი (დახარჯულია 66 მლნ მან.).

2. ფერომარგანეცის ქარხანა — სრული სიმძლავრე 150 ათასი ტონა (18 ღუმელი), საამშენებლო ღირებულება (სრული)—57 მლნ მან., ამუშავებულია 1-ლი რიგის ორი ღუმელი, მესამე ღუმელი ამუშავდება იანვარში. 1-ლი რიგის დანარჩენი 3 ღუმელი — 1934 წლის დამლევს. ზესტაფონის ფერომშენადნობის ქარხანას უდიდესი საკავშირო მნიშვნელობა აქვს. მას გარდა საბჭოთა კავშირში ფერომშენადნობის მხოლოდ ორი ქარხანა არსებობს (ჩელიაბინსკის და დნეპროვსკის).

3. ნავთისსაბურღავი მოწყობილობის ქარხანა ტფილისში —მშენებლობის ღირებულება 14 მლნ მან. სიმძლავრე (სრული)—35 მლნ მან. პროდუქცია (ხოლო ცენტრალიტის მიერ მომსახურების დროს 55 მლ. მან.), რაც რამდენჯერმე აღემატება საქართველოში ამჟამად არსებული ლითონის ყველა ქარხნის მთელ პროდუქციას. ეს ქარხანა წარმოადგენს ნავთისსაბურღავი მოწყობილობის მეორე უმსხვილეს საწარმოს საბჭოთა კავშირში.

4. საშენი მასალების ხაზით —გადაცემულია საექსპლოატაციოდ რამდენიმე საწარმო, მათგან ყველაზე მსხვილია: ღრმაღელეს აგურის ქარხანა — 10 მლნ ცალი აგურის სიმძლავრის, ღირებულება 1,7 მლნ მან. და სურამის კირის ქარხანა — 10 ათასი ტონა სიმძლავრის.

5. აგარის შაქრის ქარხანა— სიმძლავრე 10 ათასი ცენტნერი დღეღამეში. დახარჯულია 12 მლნ. მან.

6. ქუთაისის საკონსერვო ქარხანა—სიმძლავრე 20 მლნ ქილა. საამშენებლო ღირებულება 6 მლნ მან. რომლიდანაც უკვე დახარჯულია 4 მლნ მანეთი.

7. ბუნებრივ საღებავთა ქარხანა ბათომში — ერთად ერთი საბჭოთა კავშირში. სიმძლავრე — 600 ტონა მაღალხარისხოვანი **საღებავები**, თუთის მერქანისა და **ბალახებისაგან** საფეიქრო **მრეწველობისათვის**. დღევანდლამდე ეს საღებავები საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა. მშენებლობის ღირებულება 1,5 მლნ მანეთი.

8. ჩაის 6 ფაბრიკა — **თითო** 500 ათას კილოგრამის სიმძლავრით (ჩოხატაურის, ხუცუბანის, შრომის, დიდიჭყონის და სხვ.).

9. მთელი რიგი აგრეგატები ბათომის ნავთის გადამუშავებელ ქარხნებში.

10. ბაზირის გზა ჭიათურაში —5 კილომეტრ სიგრძის, 610 **ათას** ტონის გამტარუნარიანობით.

11. სამკერვალო ფაბრიკა ბათომში — 15 მილიონი მანეთის პროდუქციით (სამ ცვლად მუშაობით).

გარდა ამისა, ჩატარებულია დიდი სარეკონსტრუქციო მუშაობა საქართველოს მთელ რიგ უკვე არსებულ სამრეწველო საწარმოებში.

მშენებლობის პროცესშია:

1. აჭარისწყლის ელექტროსადგური, მე-2 რიგის ზაჰესი, ტყვარჩელის თბოსადგური, სოხუმჰესი და ალაზანჰესი.

2. საქნავთი (შირაქის და მირზაანის სარეწაოები).

3. ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროები.

სრული სიმძლავრე წელიწადში ერთი მილიონი ტონა ქვანახშირის ამოღება; დახარჯულია 39 მილიონი მანეთი. ამუშავება —1934 წლის 1 აპრილს.

4. ფოლადის და თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა ავჭალაში. სრული სიმძლავრე — 45 ათასი ტონა სხმული, 22 მილიონ მანეთის პროდუქცია.

სრული ღირებულება 17 მილიონი მანეთი. პირველი რიგი (ფოლადის ჩამომსხმელი საამქრო 10 ათასი ტონა პროდუქციით) ექსპლოატაციაში შედის 1934 წლის პირველი კვარტალის დამლევს.

5. ბათომის მანქანათსაამშენებლო ქარხანა — ჩაის ფაბრიკების მოწყობილობის დასამზადებლად.

სრული სიმძლავრე —11 მილიონ მანეთის პროდუქცია. ღირებულება —5,5 მილიონი მანეთი. პირველი რიგი 3 მილიონი მანეთის პროდუქციით ექსპლოატაციაში შედის 1934 წელს.

6. გამარეცხებელი ფაბრიკა № 25 ჭიათურაში.

სიმძლავრე 150 ათასი ტონა. ღირებულება 1.950 ათასი მანეთი. ექსპლოატაციაში შედის 1934 წლის მაისში.

7. ავტოსარემონტო ქარხანა ტფილისში. —სიმძლავრე ორ ცვლაზე —1.5 ათასი მანქანის შეკეთება წელიწადში. ღირებულება 11,5 მილიონი მანეთი. ექსპლოატაციაში შედის 1934 წელს.

8. ლიტოპონის ქარხანა ქუთაისში. სიმძლავრე—12 ათასი ტონა. ქარხანას მეორე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში. მშენებლობის ღირებულება 12,5 მილიონი მანეთი. ექსპლოატაციაში შედის 1935 წელს.

9. ქიმიურ-ფარმაცევტიული ქარხანა ტფილისში. სიმძლავრე—2 მილიონ მანეთის პროდუქცია. ღირებულება 1,8 მილიონი მანეთი. მწყობრში შედის 1934 წლის მეოთხე კვარტალში.

10. ბიტონიტური საკედლე მასალების ქარხანა ტფილისში. სიმძლავრე აგურებზე გადაყვანით—ცხრა მილიონი ცალი. ღირებულება — 700 ათასი მანეთი. მწყობრში შედის 1934 წლის მეოთხე კვარტალში.

11. ფეხსაცმლის ფაბრიკა ტფილისში. სიმძლავრე 6 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი, მთლიანად მექანიზებული, ერთ-ერთი დიდ ფაბრიკათაგანი საბჭოთა კავშირში. მშენებლობის ღირებულება 11 მილიონი მანეთი. ექსპლოატაციაში შედის 1935 წელს.

12. ქუთაისის აბრეშუმის საქსოვი კომბინატი. სიმძლავრე—4 მილიონი მეტრი (2 ცვლად მუშაობით). ღირებულება 4 მილიონი მანეთი. პირველი რიგი ექსპლოატაციაში შედის 1934 წლის ივლისში.

13. სამკერვალო ფაბრიკა ტფილისში. სიმძლავრე—50 მილიონი მანეთის პროდუქცია. მშენებლობის სრული ღირებულება 3 მილიონი მანეთი; მწყობრში შედის 1934 წლის დამლევს.

14. გაერთიანებული სტამბა— სიმძლავრე—3,8 მილ. მანეთის პროდუქცია. მშენებლობის ღირებულება 2,8 მილიონი მანეთი. ექსპლოატაციაში შედის 1935 წელს.

15. ენგურის ქაღალდის ფაბრიკა. სიმძლავრე —24 ათასი ტონა ქაღალდი. მშენებლობის ღირებულება 43,5 მილიონი მანეთი, დახარჯულია 10,7 მილიონი მანეთი. ექსპლოატაციაში შედის 1935 წელს.

16. ტფილისის ქაღალდის ფაბრიკა. სიმძლავრე 3 ათასი ტონა (იმუშავებს მაკულატურაზე). ღირებულება 3,2 მილიონი მანეთი. ექსპლოატაციაში შედის 1934 წელს.

17. მაკარონის ფაბრიკა ტფილისში — სიმძლავრე 10 ათასი ტონა. ღირებულება 1,3 მილიონი მანეთი. გადაცემული იქნება საექსპლოატაციოდ 1934 წლის მეორე კვარტალში.

18. მარგარინის ქარხანა—სიმძლავრე 6 ათასი ტონა, ღირებულება 3 მილიონი მანეთი. გადაცემული იქნება საექსპლოატაციოდ 1934 წლის პირველ კვარტალში.

19. საფქვავი კომბინატი ტფილისში—დღე-ღამეში 200 ტონა ხორბლეულის გადამუშავების სიმძლავრის, მშენებლობის ღირებულება 5 მილიონი მანეთი. ნაწილობრივი ექსპლოატაცია დაიწყება 1934 წელს.

20. ჩაის ოთხ ფაბრიკა (ზუგდიდის № 2, ხობის, წალენჯიხის და მალალ-ეწერის).

მთელი ფაბრიკების საერთო ღირებულება 3.044 ათასი მანეთი. ყველა ამათი ექსპლოატაცია იწყება 1934 წლის მეორე კვარტალში.

⁂

1934 წელს მთელ მრეწველობასა და ელექტროფიკაციაში კაპიტალური დაბანდებანი გათვალისწინებულია 218 მილიონი მანეთის რაოდენობით, წინააღმდეგ 136,7 მილიონი მანეთისა, რაც დაბანდებული იქნა 1933 წელს (ზრდა უდრის 60 პროცენტს).

დაბანდებათა მნიშვნელოვანი ნაწილი 1934 წელს მოდის მრეწველობასა და ელექტროფიკაციაზე. 218 მილიონი მანეთიდან ამ დარგებზე მოდის 129 მილიონი მანეთი.

დაბანდებანი მსუბუქ მრეწველობაში გაორკეცებულია: 1933 წელს დაბანდებული იყო 12 მილიონი მანეთი, ხოლო 1934 წელს დაბანდებული იქნება 22,6 მილიონი მანეთი.

1934 წელს დაიწყება შემდეგი მსხვილი ობიექტების მშენებლობა:

1. ხრამჰესის — 80 ათასი კილოვატის სიმძლავრით.

2. მოლიბდენის სამუშაოები რაჭაში; მაღალხარისხოვანი და სპეციალური ფოლადების წარმოებისათვის გამოსაყენებელი იშვიათი ლითონის მოლიბდენის საბადო კოროში — თითქმის ერთად-ერთია საბჭოთა კავშირში თავისი სიდიდით და აქვს უდიდესი საკავშირო მნიშვნელობა. დამუშავებაზე დაბანდებული იქნება 9 მილიონი მანეთი. მიმდინარე წელს გაიშლება გაძლიერებული მშენებლობა; გადადებულია 2,5 მილიონი მანეთი. აგებული იქნება მაღაროები, გამსუფთავებელი ფაბრიკა და ჰიდროსადგური ჩებარში. 1935 წელს გადაცემული უნდა იქნეს საექსპლოატაციოდ.

3. შუშეულობის ქარხანა ქუთაისში, 24 ათასი ტონას სიმძლავრით (ანუ პირობითი ერთეულებზე გადაანგარიშებით 35 მილიონი ბოთლი).

ქარხანა გამოუშვებს საკონსერვო ტარას, ბოთლებს, სააფთიაქო ჭურჭლეულობას და სხვ. მშენებლობის მთელი ღირებულება უდრის 13 მილიონ მანეთს.

4. ჩაის სამი დიდი ფაბრიკა, 2 მილიონი კილოგრამის სიმძლავრით, თვითეული მათგანის ღირებულება უდრის 5—7 მილიონ მანეთს (ოზურგეთის, ნარაზენის და ნასაკირალის).

⁂

მთელმა მრეწველობამ 1933 წელს მოგვცა საერთო პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა 1932 წელთან შედარებით.

საერთოდ მთელ მრეწველობაში ერთი წლის განმავლობაში პროდუქცია გაიზარდა 16 პროცენტით, მძიმე მრეწველობის ხაზით — 10 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის ხაზით — 10,4 პროცენტით, კვების მრეწველობის ხაზით — 32,6 პროცენტით.

ასეთი ზრდის მიუხედავად, 1933 წლის წლიური საწარმოო გეგმები ცალკე დარგებში მთლიანად არ არის შესრულებული.

ჩამორჩენით დაამთავრეს სამეურნეო წელი ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებმა (58 პროც.), საამშენებლო მასალების მრეწველობამ (67,7 პროც.), სატყეო მრეწველობამ (64 პროც.), სამკერვალო მრეწველობამ (82,4 პროც.) მაუდის ფაბრიკებმა (78,9 პროც.), ფეხსაცმელების ფაბრიკებმა (57,4 პროც.); საკონსერვო ფაბრიკებმა (85,5 პროც.) და შაქრის მრეწველობამ (53,4 პროც.).

ჩამორჩენის მიზეზებია:

1. შრომის ორგანიზაციის უუნარობა და საწარმოებში მუშა-ძალის დამაგრება; (აქედან წარმოსდგება დიდი დენადობა).

2. სრულიად არასაკმაო ბრძოლა ტექნიკის ათვისებისა და სამუშაო დღის შემჭიდროებისათვის.

3. უშუალო ოპერატიული ხელმძღვანელობის უქონლობა ტრესტებისა და სათანადო კომისარიატების მხრივ.

4. მთელი რიგი ადგილობრივი პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების სუსტი ბრძოლა და მათი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა მეურნეობათა მიმართ.

გარღვევის მიზეზების ფრიად მკაფიო და მართებულ ანალიზს იძლევიან აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დამკვრელები, სპეციალურ მიმართვაში ისინი ამბობენ:

> ჩვენ მთელ 7 საათს როდი ვმუშაობთ, უკეთეს შემთხვევაში მუშაობას 5—5,5 საათს ვანდომებთ, ხოლო დანარჩენი იკარგება ტყუილ-უბრალოდ, ლაპარაკში, უმიზნო გაცდენაში. სამსხვილე საამქრო გაცდენების გამო თვეში საშუალოდ გვეკარგება 200 ათას მანეთამდე ღირებული 24 ათასი მეტრი ხავერდი. მთელი საამქრო რომ ცვლაში სრულ 420 წუთს ემუშაოს, რაიმე ჩამორჩენაზე ლაპარაკიც შეუძლებელი იქნებოდა.
>
> შრომის ცუდი დისციპლინა და დაუდევრობა იწვევს წუნდებული პროდუქციის გამოშვების ზრდას, რომელმაც უკანასკნელ თვეებში 10 პროცენტზე მეტს მიაღწია.
>
> რატომ ხდება ყველა ესი? უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ფაბრიკაში დღემდის არ წარმოებს გაშლილი ბრძოლა ზარმაცებთან და გამცდენებთან. ცალკე შემთხვევებში ადგილი აქვს მათ მიმართ შემარიგებლურ დამოკიდებულებასაც კი. ზარმაცი გულდამშვიდებულია და პასუხისმგებლობას არ გრძნობს. ფეხებზე კიდია, წარმოება და იწვევს გარღვევას ფაბრიკაში.
>
> ადმინისტრაცია უხეიროდ იბრძვის წარმოების სოციალისტური ორგანიზაციისათვის. სრულიად არ იყენებენ მოწინავე საწარმოთა გამოცდილებას.
>
> მუშები არ არიან მიმაგრებულნი თავიანთ დაზგებსა და კომპლექტებზე, ისინი ყოველდღე გადაყავთ ერთი ადგილიდან მეორეზე.
>
> გაუპიროვნება ფაბრიკაში დღემდის არ არის აღმოფხვრილი, გაუპიროვნებულია არა მარტო ადამიანები, არამედ ინსტრუმენტებიც. არავის აქვს თავისი მაკრატლები და ტკეცები. ხშირად ხდება მათი მისაღებად რბენა, საჭირო ხდება მათი მოძებნა. ეს „წვრილმანები" დიდ ზიანს აყენებენ წარმოებას.

ეს დახასიათება შეიძლება ითქვას, შეეფერება მრავალ ჩვენს საწარმოს, სადაც კი გარღვევას ადგილი აქვს.

ტრესტებს და საქარხნო სამმართველოებს თავისი მუშაობა მთლიანად ჯერ კიდევ არ გარდაუქმნიათ.

ისეთი ელემენტარული საკითხიც კი, როგორიცაა საწარმოო გეგმების საწარმოებამდე დროიანად მიყვანა, არ არის მოწესრიგებული.

№ 1 ტყავის ქარხანაში, როცა ეკითხებიან — როგორ სრულდება გეგმაო, თავის მხრივ კითხვას იძლევიან: რომელი გეგმა: პირველი, მეორე, მესამე თუ მეოთხე? მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა მეოთხე კვარტალში ოთხჯერ მოახერხა ქარხნის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შეცვლა.

საანგარიშო პერიოდში, ამხანაგებო, ჩვენ გავაუქმეთ მრავალი ზედმეტი რგოლი მრეწველობაში. გავაუქმეთ ლითონის ტრესტი, სამთო ტრესტი, საშენ მასალათა ტრესტი და ტყავტრესტი.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენება საქართველოს

ამ ტრესტების ლიკვიდაციით არათუ არ შეფერხებულა ქარხნების და ფაბრიკების მუშაობა, არამედ, პირიქით, ადგილი აქვს მუშაობის თვალსაჩინო გაუმჯობესებას, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ. მეტი დამოუკიდებლობის მიღების, ზედმეტი უსარგებლო მეურვეობისა და ყოველდღიური კანცელარიული გაწევ-გამოწევისაგან განთავისუფლების შემდეგ, ყოფილ ლითონტრესტის და სამთო ტრესტის საწარმოებმა საგრძნობ საწარმოო წარმატებებს მიაღწიეს.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, დონბასის შესახებ, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ მიღებულ გადაწყვეტილების საფუძველზე, უშუალოდ, კონკრეტულად მოკიდა ხელი ჭიათურის მარგანეცის, ტყვარჩელის და ტყიბულის ქვანახშირის, გუმბრინის, ბარიტის, ხე-ტყის და სხვა საკითხებს. ამის შედეგად ჩვენ გვაქვს აშკარა გარდატეხა ამ თარიღის მუშაობაში.

ბათომის ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები

საქართველოს მძიმე მრეწველობაში დიდი ადგილი უკავია ბათომის ნავთისგადამამუშავებელ ქარხნებს. რომლებიც აგებულია პირველი ხუთწლედის განმავლობაში (მშენებლობაზე დაიხარჯა 39 მილიონი მანეთი). ეს ქარხნები იძლევიან საექსპორტო პროდუქციის ფასეულ გამოხატულებაში 100 — 105 მილიონ მანეთის რაოდენობით (წლიური სიმძლავრე შეადგენს სამ მილიონ ტონა [illegible] ნავთობის გადამუშავებას).

საწარმოო გეგმების შესრულების მხრივ ბათომის ნავთისგადამამუშავებელი ქარხნები პირველ რიგებში დგას. ბათომის ნავთისგადამამუშავებელი ქარხნების ხელმძღვანელი შემადგენლობის, ინჟენერ-ტექნიკური პერსონალის და მუშების კოლექტივის ფრიად კარგი და ერთსულოვანი მუშაობის და ქარხნების მიმართ აჭარისტანის ორგანიზაციის საოლქო კომიტეტის მხრივ უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად. გადამუშავების გეგმა 1933 წელს შესრულებულია 104,7 პროც., ხოლო გამჭვირვალე პროდუქტების მიღებისა — 103 პროცენტით.

მარგანეცის მრეწველობა

საბჭოთა კავშირის მთელ რიგ მეტალურგიულ ქარხნების ამუშავებამ საგრძნობლად გაადიდა მოთხოვნილება ჭიათურის მარგანეცზე.

1932 წლის გეგმა 705 ათასი ტონას რაოდენობით (ანუ 402 ათასი ტონა სასაქონლო პროდუქცია) შესრულებული იქნა 91 პროც.

1933 წლის გეგმა 984 ათასი ტონას რაოდენობით (ანუ 600 ათასი ტონა სასაქონლო პროდუქცია) შესრულებული იქნა 89 პროც., 1932 წელთან შედარებით ზრდა უდრის 31 პროც.

ამოღების გეგმის შეუსრულებლობა 1933 წელში უნდა აიხსნას მარგანეცის ტრესტის სრულიად არადამაკმაყოფილებელი მუშაობით გასული წლის პირველ ნახევარში. ცენტრალური კომიტეტის მიერ ადგილობრივ ჩატარებულმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მარგანეცის ტრესტის ხელმძღვანელობამ ამხ. კ. მოდებაძის სახით ვერ გაიგო სოფლად შეცვლილი პირობები, ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა მარგანეცის მრეწველობის წინაშე დასმული ახალი ამოცანების შესაბამისად, თავისი ყურადღების ცენტრში ვერ დააყენა ახალი ტექნიკის და მოწყობილობის ათვისება, მუშათა დამაგრება და ამით ჩაშალა მუშაობა.

ტრესტის ხელმძღვანელობა განახლებულ იქნა და ტრესტის მმართველად დაინიშნა ამხ. ბაგრატ არუთინოვი წითელი დროშის ორდენის მქონე სტალინის სახ. სარემონტო ქარხნის ყოფ. დირექტორი, — ქარხნის, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ორთქლმავალთა სარემონტო ქარხნების სრულიად საკავშირო კონკურსში.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მ თავის გადაწყვეტილებაში დასახა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები მუშაობის გასაჯანსაღებლად.

ჩატარდა ტრესტის და მაღაროების მმართველობის მთელი სტრუქტურის რეორგანიზაცია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მიერ დონბასის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეთანხმებით. გადავისროლეთ ტფილისიდან მთელი რიგი მუშაკები აპარატის გასამტკიცებლად და მთელი რიგი შეღავათები დავაწესეთ იმ კოლმეურნეთათვის, რომლებიც მიწის ქვეშ სამუშაოდ მიდიან ჭიათურაში.

ამავე დროს გავითვალისწინეთ საკავშირო მრეწველობის გაზრდილი მოთხოვნილება მარგანეცზე და ექსპორტის გეგმის უეჭველად შესრულების აუცილებლობა. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. და საკავშირო მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის წინაშე დავსვით საკითხი მაღაროების, ქარხნების და სატრანსპორტო მეურნეობის რეკონსტრუქციის აუცილებლობის შესახებ.

ჩვენი წინადადებანი მიღებულ იქნა და 1934 წელში ამ სამუშაოთა ჩასატარებლად გადადებულია 11.5 მილიონი მანეთი.

ჭიათურის მარგანეცი გადაეცა საკავშირო წარმოებათ და უშუალოდ დაექვემდებარა საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

მარგანეცის ტრესტმა წელს უნდა მიაღწიოს მაღაროების გადაყვანას მექანიზირებულ სამთო სამუშაოებზე: საბაგირო გზების მშენებლობის მთლიანად დამთავრებას და ამუშავებას; № 25 (მეორე) გამამდიდრებელი ქარხნის მშენებლობის დამთავრებას და ამუშავებას და საავლომერაციო ფაბრიკის მშენებლობის დაწყებას.

მარგანეცის ტრესტი 1934 წელში გაცილებით უკეთესად იქნება უზრუნველყოფილი საწარმოო მანქანებით და ფინანსებით, გამაგრებულია ახალგაზრდა სპეციალისტების საუკეთესო კადრებით, მოწყობილია მუშათა მომარაგების განყოფილება და გადიდებული გეგმის (850 ათასი ტონა სასაქონლო პროდუქცია) შესრულება ჭიათურის მაღაროელების, ჭიათურის პარტიული ორგანიზაციის სასახელო საქმეა.

ტყიბულის მაღაროები

ამიერ-კავკასიის მთელი მოთხოვნილება სათბობ მასალაზე უნდა დაკმაყოფილდეს ტყიბულის მაღაროებით, ამიტომ ნახშირის ამოღების გეგმის შესრულება ცენტრალური კომიტეტის ყურადღების ცენტრში იდგა.

1933 წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში ადგილი ჰქონდა დიდ ჩამორჩენას გეგმის შესრულებაში.

დღიური ამოღება პირველ სამ კვარტალში არ აღემატებოდა გეგმის 40—50 პროცენტს.

გულგრილმა დამოკიდებულებამ უშიშროების ტექნიკის საკითხებისადმი გამოიწვია კატასტროფა მაღაროებში. რამაც კიდევ უფრო შეამცირა ამოღება.

ტყიბულის მაღაროების მუშაობის გასაუმჯობესებლად ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი — შეცვალა ხელმძღვანელობა, [illegible] მაღაროების სამმართველოს აპარატი და გააძლიერა მაღაროები სამმართველოდან საინჟინრო-ტექნიკური მუშაკების გადაყვანის გზით. შეიქმნა პირობები მუშების მისაზიდად და შესანარჩუნებლად (შეღავათები კოლმეურნეებისათვის. ხელფასის გადიდება მიწისქვეშ მომუშავე ძირითად მუშებისათვის. საბინაო მშენებლობის დაჩქარება. მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ.).

ყოველივე ამის შედეგად ჩვენ საგრძნობ გარდატეხას მივაღწიეთ მუშაობაში. უკანასკნელ დროს სადღეღამისო ამოღება ერთი-ორად გადიდდა და 1.100 ტონას მიაღწია. თუმცა წლიური გეგმა არ ყოფილა მთლიანად შესრულებული, მაგრამ ტყიბულის ქვანახშირის ყველა მომხმარებელი ძირითადად დაკმაყოფილებული იქნა.

შეფერხებას ადგილი ჰქონდა, უმთავრესად, იმის გამო, რომ მაღაროებს არ აწვდიდენ ვაგონების საკმაო რაოდენობას. 20.000 ტონამდე ქვანახშირი დღემდე არ არის გატანილი.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შევინარჩუნოთ მაღაროების მუშაობაში მიღწეული გარდატეხა, რაც შეიძლება სწრაფად აღმოვფხვრათ ჯერ კიდევ არსებული დეფექტები, მთლიანად მოვახდინოთ ქვანახშირის ამოღების მექანიზაცია (საბურღი ჩაქუჩები, ელექტრობურღები, კომპრესორები და სხვ.). ამისათვის წელს ტყიბულის მაღაროებს საკმაო სახსრები ეძლევა (4,5 მილიონი მანეთი).

ტყიბულის მაღაროები შევიდა ქვანახშირის მრეწველობის საკავშირო ტრესტის სისტემაში.

ჩვენთვის ტყიბული, სათბობი ბაზის გარდა, სხვა მნიშვნელობაც აქვს. იგი წარმოადგენს ალუმინის მრეწველობისათვის საჭირო იაფი ნედლეულის წყაროს. ტყიბულში ქვანახშირთან ერთად მოიპოვება ფიქალი, რაც წარმოადგენს საუკეთესო ნედლეულს ალუმინის მისაღებად. მოსკოვში წარმოებულმა საცდელმა მუშაობამ დაადასტურა ეს დებულება.

ამის გარდა, ტყიბულის ქვანახშირის გაზიფიკაციის ბაზაზე განზრახულია აზოტ-ტუკის დიდი კომბინატის აგება, რაც ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობას მისცემს სასუქს.

გუმბრინი და ბარიტი

სამთამადნო მრეწველობის სხვა დარგებიდან საჭიროა შევჩერდეთ გუმბრინსა და ბარიტზე, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის.

გუმბრინი — ეს არის მათეთრებელი თიხა, რომელიც საჭიროა ნავთის გადამამუშავებელ ქარხნებს ნავთის პროდუქტების გასაწმენდად. მათეთრებელი თიხა (ფლორიდინი) წინათ ჩვენ დიდი რაოდენობით შემოგვქონდა ამერიკიდან.

პროფესორმა თვალჭრელიძემ აღმოაჩინა საბჭოთა ფლორიდინის (გუმბრინის) საბადო ქუთაისის მახლობლად და საბჭოთა კავშირის მთელ მოთხოვნილებას ფარავს გუმბრინი.

მაგრამ სამთამადნო მრეწველობის ტრესტმა, რომლის ხელშიაც იყო გუმბრინი, ვერ შეძლო მისი ნორმალური ამუშავება. [illegible] გეგმა არ სრულდებოდა (ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად მიღწეული იქნა საგრძნობი გარდატეხა. წლიური გეგმა შესრულდა 23 პროც. გადაჭარბებით. წლის პირველ ნახევარში ამოღებულ იქნა 1½ ათას ტონაზე ნაკლები (მშრალი), ხოლო წლის მეორე ნახევარში ამოღებულია 30 ათას ტონაზე მეტი.

რეორგანიზაციამდე გუმბრინი შედიოდა „გუმბარიტის" ტრესტში, ხოლო იგი კი თავის მხრივ — სამთამადნო მრეწველობის ტრესტში. აღნიშნულ ტრესტების აპარატებში „მოკალათებული" იყო მრავალი ინჟენერი, ხოლო გუმბრინზე კი მარტო ერთი ტექნიკოსი მუშაობდა".

გუმბრინის ამუშაობაზე ჩვენ გადავაგზავნეთ ოთხი ინჟენერი, დაიდგა ორი ექსკავატორი და მოვახდინეთ ამოღების მექანიზაცია. შემოღებულ იქნა ამოღების აფეთქებადი წესი, რამაც 50 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება. ჩატარებულ იქნა ღონისძიებანი (მუშათა [illegible] გაუმჯობესება, საბინაო შენებლობა). შეიცვალა ხელმძღვანელობა.

გუმბრინისათვის ვიწრო ადგილს წარმოადგენს ტრანსპორტი. გასულ წელს მაგალითად, გუმბრინის გაზიდვის გასაძლიერებლად ჩვენ იძულებული ვიყავით მოგვეხდინა ათასი სატვირთო მანქანის მობილიზაცია აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებში. ამიტომ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის წინაშე [illegible] საკითხი რკინის გზის მშენებლობის შესახებ. ეს საკითხი უკვე საბოლოოდ გადაჭრილია, გადადებულია 5 მილიონი მანეთი და ჩვენ უკვე 34 წლის პირველი ნახევრის დამლევს, რათაც უნდა დაგვიჯდეს, მზად უნდა გვქონდეს რკინის გზის შტო ბროწეულა—ქუთაისი — გუმბრინი (16½ კილომეტრი).

მიმდინარე 1934 წელს ჩვენ უნდა მივცეთ საბჭოთა კავშირის ნავთის მრეწველობას 106 ათასი ტონა მშრალი გუმბრინი, რისთვისაც საჭიროა ამოღებულ იქნას 150 ათასი ტონა.

ბარიტს ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისათვის, როგორც გუმბრინს. ქუთაისის ბარიტი ერთად-ერთია საბჭოთა კავშირში თავისი მაღალი ხარისხით. საბჭოთა კავშირის ქიმიური და ალუმინის მრეწველობის მთელი საჭიროება შეიძლება დაიფაროს ქუთაისის ბარიტით თუ კარგად ჩავატარებთ გამოკვლევას, მოვახდენთ ამოღების რეკონსტრუქციას და, რაც მთავარია, თუ უზრუნველვყოფთ მას ტრანსპორტით.

ამისათვის აუცილებლად საჭიროა ახალი დაბანდებანი.

მიმდინარე წელს ბარიტის სამუშაოებზე დაბანდებული იქნება 2 მილიონამდე მანეთი,

წლის პირველ ნახევარში ამოღებულ იქნა 3,5 ათასი ტონა, ხოლო მეორე ნახევარში, ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ ზომებისა და [illegible] შედეგად, — 11.5 ათასი ტონა.

ტყვარჩელი

ტყვარჩელი წარმოადგენს საკოქსე ქვანახშირის ერთად-ერთ საბადოს ამიერ-კავკასიაში. ქვანახშირის გეოლოგიური მარაგი გამოკვლეულ ფართობებზე აღწევს 110 მილიონ ტონას, ხოლო სამრეწველო მარაგი დაახლოებით 45 მილიონ ტონას.

ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს მშენებლობა ჯერ კიდევ 1930 წ., იანვარში დაიწყო და დღემდე არ დამთავრებულა. მშენებლობის გეგმები სრულიად არადამაკმაყოფილებელი იყო. სამუშაოთა გენერალური გეგმა შედგენილ იქნა მხოლოდ 1932 წლის დეკემბერში და საწლის განმავლობაში მუშაობა მიმდინარეობდა სესკიზო პროექტით, რომელიც ნაწილობრივ შეცდომებით იყო შედგენილი. გაცემულ სახსრების მეტი წილი დახარჯული [illegible] მშენებლობას (მუშათა საცხოვრებელი კვეხანში, სააბაზანო და სხვ.) მოხმარდა. თვით საშახტო მშენებლობა მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

1933 წლის აპრილში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შეცვალა ძველი როგორც პარტიული, ისე სამეურნეო ხელმძღვანელობა, რომელმაც ვერ მოახერხა უზრუნველეყო მუშაობის სათანადო გეგმა და ტემპები.

საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის წინაშე დასმულ იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ გამოგზავნილი ყოფილიყო ავტორიტეტული კომისია ტყვარჩელის მდგომარეობის გამოსაკვლევად, მთელი რიგი ტექნიკური საკითხების ადგილობრივ გადასაჭრელად და მშენებლობისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად.

გასული წლის ივლისში, მოსკოვიდან ჩამოსულ „გლავუგოლი"-ის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ფინკელშტეინთან და აფხაზეთის ორგანიზაციასთან ერთად, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დეტალურად გამოიკვლია და შეისწავლა საბადოს მდგომარეობა და დასახა კონკრეტული ღონისძიებები მდგომარეობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

გადაისინჯა და გამტკიცებულ იქნა ტყვარჩელმშენის მუშაკთა შემადგენლობა. მშენებლობის მასალებისა და მოწყობილობის მიწოდების, ხოლო მუშების [illegible] და სამრეწველო საქონლით მომარაგების საკითხები მკაფიოდ და პრაქტიკულად გადაიჭრა.

ტყვარჩელის საკითხის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე დასმის შედეგად, საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა მიიღო ზომები იმისათვის, რომ საკავშირო ქარხნებს დაეჩქარებინათ ტყვარჩელმშენისათვის აუცილებელი და დიდი ხნის წინათ დაკვეთილი მოწყობილობისა და მასალების დამზადება და გამოგზავნა.

გადაიჭრა აგრეთვე საკითხი ტყვარჩელში მძლავრი 48 ათასი კილოვატიანი თბოელექტროცენტრალის აშენების შესახებ. ამჟამად სამადნეს მშენებლობის სამუშაოები გვარიანად მიმდინარეობს.

შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ სამადნე ექსპლოატაციაში შევა დანიშნულ ვადაზე — მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დამლევს და 1934 წელს მისცემს ჩვენს ქვეყანას გეგმით გათვალისწინებულ 175 ათას ტონა ქვანახშირს. სამადნეს საერთო ღირებულება 60—62 მილიონ მანეთი, აქედან უკვე დახარჯულია 39 მილიონ მანეთზე მეტი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა და მშენებლობის უფროსმა ამხ. ხვედელიძემ ყველა მუშაკებთან ერთად 1934 წლის ძირითად ამოცანად უნდა დაისახონ, მოაგვარონ სამადნეში მუშაობა ისე, რომ შემდეგში სწრაფად აითვისონ სამადნეს სრული წლიური საპროექტო სიმძლავრე — 1 მილიონი ტონა.

საქნავთი

განვახორციელებდით რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის მე-8 ყრილობის გადაწყვეტილებებს, ჩვენ ამ ორი წლის განმავლობაში მივაღწიეთ ნავთის სამუშაოებში საგრძნობ გაშლას.

1933 წელს ჩვენ საქართველოს ნავთის მრეწველობაში დავაბანდეთ 15 მილიონი მანეთი, ნაცვლად 6.100 ათასი მანეთისა 1932 წელს და 5.450 ათასი მანეთისა 1931 წელს.

ამჟამად საქართველოში ნავთის საძიებელი მუშაობა ღრმა ბურღვით წარმოებს რვა რაიონში, სახელდობრ: მირზაანში, მარტყოფში, შირაქში, [illegible] ხევში, ტარიბანში, ნაოხვამში, გურიაში და სხვ. მუშაობის დაწყების დღიდან, ე. ი. 1930 წლიდან საქნავთმა გაბურღა სულ 36.350 მეტრი, აქედან:

1931 წელს—6.500 მეტრი, დადგმულია 11 ჭაბურღილი, დამთავრებულია [illegible]. 1932 წელს—12.150 მეტრი, დადგმულია 16 ჭაბურღილი, დამთავრებულია 10. 1933 წელს — 14.000 მეტრი, დადგმულია 33 ჭაბურღილი. დამთავრებულია 8.

საქნავთის სამუშაოების გაშლა დაკავშირებული იყო დიდ სიძნელეებთან.

რაიონებში, სადაც წარმოებს მუშაობა, არ იყო გზები, წყალი, ელექტროენერგია, ბინები. მოგვიხდა ყოველივე ამის ახლად აგება, სრულიად ახალი ადგილების ათვისება. შირაქში მოეწყო წყალმომარაგების ქსელი, გაყვანილია ოთხი წყალსადენი სიგრძით 30 კილომეტრამდე, რაც დაჯდა 2 მილიონ მანეთი. ამით ძირითადად გადაჭრილ იქნა სარეწაოების წყლით მომარაგების პრობლემა.

ჩატარებულია მუშაობა საგზაო მშენებლობის დარგში, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სარეწაოები დაშორებულია რკინისგზის ხაზს. თუ 1931 წელს საგზაო მშენებლობაზე დაიხარჯა 150 ათასი მანეთი, 1932 წელს უკვე დავხარჯეთ 500 ათასი მანეთი, ხოლო 1933 წელს 800 ათასი მანეთი.

საგრძნობლად განვითარდა საბინაო მშენებლობა. თუ 1932 წელს სარეწაოებზე ჩვენ გვქონდა 3.700 მეტრი საბინაო ფართობი, 1933 წლის დამლევისათვის ჩვენ უკვე გვაქვს 13.000 მეტრი.

სარეწაოებზე აქამდის მტკივნეულ ადგილს წარმოადგენს ელექტროენერგიის უქონლობა. ძრავები, რომლებიც ჩვენ აქ გვაქვს, მცირესიმძლავრიანი და, უმეტეს შემთხვევაში, გაცვეთილი, რის გამო სისტემატიურად ხდება ავარიები და ჩერდება ბურღვის სამუშაოები. სარეწაოების ელექტროფიკაცია გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამ მიმართულებით ვაწარმოებთ მუშაობას. ალაზანის - შირაქის ელექტრო-გადამცემი ხაზის გაყვანა თავდება და იგი უახლოეს მომავალში გადაცემულ იქნება საექსპლოატაციოდ.

სარეწაოებზე თვალსაჩინო [illegible] გვაქვს აგრეთვე მოწყობილობის [illegible] მომარაგების გამო. ჩვენ ჯერჯერობით არ შეგვიძლია სავსებით უზრუნველვყოთ საქნავთი საჭირო მოწყობილობით და მასალებით, რადგან ისინი პირველ რიგში იგზავნება აზნავთისა, გროზნავთისა და სხვებისათვის.

მაგრამ, ამხ. სერგო ორჯონიკიძე დაგვპირდა, რომ შემდეგშიაც დახმარებას გაგვიწევს ამ საქმეში; გარდა ამისა, ჩვენ დიდ დახმარებას მოველით აგრეთვე აზნავთის მხრივ; დარწმუნებული ვარ, რომ აზნავთის ხელმძღვანელობა—ამხ. პოლონსკი და სხვები მტკიცედ დაუჭერენ მხარს საქართველოს ნავთის ნორჩ მრეწველობას.

ამავე დროს, სამუშაოების ჩამორჩენის მრავალრიცხოვან დეფექტებს შორის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომელსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს სარეწაოებზე, წარმოადგენს [illegible] და მუშათა კვალიფიციური კადრების უქონლობა, ბურღვაში და ექსპლოატაციაში საკმაო [illegible] უქონლობა.

საქნავთის მუშაობის გასაძლიერებლად ჩვენ გადავიყვანეთ იქ რამდენიმე ახალგაზრდა ენერგიული მუშაკი: ამხ. გაბრიჩიძე, რომელიც [illegible] ამხ. პერუშინი — მირზაანის სარეწაოს დირექტორად, წიფურია [illegible] და სხვ. გარდა ამისა, ჩვენ ტრესტის სპეციალისტები და მუშაკები ცენტრალური აპარატიდან გადავიყვანეთ სარეწაოებზე. [illegible] კვალიფიციური მუშათა კადრების [illegible] კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოახდინა 15 [illegible] — უჯრედთა მდივნების და სხვ. [illegible] საუკეთესო დამკვრელების [illegible].

საქნავთს უზარმაზარი მუშაობა მოელის. კერძოდ 1934 წელს ჩვენ უნდა გავაჩაღოთ მირზაანის სარეწაოების სამრეწველო ექსპლოატაცია და მოვამზადოთ სარეწაოები ექსპლოატაციისათვის [illegible]-შირაქში, გავბურღოთ 22.000 მეტრი, ამოვიღოთ 50.000 ტონა ნავთი. მოვახდინოთ სარეწაოს ელექტროფიკაცია.

ყველაფერი ეს ძალიან დიდ დაძაბულობას მოითხოვს. ამხ. ჟღენტი—საქნავთის ხელმძღვანელი, კარგი ორგანიზატორი, [illegible] მუშაობის გაშლისათვის [illegible] მაგრამ მუშაობის შემდგომი გაშლისათვის ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ [illegible] საქნავთის [illegible], რომელიც შესძლებს საქართველოს ნავთის მრეწველობის განვითარებისათვის უფრო სწრაფი ტემპების უზრუნველყოფას.

ელექტრომშენებლობა

როგორც მრეწველობის, ისე მთელი სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული ბაზის გაფართოების საკითხებს ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი ეჭირა. ც. კ.-ტი სისტემატიურად მუშაობდა ელექტროსადგურების—რიონჰესის, II რიგის ზაჰესის, აწჰესის, ტყვარჩელის თბოსადგურის, ალაზანჰესის და სხვ. მშენებლობის საკითხებზე.

რიონჰესი (48 ათ. კილოვ. სიმძლავრისა)—ექსპლოატაციაში გაშვებულია IV კვარტალში (ორი ტურბინი). მესამე ტურბინი ამუშავებულ იქნება ყრილობისთვის, ხოლო მეოთხე, როგორც ამხ. ჯიქია გვპირდება, ამუშავდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღის, 25 თებერვლისთვის.

რიონჰესი ჩვენ შეგვეძლო აგვეშენებინა ორი წლის წინათ. მშენებლობა, რომელიც უზრუნველყოფილ იქნა საკავშირო მძიმე მრეწველობის სახკომისარიატის მიერ ყოველგვარი საჭირო მასალით, მოწყობილობით და ფინანსირებით, უსაზღვროდ გაჭიანურდა (შენება დაიწყო 28 წლიდან), რამაც ძალიან გააძვირა სადგურის მშენებლობა. ცენტრალურმა კომიტეტმა საკავშირო მძიმე მრეწველობის სახკომისარიატთან შეთანხმებით განაახლა მშენებლობის ხელმძღვანელობა და მის სათავეში ჩააყენა ამხ. ჯიქია, ენერგიული და მცოდნე მუშაკი, რომელმაც დიდი გამოცდილება მიიღო ვოლხოვშენზე მუშაობის პერიოდში.

და დამახასიათებელია, რომ მთელი 4 წლის განმავლობაში (32 წლამდე) ჩატარებულ იქნა კლდის სამუშაოები 352 ათ. კუბ. მეტრი, ხოლო უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში (32—33 წ.) 200 ათ. კუბ. მეტრი. ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოები 4 წელში შესრულებულ იქნა—96 ათ. კუბ. მეტრი, ხოლო უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში—82 ათ. კუბ. მეტრი. გვირაბს სადღეღამისო გათხრა უდრიდა 1 მეტრს, ახალი ხელმძღვანელობის დროს კი 4 მეტრს. გვირაბი № 1, სიგრძით 1,5 კილომეტრი, გაჰყავდათ 2 წ. და 6 თვეს, ხოლო გვირაბი № 3 ამავე სიგრძისა, ახალი ხელმძღვანელობის დროს — გაიყვანეს 1 წელიწადსა და 2 თვეში.

II რიგის ზაჰესი — 25 ათ. კილოვ. სიმძლავრისა მთავრდება და ექსპლოატაციაში გაიშვება: 1 აგრეგატი იანვრის დამლევს, ხოლო მეორე—II კვარტალის ბოლოს, როგორც გვარწმუნებს მშენებლობის უფროსი ინჟენერი ამხ. გაბრიჩიძე. სანამ აქ ამხ. გაბრიჩიძე არ გავგზავნეთ, მშენებლობის ტემპები აქაც მეტად არადამაკმაყოფილებელი იყო.

გარდა ამისა, შენდება აწჰესი—16 ათ. კილოვ. სიმძლავრისა. მშენებლობაში დამთავრებულია ყველაზე მეტად შრომის ტევადი და რთული სამუშაოები (გვირაბების გაყვანა, ქვაბულის თხრა კაშხალისთვის, გენერალური შენობის საძირკვლის ჩაყრა და სხვა). 35 წლის პირველ კვარტალში აწჰესი ექსპლოატაციაში უნდა იქნას გაშვებული. აწჰესის მშენებლობის მსვლელობის ისტორია თქვენ კარგად იცით—ეს მშენებლობა 9 წელს გრძელდება ხარვეზებით. მუშაობის სწრაფი ტემპებით და ვადაზე სადგურის დამთავრებით ახალმა ხელმძღვანელობამ (ინჟენერი ამხ. ქორიძე) და მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ ძალთა კოლექტივმა უნდა გამოასწორონ საქმეში თავისი წინამორბედების დანაშაულებრივ-დაუდევარი დამოკიდებულების შედეგები.

ალაზანჰესის მშენებლობა — 4,8 ათ. კილოვ. სიმძლავრისა ძალიან გაჭიანურდა. 1 ნახევარ წლის მაგივრად იგი შენდება მეოთხე წელიწადია იმის გამო, რომ ა.-კავკასიის ენერგეტიკული სამმართველო სრულიად უყურადღებოდ ეპყრობოდა მას (მასალის მიწოდების მხრით მნიშვნელოვანი შეფერხება); ეს მიზეზები არ მოსპობილა, რაც აფერხებს მშენებლობის მსვლელობას. ვფიქრობ, რომ ინჟენერი ჯანელიძე, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მშენებლობას, შესძლებს გააძლიეროს მუშაობის ტემპები, და ვინაიდან ალაზანჰესი ფრიად აუცილებელია საქნავთისთვის, რომელსაც იგი დაექვემდებარება—ამ სადგურის ექსპლოატაციაში გაშვება საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ ბურღვა. ამუშავების ვადად ნავარაუდევია 1934 წლის მაისი.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება ტყვარჩელის თბოსადგურს 48 ათას კილოვატის სიმძლავრით. იგი დაფარავს ენერგიის იმ დეფიციტს, რომელიც იქმნება ზამთრის თვეებში, როცა რიონჰესი და ზაჰესი გამომუშავების მინიმუმს იძლევიან.

ტყვარჩელის რაიონული ჰიდროჰესის პირველი აგრეგატი, 24 ათასი კილოვატის სიმძლავრით, უნდა ამუშავდეს 1935 წლის დამდეგს.

ელექტროსადგურების მშენებლობის პარალელურად, წარმოებს ელექტროგადაცემის ხაზების მშენებლობა რიონჰეს-ზაჰეს-აწჰესის და ტყვარჩელის თბოსადგურის შესაერთებლად.

ჩვენი ენერგეტიკული მეურნეობის უდიდესი ზრდის მიუხედავად, ჩვენ უახლოეს წლებში, მომხმარებელთა (მრეწველობა, ტრანსპორტი) ზრდის გამო, გვექნება მწვავე დეფიციტი ელექტროენერგიის მხრივ.

გარდა ამისა, ჩვენ სრულიად არავართ უზრუნველყოფილი სარეზერვო სიმძლავრით.

ამიტომ ელექტრომშენებლობის დარგში ჩვენს წინაში შემდეგი ამოცანები დგას:

1. დავაჩქაროთ მშენებლობის პროცესში მყოფი ელექტროსადგურების დამთავრება.
2. წელსვე დავიწყოთ და დავაჩქაროთ ხრამის ჰიდრო ცენტრალის მშენებლობა.

1934 წელში ხრამჰესის მშენებლობის გაშლისათვის საჭირო სახსრები უკვე გადადებულია. ხრამჰესის მშენებლობაზე რიონჰესიდან გადაგვყავს ამხ. ჯიქია და მასთან ერთად მშენებელთა მთელი კოლექტივი, რომელსაც უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება აქვს დაგროვილი. ამით ჩვენ უნდა ვუზრუნველყოთ ხრამჰესის მშენებლობის ნამდვილი დაკვრითი მსვლელობა, რომ მაქსიმალურად შევამოკლოთ მშენებლობის ვადა.

3. აუცილებელია 1934 წელს ტფილისში ავაგოთ 12 ათასი კილოვატის სიმძლავრის თბოსადგური, რომ ვუზრუნველყოთ ტფილისის საწარმოების და მოსახლეობის ნორმალური მომარაგება ელექტროენერგიით.

დაბოლოს. საჭიროა სასწრაფო წესით ვაწარმოოთ კვლევა-ძიება და ჰიდროსადგურის დაპროექტება რიონზე (უშუალოდ ქუთაისის ზევით. ჰუმა-ნამახვანი), 90—100 ათასი კილოვატის სიმძლავრის და მივაღწიოთ მისი მშენებლობის დაწყებას 1935 წელს.

მანქანათმშენებელი მრეწველობა

გადავდივარ ჩვენს მანქანათმშენებელ მრეწველობაზე. როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლების ხაზით საწარმოო გეგმის შესრულების მხრივ მანქანათმშენებელ ქარხნებს (26 კომუნარის სახ. ქარხანა. ორჯონიკიძის სახ. ქარხანა, კალინინის სახ. ქარხანა და სხვ.) საქართველოს მრეწველობაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია.

წვრილ, ნახევრად კუსტარულ სარემონტო სახელოსნოებიდან ისინი გადაიზარდნენ მსხვილ მანქანათმშენებელ ქარხნებად, სადაც მზადდება ისეთი მანქანები და მოწყობილობა, რომლებიც მანამდე საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა.

26 კომუნარის სახ. ქარხანამ აითვისა მოწყობილობის წარმოება ჩაის მრეწველობისათვის (ორმაგი და სამმაგი მოქმედების როლერები, ჩაის სახმობი მანქანები, დამახარისხებელი, ჩაის საჭრელი და სხვ. მანქანები), აბრეშუმის და [illegible] მრეწველობისათვის (აბრეშუმის ძაფსახვევი დაზგები, შპულობის, ძაფსახვევი და ბობინაჟის მანქანები).

ორჯონიკიძის სახ. ქარხანამ აითვისა რთული მოწყობილობის წარმოება მეღვინეობისათვის (წნეხები [illegible] „მობილი" საკუპაჟო დოლები და სხვა მოწყობილობა, რომლებიც ადრე მხოლოდ საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა). ეს ქარხანა ერთად-ერთია საბჭოთა კავშირში ამ სახის მანქანების დამზადების მხრივ.

კალინინის სახ. ქარხანამ აითვისა ელექტროსაზომი ხელსაწყოების, [illegible] აპარატების და სხვ. წარმოება.

ლითონის კონსტრუქციების ქარხანა სპეციალიზირდებოდა რკინის რთული კონსტრუქციების დამზადებაზე გადასაცემი ხაზებისათვის, სხვადასხვა ნაგებობებზე ჰიდროსადგურებისათვის (ფარები, ანგარები და სხვ.).

ტფილისის შედარებით პატარა ქარხნები არ ჩამორჩენ საბჭოთა კავშირის სამანქანათმშენებლო მრეწველობის წარმატებებს და გაათავისუფლეს კავშირი აღნიშნული მანქანებისა და დაზგების იმპორტისაგან.

ჩვენი ტფილისის ლითონის ქარხნების ეს გამარჯვება — მუშათა მთელი კოლექტივისა და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის ბრძოლის შედეგია.

„26 კომუნარის" სახ. ქარხანა, ორჯონიკიძის სახ. ქარხანა და კალინინის სახ. ქარხანა — წარმოადგენენ ჩვენში საქართველოს ყველა დანარჩენ ქარხნებისა და საწარმოთა [illegible]. ყველა ამ ქარხანამ წლიური საწარმოო გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა; მიაღწია თვითღირებულების [illegible] (კალინინის სახ. ქარხანამ 25 პროცენტით. ორჯონიკიძის სახ. ქარხანამ — 21 პროცენტით და სხვ.).

ამ ქარხნებში პირველად იქნა გამოყენებული მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე ქარხნების გამოცდილება ტექნიკური საწარმოო [illegible] დანერგვის დარგში, საწარმოო პროცესების [illegible] ორგანიზაციის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს.

შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში ტექნიკურმა საწარმოო-საფინანსო გეგმამ მოგვცა დიდი [illegible] შრომის ნაყოფიერების აწევას, თვითღირებულების შემცირების და [illegible] დღის შემცირების [illegible].

მსუბუქი მრეწველობა

მსუბუქი მრეწველობის წინაშე პარტია ამჟამად აყენებს უდიდესი მნიშვნელობის ამოცანას — „ყოველმხრივ დაკმაყოფილებულ იქნას მუშათა და კოლმეურნეთა სწრაფად მზარდი მოთხოვნილებანი".

ამხ. სტალინის ლოზუნგის — გავაქციოთ ყველა კოლმეურნე შეძლებულად — განხორციელებისათვის ბრძოლა მოითხოვს მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის გამოშვების ყოველმხრივ დაჩქარებას.

ამასთან შეთანხმებით [illegible] საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშაობის გარდაქმნა.

თუმცა ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩვენმა მსუბუქმა მრეწველობამ მოგვცა პროდუქციის ზრდა (1931 წ. მსუბუქი მრეწველობის საერთო პროდუქცია შეადგენდა 73 მლნ მანეთს, ხოლო 1933 წ. —85 მლნ მანეთს), მაგრამ მისი მუშაობა ჯერ კიდევ მაინც ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი.

1933 წ., [illegible] შედეგად მან დააკლო [illegible] 16 მლნ მანეთის პროდუქცია (მაუდი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და სხვ.).

განსაკუთრებით [illegible] სამკერვალო მრეწველობამ: 48,5 მლნ მანეთის პროდუქციის ნაცვლად მან 1933 წ. გამოუშვა 40 მლნ მან. პროდუქცია. [illegible] არ წარმოადგენს ისეთი ობიექტიური მიზეზების შედეგს, როგორიცაა ნედლეულის ნაკლებობა და სხვ. (ნედლეული საკმაო რაოდენობით იყო), არამედ მთლიანად მუშაობის ცუდი ორგანიზაციითაა გამოწვეული.

სამკერვალო მანქანებზე კონვეერებისა და აგრეგატების გაცდენა მეტად დიდია. დიდია მუშათა დენადობა: სამკერვალო ქარხანა № 1-მა პირველი სამი კვარტალის განმავლობაში სამუშაოზე მიღებულ იქნა 670 კაცი და 670 კაცმა დასტოვა ფაბრიკა.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აქვს წუნი საქ. სამკერვალო ტრესტს. მეტისმეტად არაკეთილხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების კონკრეტული მაგალითები ახასიათებს [illegible] - დაუდევარ დამოკიდებულებას დეფიციტური ნედლეულის ხარჯვისა და მომხმარებლის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისადმი, მაგალითად, 8 აგვისტოს აქტის თანახმად, ქალის 260 შემოწმებული კაბიდან 56 შეკერილია პირუკუღმა, 50 უქამროთ და 65 ირიბქობიანი.

4 აგვისტოს აქტში აღნიშნულია, რომ ქალის პალტოების მნიშვნელოვან რაოდენობას კიდეები გამრუდებული აქვს, სახელოები უსწორმასწოროდ მიკერებული, კიდეების ბოლოები გარეთ გამოზიდული და სხვ.

ამის შედეგად მხოლოდ „სოიუზშვეისბიტის" მიერ ა. წ. 9 თვის განმავლობაში წუნდებულია საქ. სამკერვალო ტრესტის 600 ათასი მანეთის პროდუქცია.

სხვა საწარმოებშიც აგრეთვე არასაკმაოდ წარმოებს ბრძოლა პროდუქციის ხარისხისათვის.

თითქმის ყველგან ადგილი ჰქონდა წუნდებული პროდუქციის პროცენტის ზრდას 1933 წელში 1932 წელთან შედარებით.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის არსებულ საწარმოთა სიმძლავრე ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გამოყენებული.

ტფილისის მაუდის ფაბრიკის სიმძლავრე ორცვლიან მუშაობის დროს უდრის ერთ მილიონ 30 ათას მეტრს, ფაქტიურად კი ფაბრიკა იძლევა არა უმეტეს 870 ათასი მეტრისა.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის სიმძლავრეა 308 ათასი მეტრი, ფაქტიურად კი წელიწადში უშვებენ არა უმეტეს 200 ათასი მეტრისა.

ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის სიმძლავრეა 2 მილიონი მეტრი, ფაქტიურად გამომუშავება არ აღემატება 1.5 მილიონ მეტრს.

ამრიგად, შეიძლება პროდუქციის მნიშვნელოვანი გადიდება საწარმოების გაფართოებისათვის განსაკუთრებული ხარჯების გაწევის გარეშე.

ყველანი ჩვენ სუსტ ყურადღებას ვაქცევდით მსუბუქი მრეწველობის მუშაობის მსხვილი დეფექტების გამოსწორებას.

1934 წელი უნდა გახდეს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის გადამწყვეტი გარდატეხის და ამ დეფექტების აღმოფხვრის წლად.

სატყეო მრეწველობა

ეხლა ტყის შესახებ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებიდანვე სატყეო მრეწველობა მუშაობის ყველაზე მივიწყებული დარგი იყო, თუმცა ჩვენი ტყეები მაღალხარისხოვან მასალას იძლევიან საავიაციო და საავტომობილო მრეწველობისათვის.

უდიდესი დავალიანება გლეხებისა და საქარხნო მუშებისადმი, რომელიც ერთი წლიდან მეორეში გადადიოდა; ნთქავდა ყველა ახალ ასიგნობებს სატყეო ორგანიზაციების უმსგავსო დანაშაულებრივი მუშაობის გამო.

სატყეო ორგანიზაციების აპარატი დანაგვიანებული იყო უცხო ელემენტებით და სისხლის სამართლის დამნაშავეებით.

ახალი საწარმოთა დაპროექტება და მშენებლობა უწესრიგოთ და მოუფიქრებლად წარმოებდა. ასე, მაგალითად, მარელისის ფაბრიკა და მცხეთის ხე-ტყის სახერხი ქარხანა აგებულია მათთვის საჭირო ხე-ტყის მასივებისაგან დაშორებით. ყარამანლარის საბაგირო გზა, რომელზედაც დიდძალი თანხა დაიხარჯა, უზრუნველყოფილი არ არის ხე-ტყით. ინგურის ქაღალდმშენი შენდება ზუგდიდის ახლოს, ამის მაგივრად, რომ აგებული იქნას ჯვარში, ნედლეულთან ახლოს. ეხლა საჭირო ხდება სპეციალური გზის გაყვანა ჯვარიდან მასალების გადმოსაზიდათ.

ამის შედეგად გეგმები სისტემატიურად არ სრულდებოდა, დამზადებული ხე-ტყის თვითღირებულება კი იზრდებოდა.

1932 წლის გეგმა ხე-ტყის გამოზიდვის დარგში შესრულებულია 56 პროცენტით, 1933 წლის გეგმა კი — 74 პროც.

წიწვიანი ჯიშის დახერხილი მასალის თვითღირებულება 1933 წელში, 1931 წელთან შედარებით, გაიზარდა 100,8 პროც., წიფელის მასალის თვითღირებულება — 32,2 პროც., მუხის — 179,4 პროც.

ასეთი უმსგავსო მდგომარეობის ძირითადი მიზეზი, გარდა საქართველოს სატყეო მეურნეობის მთელ რიგ სპეციალურ პირობებისა (სატყეო აგარაკების დაქსაქსულობა, მათი დაშორება რკინისგზიდან, ხე-ტყის საზიდი გზების და საკუთარი ტრანსპორტის თითქმის სრულიად უქონლობა) მდგომარეობდა არა საკმაო ყურადღებაში, რომელიც ექცეოდა ხე-ტყის მრეწველობას როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ორგანიზაციების მხრიდან. ამას გარდა, სატყეო მეურნეობას დიდი ზიანი მიაყენა მავნებლობამ, რომელზედაც მე ქვევით ვილაპარაკებ.

1933 წლის ივლისში ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მტკიცედ მოკიდეს ხელი ხე-ტყის საქმეს. საკითხი დაისვა მოსკოვში. ამის შედეგად საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს [illegible] კომისიამ ამიერ-კავკასიის, და [illegible] საქართველოს სატყეო მეურნეობის მდგომარეობა [illegible] წლის [illegible] სატყეო მეურნეობის [illegible]

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

კომუნისტური პარტიის (ბ) IX ყრილობაზე 1934 წ. 10 იანვარს

კვლევა საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ლობოვის და მისი მოადგილის ამხ. ალბერტის უშუალო მონაწილეობით, საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარო კომიტეტმა და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ. დასახეს ღონისძიებები მდგომარეობის გადაჭრით გამოსასწორებლად.

პირველად მრავალი წლის მანძილზე ამიერ-კავკასიის ხე-ტყის საქმის სერიოზულად მოკიდეს ხელი არა მარტო ადგილობრივმა, არამედ საკავშირო ორგანიზაციებმაც.

ჩატარდა მთელი სატყეო აპარატის წმენდა და შემცირება. 10 პროცენტით გადიდებული იქნა პარტიულ-კომკავშირული ფენა სატყეო მუშაკთა შორის. ჩატარდა სატყეო - სამრეწველო მეურნეობათა რეორგანიზაცია. სატყეო ტრესტს გადაეცა ავტომანქანები და თანხები საბაგირო ტრანსპორტის შესაძენად. საბრუნავი თანხები გადიდებული იქნა.

ამის შედეგად, საქართველოს მთელი პარტორგანიზაციის დახმარებით, რომელიც მობილიზებული იქნა ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ, სატყეო სამრეწველო მეურნეობის და ქარხნების მუშაობაში მეოთხე კვარტალში მოხდა გარდატეხა. 1933 წელი ჩვენ დავამთავრეთ ბევრად უფრო უკეთესად, ვინემ 1932 წელი.

გეგმები 1934 წლისათვის შემუშავებული და დამტკიცებულია სატყეო ტრესტის რეალურ შესაძლებლობათა შეფარდებით. კაპიტალური დაბანდებანი ოთრის 14.120 ათას მანეთის ნაცვლად 4.200 ათასი მანეთისა 1933 წელს.

ავტოტრანსპორტი გადიდებული იქნება 60 მანქანით. ზოგიერთი ქარხნები (ზუგდიდის, მცხეთის და სხვ.) გადაკეთებული იქნება.

ერთი სიტყვით — მუშაობის პირობები 1934 წელს იმდენად გაუმჯობესებული იქნება, რომ გეგმების წარმატებით შესრულება მთლიანად დამოკიდებული იქნება თვით სატყეო სამრეწველო მეურნეობათა მუშაობისაგან, და აგრეთვე რაიონული პარტიული ორგანიზაციებისაგან. რაიონულმა კომიტეტებმა მტკიცედ უნდა მოკიდონ ხელი ტყის საკითხს. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ რაიონების მიერ ხე-ტყის მრეწველობის გეგმების სისტემატიური შესრულება წლის დასაწყისიდან, თავიდან აგვაცილებს ჩვენ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა წევა-გლეჯას სოფლის მეურნეობის დარგში მათი დაძაბული მუშაობის სეზონში.

მაქსიმალური ყურადღება უნდა მიიქცეს აგრეთვე საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის გატარებისას, დეკრეტის სატყეო სამრეწველო მეურნეობების მიერ კოლმეურნეობებთან სამეურნეო ხელშეკრულებების დადების შესახებ და სატყეო სამუშაოებში ერთპიროვნულ მეურნეთა გეგმიან ჩაბმას.

მომარაგების კომისარიატის მრეწველობა

1933 წელს მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწველობამ შედეგად ახალი საწარმოების ამუშავებისა, რომელთა შესახებ მე უკვე ვილაპარაკე მოხსენების დასაწყისში მოგვცა პროდუქციის ზრდა 39 პროცენტით (1932 წელს 44,5 მილიონი მანეთი, 1933 წელს — 61 მილიონი მანეთი), მაგრამ მუშაობის ხარისხი ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის უკანასკნელ დადგენილებაში განსაკუთრებით დიდ როლს აძლევს კვების მრეწველობის საწარმოების პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას.

აუცილებელია ბოლო მოეღოთ ქედმაღლურ დამოკიდებულებას მშრომელ მომხმარებლისადმი. ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს — კვების ყველა მრეწველობაში მუშაობის ისეთი რეჟიმის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს კვების პირველხარისხოვანი პროდუქტების გამოშვებას. ამისათვის საჭიროა ვაწარმოოთ ბრძოლა კვების მრეწველობის სანიმუშო სანიტარულ - ჰიგიენური მდგომარეობისათვის, გადავაქციოთ ისინი კვების პროდუქტების სანიმუშო კულტურულ ფაბრიკებად. ამ მიმართულებით ძალიან ბევრი გვაქვს გასაკეთებელი ჩვენს კვების საწარმოებში.

მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც გორის საკონსერვო ქარხანა.

ქარხნის ეზო — პირდაპირ ჭაობს წარმოადგენს, ეზოში ნაგვის გროვაა, რომელიც არ გააქვთ, ლპება და მყრალ სუნს უშვებს. მაგიდები, რომლებზედაც ხდება დახარისხება, ჭუჭყიანია, გასახდელი ოთახი გადაქცეულია ყველას გასავლელ ეზოდ, იმით არავინ არ სარგებლობს და მუშები თავიანთი ტანსაცმელით მუშაობენ. არავინ არ ადევნებს თვალყურს აგრეთვე ხალათების სისუფთავეს.

დროა ბოლო მოეღოს ასეთ უმსგავსო მოვლენებს. დროა საქართველოს მომარაგების სახალხო კომისარიატი ახლოს მიუდგეს თავისი საწარმოების ხელმძღვანელობის საქმეს.

საამშენებლო მასალათა მრეწველობა

სუსტად მუშაობს აგრეთვე ჩვენი საამშენებლო მასალათა მრეწველობა. საამშენებლო მასალათა მრეწველობა (ცემენტი, აგური, კირი, კრამიტი, ალებასტრი, ცარცი, ქვა)—სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია. მან უნდა უზრუნველყოს ჩვენი სამრეწველო და საბინაო მშენებლობა. მისი მუშაობისაგან ბევრად არის დამოკიდებული კაპიტალური მშენებლობის ტემპი და მოცულობა.

გეგმის მიხედვით აგურის ქარხნებს (რესპუბლიკური და ადგილობრივი) 1933 წლისათვის უნდა მოეცათ 78 მილიონი ცალი გამომწვარი აგური — მოგვცა მხოლოდ 46 მილიონი ცალი (58 პროც.).

ამასთანავე აგური თავისი ხარისხით ძალიან ცუდია — სტანდარტისაგან დიდი განსხვავებით.

პროდუქციის ხარისხისადმი ამ დანაშაულებრივი უმსგავსო დამოკიდებულების წინააღმდეგ ჩვენი პროკურატურა დღემდეც არ იყენებს საკავშირო ცაკის იმ დადგენილებას, რომელიც გულისხმობს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის.

კირის წლიური პროგრამა შესრულებულია 62 პროცენტით.

მარტო ცემენტის მხრივ გვქონდა ჩვენ ცოტათ თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, თუმცა კასპის ცემენტის ქარხნის მუშაობაც შეფერხდა ვაგონების მიუწოდებლობის გამო.

საშენი მასალის შინამრეწველობა, რომელსაც თითქოს გაცილებით უკეთ უნდა ემუშავნა, სინამდვილეში ძალიან ცუდად მუშაობს.

საჭიროა გადაჭრით გარდავქმნათ საშენი მასალის მრეწველობა, და ბოლშევიკურად მოვაწყოთ მისი წარმოება. ყველა ჩვენ, დაწყებული ცენტრალური კომიტეტიდან და სახკომსაბჭოდან რაიონულ ორგანიზაციებამდე, ძალიან ახლოს უნდა მივუდგეთ ამ საქმეს.

ადგილობრივი მრეწველობა

ადგილობრივი მრეწველობაც ჩამორჩენილია ისე, როგორც საშენი მასალის მრეწველობა. ამჟამად ყველა რაიონში ირიცხება ადგილობრივი მნიშვნელობის 150 სამრეწველო საწარმოზე მეტი, მაგრამ არც რესპუბლიკური და არც ადგილობრივი ორგანიზაციები არ აქცევდნენ და არც ახლა აქცევენ მათ სათანადო ყურადღებას.

ამის შედეგია ის, რომ ორგანიზაციულ მუშაობაში ადგილი აქვს უთავბოლობას. არ არის გამოყენებული საწარმოთა საწარმოო შესაძლებლობანი. მაღალია თვითღირებულება და ძალიან ცუდია პროდუქციის ხარისხი.

ამავე დროს „ადგილობრივი მრეწველობა შეიძლება გადაიქცეს სერიოზულ დამატებით ფაქტორად მუშათა და კოლმეურნეთა სწრაფად მზარდ მოთხოვნილებათა ყოველმხრივ დაკმაყოფილების საქმეში" (ამხ. მოლოტოვის თეზისები პარტიის მე-17 ყრილობისათვის).

საჭიროა ბოლო მოეღოს ადგილობრივი მრეწველობის მნიშვნელობის შეუფასებლობას.

ადგილობრივმა ორგანოებმა, პირველ რიგში კი აღმასკომებმა, უნდა:

1. გამოძებნონ და გაიღონ საჭირო სახსრები არსებული საწარმოების რემონტისა და ახალი საწარმოების მშენებლობისათვის;
2. გამოძებნონ და განავითარონ ადგილობრივი ნედლეულის წყაროები;
3. გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა დეფიციტურ ნედლეულზე ადგილობრივი მრეწველობის ზრდისათვის.

ადგილობრივი ორგანოები თვითონ არიან დაინტერესებული ადგილობრივი მრეწველობის განვითარებით და 1934 წელს მათ უნდა მიაღწიონ საგრძნობ გარდატეხას მისი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

შრომის ნაყოფიერება, ხელფასი და თვითღირებულება

პროფკავშირები ხარისხობრივ მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში

ამხ. სტალინმა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ საჭიროა „შრომის ნაყოფიერების სერიოზული გადიდება და თვითღირებულების სერიოზული შემცირება".

„ამაშია ახლა მთავარი. ვინაიდან მხოლოდ ამ საფუძველზე შეგვიძლიან ჩვენ მივაღწიოთ, ვთქვათ, პირველ ხუთწლედის მეორე ნახევარში ახალ მძლავრ გაქანებას როგორც მშენებლობის დარგში, ისე სამრეწველო პროდუქციის ზრდის დარგშიაც".

შრომის ნაყოფიერების გადიდების მხრივ ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ უდაო მიღწევები გვაქვს.

მძიმე მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება 1933 წლის 11 თვის განმავლობაში 11,6 პროც., გაიზარდა. შრომის ნაყოფიერების დიდ ზრდას იძლევა ლითონის მრეწველობა (37 პროც.), ბარიტი (16 პრ.), და გუმბრინი, სადაც შრომის ნაყოფიერება წლის განმავლობაში ორჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა.

მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწველობის ხაზით შრომის ნაყოფიერება 1933 წლის განმავლობაში, ხელფასის 5 პროც. ზრდის დროს, 23,6 პროც., გაიზარდა. შრომის ნაყოფიერების განსაკუთრებით დიდ ზრდას იძლევა თამბაქოს მრეწველობა—43 პროც.

თვითღირებულების შემცირების მხრივ სერიოზული მიღწევები გვაქვს მთელ რიგ საწარმოებში.

მაგალითად, მძიმე მრეწველობის ყველა ლითონის ქარხანაში თვითღირებულება 1933 წლის 11 თვის განმავლობაში შემცირდა 8,6 პროცენტით (ბათუმის თუნუქის ქარხანაში — 14,5 პროც., კალინინის სახ. ქარხანაში 25 პროც., ორჯონიკიძის სახ. ქარხანაში—21 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის ხაზით ტფილისის მაუდის ქარხანაში — 4 პროც., და პოლიგრაფიულ საწარმოებში—8 პროც.).

მაგრამ მთლიანად მრეწველობაში თვითღირებულების შემცირების გეგმა არა თუ არ შესრულდა, არამედ მთელ რიგ საწარმოებში თვითღირებულების გადიდებასაც კი ჰქონდა ადგილი.

მსუბუქი მრეწველობის ხაზით საშუალოდ ყველა დარგში შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმის შესრულებას (1933 წლის განმავლობაში) დააკლდა 5 პროცენტი და იგი 1932 წლის დონეზე დაბლა დგას.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს თვითღირებულების შემცირების საქმეში მსუბუქი მრეწველობის ხაზით. 11 თვის განმავლობაში თვითღირებულების შემცირების ნაცვლად მთელი მსუბუქი მრეწველობა იძლევა თვითღირებულების გადიდებას 18 პროცენტით.

საჭიროა ხარისხობრივი მაჩვენებლების საკითხში მივაღწიოთ გადამწყვეტ გარდატეხას.

ამასთან დაკავშირებით პროფორგანოების წინაშე დგას ამოცანა: კონკრეტული ხელმძღვანელობა გაუწიონ მუშათა აქტივობას და ენტუზიაზმს, მუშების შემოქმედებითი ინიციატივა მიმართონ ამ ხაზით და გადამწყვეტი ბრძოლა ჩაატარონ მრეწველობის მუშაობის ამ ყველაზე ჩამორჩენილ უბანში.

სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაში ჩაბმული მუშები ჩვენს საწარმოებში იძლევიან სამაგალითო და თავდადებული მუშაობის, შრომის ნაყოფიერების მაქსიმალურად გადიდების ნიმუშებს. აქ შეგვეძლო მოგვეყვანა საწარმოო-კომუნური ბრიგადების მიღწევების, შრომისადმი მუშების სოციალისტური დამოკიდებულების ათასობით და ასობით მაგალითები.

ჩვენი პროფესიული ორგანიზაციები უნდა რაზმავდნენ მუშებს ქარხნების და ფაბრიკების საუკეთესო ხარისხობრივ მაჩვენებლებისათვის საბრძოლველად.

ამჟამად საქართველოს პროფკავშირებში გაერთიანებულია 313 ათასი მუშა და მოსამსახურე — კავშირის წევრი, მათ შორის რამდენიმე ათი ათასი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაში.

ჩვენი პროფესიული ორგანიზაციები ყველგან ვერ იჩენენ თავის სახეს, როგორც მასების ორგანიზატორები. ჯერ კიდევ საკმაო ყურადღება არ ექცევა უშუალოდ საამქროში, ჯგუფსა და ბრიგადაში მუშაობას.

საწარმოო თათბირები მთელ რიგ საწარმოებში, ცალკე პროფესიულ ორგანიზაციების სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად, საკმაოდ არ იბრძვიან წარმოების რაციონალიზაციისათვის, საწარმოო დეფექტების აღმოფხვრისათვის.

როგორც იცით, შრომის სახალხო კომისარიატის და სოციალური დაზღვევის ორგანოები გაუქმდა და მათი ფუნქციები აგრეთვე სოციალური დაზღვევის ორგანოების უამრავი სახსრები გადაეცა პროფკავშირებს. პროფკავშირების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ უკეთ მოაწყონ მუშების მომსახურება სოციალური დაზღვევის ყოველი დარგის მიხედვით.

პროფკავშირების უმნიშვნელოვანეს სამუშაოს წარმოადგენს მუშების მატერიალურ - საყოფაცხოვრებო და კულტურული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება.

ამოცანები მრეწველობის დარგში

ჩვენი მუშაობის საერთო შედეგები მრეწველობაში ცხადყოფს უდაო წარმატებებს, ეს გვავალებს ჩვენ კიდევ უფრო ენერგიულად ვიმუშაოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის, არ ველოდოთ გარღვევას, არამედ ვიმუშაოთ ისე მკაფიოდ, რომ მთელი წლის განმავლობაში გეგმების შესრულების მრუდი განუხრელად ზევით მიდიოდეს.

დანაკლისის გამოსწორება ყოველთვის ძნელია.

უკანასკნელი ორი წლის სიძნელენი ჩვენთვის მდგომარეობდა სწორედ იმაში, რომ ჩვენ უნდა შეგვევსო ბევრი დანაკლისი.

როგორია ჩვენი ამოცანები 1934 წელს, მეორე ხუთწლედისათვის?

1. გასულ 1933 წელთან შედარებით დაბანდებების გადიდება 78 მილიონი მანეთით უკვე განსაზღვრავს ჩვენი მშენებლობის გაშლას. ამ თანხების ათვისებისათვის საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნას, რომელნიც სრულიადაც არ შეეფერებიან მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

პირველ რიგში საჭიროა მათი გამტკიცება კადრებით და მშენებლობის ღირებულების გადაჭრით დაკლება 15 პროცენტით.

2. გადამჭრელი ბრძოლა მუშახელის დენადობასთან, შრომის უკეთესი ორგანიზაციისათვის, შრომის დისციპლინისათვის განუწყვეტლივ უნდა სწარმოებდეს ყველა საწარმოში და ყველა მშენებლობაზე. ეს გააიაფებს მშენებლობას, დასწევს პროდუქციის თვითღირებულებას, აწევს შრომის ნაყოფიერებას.

3. შრომის ნაყოფიერების მეთოდური გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ყურადღების ცენტრში უნდა იქნეს დასმული საკითხი სამუშაო დღის მთლიანად გამოყენებისა და შემცირების შესახებ, ბრძოლა გაცდენებთან, ამ საქმეში მუშათა ფართო მასების აქტივობაზე დაყრდნობის გზით. სრული 7 საათის მუშაობის მიღწევა, ნაცვლად ფაქტიური 5—6 საათისა—ეს ნიშნავს 15—20 პროცენტით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება.

4. მთელი მრეწველობის პროდუქციის 28 პროცენტით გადიდების მიღწევა, რაც დასახული გვაქვს 1934 წლისათვის, (მძიმე მრეწველობის — 31 პროც.-ით, მსუბუქი მრეწველობის — 18 პროც.-ით, კვების—9 პროც.-ით) შესაძლებელია მხოლოდ წარმოების ტექნიკის დაუფლების გზით. ეს მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა გადაიჭრას ყოველ მიზეზს გარეშე.

5. განსაკუთრებული ნიშნელობა, როგორც მე უკვე ვთქვი, აქვს საშენ მასალების წარმოებას, შინამრეწველობას და ადგილობრივ მრეწველობას. ჩვენ გიგანტური შესაძლებლობა გვაქვს ამ მიმართულებით. ცენტრალურმა კომიტეტმა, სახალხო კომისართა საბჭომ, რაიკომებმა და აღმასკომებმა მაგრად უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს და გამოიყვანონ მრეწველობის ეს დარგები იმ სამარცხვინო ჩამორჩენიდან, რომელშიაც ისინი იმყოფებიან.

6. დამთავრდეს სამეურნეო აპარატის გარდაქმნა, საწარმოებზე ხელმძღვანელობის გამარტივების გზით.

7. გეოლოგიურ - საძიებლო და, საკვლევო სამუშაოები განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იქნეს დაყენებული. საძიებლო სამუშაოებისათვის საჭიროა დამატებითი სახსრების გამოძებნა. საბჭოთა კავშირმა უნდა მიიღოს ეგზომ საჭირო კალა, ოქრო, მოლიბდენი და სხვა იშვიათი ლითონები და მადნები.

8. ჩვენ ყველა ჩვენი საწარმო უნდა ვაქციოთ სანიმუშო საწარმოებად.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმ მითითებათა რეალიზაციისათვის, რომლებიც მოცემულია ამხ. მოლოტოვის და კუიბიშევის თეზისებში.

9. ჩვენ 1934 წელს უნდა მივაღწიოთ შემდეგს:

ა) დავუმზადოთ 850 ათასი ტონა მარგანეცის მადანი საკავშირო ქარხნებს და აგრეთვე საექსპორტოდ;

ბ) ამოვიღოთ 175 ათასი ტონა ტყვარჩელის ქვანახშირი;

გ) უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის მთელი ნავთის და ქიმიური მრეწველობა გუმბრინით და ბარიტით;

დ) დავამთავროთ დაწყებულ ვაზაში ფერო-ქარხნის შემდგომი რიგი და ნავთის მოწყობილობათა ქარხანა—საქართველოს მძიმე მრეწველობის სიამაყე;

ე) უმოკლეს ვადაში მოვაქციოთ საქართველოს ერთიან მაღალვოლტიან ელექტროქსელში მძლავრ ხრამჰესი და ტყვარჩელის თბოცენტრალი;

ვ) დაბოლოს, მთელს ჩვენს საფეიქრო და საკონსერვო მრეწველობას აქვს ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ მიაღწიოს ხარისხის მხრივ ერთ პირველ ადგილთაგანს საბჭოთა კავშირში.

აი მოკლეთ ძირითადი ამოცანები მრეწველობაში, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან უახლოეს პერიოდში.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის დარგში საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ცნობილი გადაწყვეტილებით ჩვენს წინაშე დასახულ იქნა ორი ძირითადი ამოცანა.

პირველი: გადაჭრით გამოგვესწორებინა ძველი ხელმძღვანელობის მიერ გლეხთა საკითხში დაშვებული სერიოზული პოლიტიკური შეცდომები. ეს მოასწავებდა იმას, რომ: საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებში ხელი აგვეღო ახალ კოლმეურნეობათა მექანიკურად, სათანადო მომზადების გარეშე, შექმნაზე და ყურადღება მიგვეპყრო არსებულ კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებისათვის; აღმოგვეფხვრა დეფექტები და გადახვევები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების დარგში; ბოლო მოგვეღო დამზადების არარეალური ფანტასტიური გეგმების შედგენის პრაქტიკისათვის; აღმოგვეფხვრა დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ კონტრაქტანტ - კოლმეურნეებისა და მშრომელ ერთპიროვნულ გლეხების წინაშე თავის ვალდებულებათა არ შესრულების პრაქტიკა; დასასრულ, ეს მოასწავებდა იმის აუცილებლობას, რომ ულმობლად აღმოგვეფხვრა ადმინისტრირების ელემენტები მთელი რიგი სასოფლო ორგანიზაციების მუშაობაში.

მეორე ამოცანა მოითხოვდა, აგვენაზღაურებია ის დანაკლისი, რაც დაშვებული გვქონდა სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში. მუშაობის ხარისხისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. რათა გვერდში ამოვდგომოდით საბჭოთა კავშირის მოწინავე რაიონებს.

დღეს შეიძლება სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ ყრილობაზე, რომ საქართველოს ბოლშევიკები წარმატებით ასრულებენ ამ ამოცანებს და ჩვენი პარტიის მე-17 ყრილობას ისინი დიდი სამეურნეო-პოლიტიკური წარმატებებით ხვდებიან.

რაში მდგომარეობს ეს წარმატებები?

ჯერ—ერთი, საქართველოს სოფლის პოლიტიკური მდგომარეობა სავსებით მტკიცეა.

მეორე—კოლმეურნეობანი მტკიცდებიან ორგანიზაციულად, მეურნეობრივად და პოლიტიკურად, ისინი ბოლშევიკური ხდებიან. კოლექტივიზაცია იზრდება და აერთიანებს ახალ ასეულ და ათასეულ მეურნეობებს.

მესამე — წარმატებით ხდება ტექნიკური და სპეციალური კულტურების: ჩაის, თამბაქოს, ციტრუსების, შაქრის ჭარხლის და სხვ. დანერგვა და ათვისება. ზოგიერთი ამ კულტურათაგანი იქცა, ხოლო სხვები იქცევიან სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად მთელ რიგ რაიონებში.

მეოთხე—უკანასკნელმა წელმა, უდიდესი მუშაობის ჩატარების შედეგად, მოგვცა პურის, ჩაის, თამბაქოს, ყურძნის, ხილის, ციტრუსების მაღალი მოსავალი.

მეხუთე—კოლმეურნეებმა და მშრომელმა ერთპიროვნულმა გლეხებმა პირნათლად შეასრულეს თავისი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე. პურის დამზადება შესრულებულ იქნა ვადაზე ადრე 1 ნოემბერს; ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება შესრულებულია 105,5 პროცენტით; თამბაქოს დამზადება —საქართველოში — 104,1 პროცენტით, ხოლო აფხაზეთში დამზადების დამთავრების ვადა 1 აპრილია, მაგრამ დღეისათვის გეგმა უკვე გადაჭარბებით შესრულებულია 23,3 პროცენტით; მანდარინის დამზადება შესრულებულია 100.5 პროცენტით, სახელმწიფოს ჩაბარდა სულ 75 მილიონი 400 ათასი ცალი რაც წინათ არასოდეს არ მომხდარა; ყურძნის და ღვინის —100 პროც. ხილის —109,5 პროცენტით; რძის პროდუქტების დამზადება—111,9 პროცენტით; თივის დამზადება—100,1 პროცენტით; დიდი ტყავების დამზადება—106,4 პროცენტით, პატარა ტყავების — 104,2 პროცენტით; სოიას დამზადება, რაც წინათ გარღვევიდან ვერ გამოდიოდა, შესრულებულია 100,4 პროცენტით.

ყოველივე ამას ჩვენ მივაღწიეთ სოფლად კლასობრივ მტერთან გააფთრებული ბრძოლის პირობებში.

მაგრამ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მიღწეული წარმატებებით. ჩვენი ამოცანებია: სოფლის მეურნეობის შემდგომი რეკონსტრუქცია, სპეციალური და ტექნიკური კულტურების შემდგომი ზრდა და განვითარება, მოსავლიანობის გადიდება ფართო აგროტექნიკის დანერგვის და მასობრივი აგროტექნიკური პროპაგანდის საფუძველზე, კოლმეურნეობათა შემდგომი საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება და ზრდა.

კაპიტალური დაბანდებანი

საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებით ზრდის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის უდიდესი კაპიტალური დაბანდებანი, რაც გაწეულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ. მარტო ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში (32—33 წ.) დაბანდებულია 185 მილიონ მანეთზე მეტი (მომარაგების სახალხო კომისარიატის, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის, ცეკავშირის და სამხედრო კოოპერაციის საბჭოთა მეურნეობების გამოკლებით), აქედან საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში დაბანდებულია 127719 ათასი მანეთი, კოლმეურნეობებში საწარმოო კრედიტის ხაზით 27.292 ათასი მანეთი.

სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში: ა) ჩაიში—59.586 ათასი მანეთი, ბ) ციტრუსებში—12.326 ათასი მანეთი, გ) თამბაქოში 8.498 ათასი მანეთი, დ) მეხილეობასა და მევენახეობაში—12.315 ათასი მანეთი (გასაშენებლად და არანაყოფიერთა მოსავლელად), ე) მეცხოველეობაში (ჯოგის შესავსებად, მიწსახკომის და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო მშენებლობებისათვის)—16.558 ათასი მანეთი.

მელიორაციასა და ირიგაციაში დაბანდებულია 12.811 ათასი მანეთი; დაბანდებულია ენერგეტიკასა, სასოფლო - სამეურნეო მანქანებსა და იარაღებში — 16.820 ათასი მანეთი (საბჭოთა მეურნეობებსა და ტრაქტორცენტრებში).

სოფლის მეურნეობის მანქანებით შეიარაღება

დღეისათვის ჩვენს სატრაქტორო პარკში უკვე მოიპოვება 1.669 ცალი ტრაქტორი, ამასთან უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შემოტანილია 447 ტრაქტორი, 107 ავტომანქანა, 48 ცალი კომბაინი, აქედან 45 ცალი შემოტანილია 1932 წლის და 1933 წლის განმავლობაში. ძნის შემკვრელი მანქანები ორი წლის განმავლობაში შემოტანილია 639, ხოლო სულ გვაქვს 970 ცალი; თივის სათიბი მანქანები 2 წლის განმავლობაში შემოტანილია 559, სულ გვაქვს 2.000; სანიავებელი მანქანები—1.758, ხოლო სულ გვაქვს 6.000 ცალი; სახნისები—15.800, სულ კი გვაქვს 65.000 ცალი.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურები

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების რიცხვი 7-დან (1931 წელს) გაიზარდა 31-დე (1933 წელს), რომელთა სატრაქტორო პარკი 707 ერთეულს უდრის.

საგრძნობლად გაძლიერდა სამანქანო - სატრაქტორო სადგურების დამრაზმავი როლი. სამ.-სატრ. სადგურებში პოლიტგანყოფილებებმა დიდი მუშაობა გაშალეს. გაუმჯობესდა სამანქანო - სატრაქტორო პარკის მოვლა და გამოყენება. უდაო მიღწევად უნდა ჩაითვალოს ფარდულების აშენება, რაც უზრუნველყოფს თითქმის ყველა მანქანის და იარაღის სათანადოდ შენახვას.

მაგრამ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ტრაქტორისადმი ბარბაროსულ მოპყრობას, რემონტის დაბალ ხარისხს, რასაც ხელს უწყობს სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ხელმძღვანელ მუშაკთა ნაწილის უპასუხისმგებლობა და დაუსჯელობა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი პროკურატურა ჯერ კიდევ დაუშვებლად სუსტად მუშაობს, არ ღებულობს გადამწყვეტ ზომებს საზოგადოებრივი საკუთრების დასაცავად.

წნორის სამან.-სატრაქ. სადგურში პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. **ნამგალაძემ** აღმოაჩინა 3 ტრაქტორი. აქედან 2 ტრაქტორი 6 თვის განმავლობაში ტყეში ეგდო, ხოლო ერთი კი—ხევში. ეს იცოდა სამანქანო - სატრაქტორო სადგურის დირექტორმა ამხ. მელიმონაძემ, რომელმაც არამც თუ არავითარი ზომები არ მიიღო, არამედ დამალა კიდეც ეს ფაქტი.

საგარეჯოს სამანქანო - სატრაქტორო სადგურმა (12 ტრაქტორი) მარტო საგაზაფხულო თესვის და მოსავლის აღების პერიოდში, ნორმასთან შედარებით, გადახარჯვა 34 ტონა საწვავი მასალა, აბაშის სამანქანო - სატრაქტორო სადგურმა (33 ტრაქტორი)—40 ტონა, ბორჩალოს სმ.-სატრ. სადგურმა (49 ტრაქტორი)—51 ტონა და სხვ.

რემონტის ხარისხი გასულ წელს სრულიად არადამაკმაყოფილებელი იყო. შეკეთებული ძნის შემკვრელ მანქანების დიდი უმრავლესობა მოსავლის აღების კამპანიის პირველსავე დღეებში გამოვიდა მწყობრიდან.

უნდა გაძლიერდეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაკთა პასუხისმგებლობა სამანქანო - სატრაქტორო პარკის დაცულობისა და სწორად გამოყენებისათვის.

საჭიროა გაიშალოს მუშაობა სამ.-სატრ. სადგურებში ტექნიკის დაუფლებისათვის; საგრძნობლად იქნას ამაღლებული ტრაქტორისტების, ბრიგადირების და მექანიკოსების კვალიფიკაცია. ამ საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებენ ტრაქტორისტთა და მექანიკოსთა ერთწლიანი კურსები, რომლებიც 1933 წელს მოწყობილია ხონში, სტალინისში და ტფილისში.

საბრძოლო წესით უნდა მოვაწყოთ სამანქანო - სატრაქტორო პარკის საზამთრო რემონტი და უზრუნველვყოთ მისი სრული მზადყოფნა საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიისათვის.

ბრძოლა ხორბლეულ, თავთავიან კულტურების და სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის

ხორბლეულ კულტურების მეტისმეტად დაბალი მოსავლიანობა წინა წლებში აიხსნებოდა აგროტექნიკურ ღონისძიებათა უგულებელყოფით, ამ ღონისძიებებს კი დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის გადიდებისათვის. 1932-33 წლებში საკითხი მოსავლიანობის გადიდების შესახებ საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში იქნა დაყენებული.

საადრეო საგაზაფხულო ხვნა 1933 წელში, მზრალად ხვნა და აოშვება უფრო ფართოდ იქნა ჩატარებული, ვიდრე წინა წლებში. საგაზაფხულო კულტურების თესვა 1933 წელს 30—35 დღით ადრე დავამთავრეთ, ვიდრე 1932 წელში.

1932 წელს საშემოდგომო თესლი კოლექტიურ და ერთპიროვნულ მეურნეობებში გაწმენდილი იქნა 153 ათასი ცენტნერი; 1933 წელში — 327 ათასი ცენტნერი. ნაკელი გატანილი იქნა 1932 წელს—361.300 ურემი, 1933 წელს 614.300 ურემი. 1933 წელს პირველად შემოღებული იქნა თესლბრუნვა 300 კოლმეურნეობაში. 1933 წელს სახნავ კულტურათა დამუშავება და გათოხნა გაცილებით უკეთ იქნა ჩატარებული, ვიდრე 1932 წელს. 1933 წელს პირველად ჩავატარეთ თავთავიან კულტურათა გათოხნა 66 ათას ჰექტარზე. ამის შედეგად, მოსავლიანობის განმსაზღვრელ კომისიის ცნობებით, ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი:

	მოსავლიანობა ჰექტ-დან 32 წ.	ცენტნერებში 1933 წ.
1) ხორბლეული კულტურები . . .	6,9	9,2
მათ რიცხვში თავთავიანი კულტურ.	5,9	8,5
სიმინდი	7,8	9,8

მაგრამ ეს წარმატება მხოლოდ პირველი ნაბიჯია მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ამიტომ მოსავლიანობისათვის ბრძოლის საკითხები მომავალშიაც ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

რამდენიმე დაწვრილებით შევჩერდები მე საქართველოს სოფლის მეურნეობის ცალკე კულტურებზე. კულტურები საქართველოში ბევრია და ამიტომ, დროის უქონლობის გამო, მე შევჩერდები მხოლოდ ძირითად კულტურებზე. პირველ რიგში ვილაპარაკებ ჩაიზე.

ჩაი

ყველას მოგეხსენებათ, თუ რა მდგომარეობაში იყო ჩაის კულტურის განვითარების საქმე 1931 წელს.

ჩაის ფართობი 1932 წლის 1 იანვრისათვის აღწევდა 19.557 ჰექტარამდე.

ჩაის პლანტაციების მდგომარეობას ამ დროისათვის ახასიათებდა შემდეგი ნაკლოვანებანი:

როგორც წესი, ჩაის გაშენება წარმოებდა მოუმზადებელ მიწებზე, მელიორაციის, სადრენაჟო წყალსაგდები არხების სრული უქონლობის პირობებში; გაშენება ხდებოდა ფერდობებზე მთლიანი გადაბარვით, ტრანშეების წესით გაშენების ნაცვლად, და ჩამორეცხებოდა ხოლმე. ამას უნდა დაემატოს ნიადაგის არასაკმაოდ დამუშავება, ზერელე ხვნა, ქარისაგან დასაცავი ზოლების ამოძირკვა, აგროტექნიკური ვადების სრული უგულებელყოფა როგორც ჩაის პლანტაციების გაშენების, ისე მათი მოვლის დროს, შემოუკავლებლობა, ჩაის პლანტაციების წახდენა პირუტყვის მიერ და სარეველა ბალახების მთლიანად მოდება.

ჩაის კულტურის განვითარების მთელი საქმე გადაცემული ჰქონდა „საქართველოს ჩაის" გამგეობას, და ჩაი არ წარმოადგენდა არც ცენტრალური კომიტეტის არც რაიონული პარტიული ორგანიზაციების ბრძოლის საგანს. საკმარისია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ „საქართველოს ჩაის" გამგეობა გასახლებულ იქნა ქალაქის განაპირა უბანში თვითონ „საქართველოს ჩაის" სახსრებით აგებულ სახლიდან.

პლანტაციებზე სარეველა ბალახი ახშობდა ჩაის. „საქართველოს ჩაის" გამგეობაში ადგილი ჰქონდა ხელმძღვანელობის სრულ გახრწნას, კინკლაობას, ინტრიგებს და ერთმანეთისათვის ძირის გამოთხრას; ჩაის საქმის ხელმძღვანელობის შტაბს მავნებლობის და თვალისახვევის ელემენტები ახასიათებდა.

მივიღეთ რა ასეთი მემკვიდრეობა, პირველ დღეებიდანვე საჭირო გახდა შევდგომოდით ჩაის პლანტაციების ნამდვილი მდგომარეობის გამორკვევას.

გამოკვლევამ ცხადყო, რომ „საქართველოს ჩაის" 1931 წლის საანგარიშო ცნობებში ნაჩვენებ 22.128 ჰექტარიდან სულ არ აღმოჩნდა 2.228 ჰექტარი, სრულიად უვარგისი იყო 347 ჰექტარი, დაღუპული იყო და აღდგენას მოითხოვდა 1.932 ჰექტარი და კაპიტალურ რემონტს საჭიროებდა 5.323 ჰექტარი. და მხოლოდ 12.298 ჰექტარი აღმოჩნდა ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. და ასეთ პირობებში მაშინდელი ხელმძღვანელობა გეგმავდა 1932 წლისათვის ახალი პლანტაციების გაშენებას 35.000 ჰექტარზე!

ჩვენ გავრეკეთ „საქართველოს ჩაის" ხელმძღვანელობა და გავამტკიცეთ მისი გამგეობა მაგარი, მუშაობაზე შემოწმებული ბოლშევიკებით; საუკეთესო კომუნისტები ათობით გადავიყვანეთ სამუშაოთ ჩაის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებად და საბჭოთა მეურნეობების უჯრედთა მდივნებად; შევქმენით ჩაის 8 სამანქანო - სატრაქტორო სადგური. მთელი პარტორგანიზაცია ჩაება ჩაის საქმისათვის ბრძოლაში. ჩაის ბუჩქი გადაიქცა საქართველოს ბოლშევიკების და კოლმეურნეთა მასების ყოველდღიური ზრუნვის ობიექტად.

საქართველოს კ.პ. (ბ) ც.კ.-ს მხრივ ყოველდღიური ყურადღების და ხელმძღვანელობის, „საქართველოს ჩაის" ტრესტის და ტრაქტორ-ცენტრის უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად 1932 და 1933 წლებში გარემონტებულ და აღდგენილ იქნა 7.215 ჰექტარი.

1932 და 1933 წლებში ახალი პლანტაციები გაშენებულ იქნა ჩაის მთელი ფართობის 70 პროცენტი ან 1933 წლის შემოდგომისათვის — 18.951 ჰექტარი, 1933 წლის მეორე ნახევარში გაშენებულის ჩაუთვლელად.

ამგვარად, ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ახალი პლანტაციები გაშენდა ჩაის მთელი ფართობის 70 პროცენტი და 1933 წლის შემოდგომისათვის ჩაის პლანტაციების ფართობმა მიაღწია 33.325 ჰექტარს, აქედან საბჭოთა მეურნეობებში—8.711 ჰექტარს, კოლმეურნეობებში—20590 ჰექტარს, ხოლო კოლმეურნეებთან და ერთპიროვნულ მეურნეებთან — 4.024 ჰექტარს.

ჩაის კულტურის შემდგომი ზრდა ჩვენ უზრუნველვყავით საკუთარი თესლით და საიმპორტო თესლის შემოტანა შევწყვიტეთ.

ჩაის ბუჩქის მოვლის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 1933 წელს მიაღწია 803 კილოგრამს, 1932 წლის 701 კილოგრამის მაგივრად.

1933 წლის დამდეგს საქართველოს კ.პ. (ბ) ც.კ.-ს წინაშე დადგა ხარისხობრივი მაჩვენებლების და მოსავლიანობის გადიდებისათვის შემდგომი ბრძოლის საკითხი.

ჩაის საქმის შემდგომი განვითარების საკითხი 1933 წლის 29 ივნისს დასმულ იქნა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიერ (1933 წ. 29 ივნისის დადგენილება).

მე წავიკითხავთ ამონაწერებს ამ დადგენილებიდან:

„უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩაის პლანტაციების ფართობი აყვანილია 31.000 ჰექტარამდე 1928 წლის 1.900 ჰექტარის ნაცვლად. ამასთან საფუძველი დაედო საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობას საზღვარგარეთისაგან ჩაის წარმოების საქმეში.

ახლა ჩაის საქმის დარგში ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოსავლიანობის გადიდება ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და მოვლის გაუმჯობესების, სასუქის შეტანის და ჩაის ფოთლის მოკრეფის და გადამუშავების საქმის გულდასმით ორგანიზაციის გზით.

1. უზრუნველყოფილ იქნას ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გაზრდა ერთიორად მაინც ორი წლის განმავლობაში (1935 წელში).

2. როგორც საბჭოთა მეურნეობებში, ისე კოლმეურნეობებში, ძირითადი ყურადღება მიექცეს უკვე წამოწყებული პლანტაციების სრულ წესრიგში მოყვანას (ბუჩქების დარგვა, სადრენაჟო სამუშაოები, ცოცხალი ღობით შემოღობვა, ქარისაგან დამცველი ნარგავები, ჩარეცხვისაგან დაცვა და სხვ.).

3. გაუმჯობესდეს ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშათა პირობები საყოფაცხოვრებო და მომარაგების დარგში. კერძოდ გათვალისწინებულ იქნეს თვითეული მუდმივი მუშისათვის მიწის მცირე ნაკვეთის გამოყოფა საბოსტნედ.

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენება საქართველოს

4. 1934 წლის გაზაფხულისათვის მთლიანად დაკმაყოფილებულ იქნეს ჩაის პლანტაციების მოთხოვნილება მინერალურ სასუქებზე".

საქართველოს კ.პ. (ბ) ც.კ.-ი თავის მუშაობას აწარმოებდა ისე, რომ მთლიანად დაეკმაყოფილებინა ეს გადაწყვეტილებანი.

ჩაის მეურნეობის სანიმუშოდ დაყენების და თვითეულ ჰექტარზე მოსავლიანობის მაქსიმალურად გადიდების საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს „საქართველოს ჩაის" არსებული 14 საბჭოთა მეურნეობა. ერთიორად გაზრდილი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში საბჭოთა მეურნეობები პირველ რიგებში უნდა იყვნენ: ისინი პირველნი უნდა დაეწიონ იაპონიის და ცეილონის ჩაის პლანტაციების მოსავლიანობას და გაუსწრონ მას.

ეს გვავალდებულებს ჩვენ: გადაჭრით შევცვალოთ მუშათა არსებული საყოფაცხოვრებო პირობები საბჭოთა მეურნეობებში და შევინარჩუნოთ მუშათა მუდმივი კადრი; 1934 წელში დავამთავროთ მელიორაცია ყველა დაწყებულ ფართობზე; მაქსიმალურად გავშალოთ საგზაო მშენებლობა, როგორც საბჭოთა მეურნეობის შიგნითი გზებისა, ისე ფაბრიკასთან მისასვლელი გზებისა.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების წინაშე დგას ამოცანა მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ კოლმეურნეობათა ჩაის პლანტაციების მოვლა, მიაღწიონ აგროტექნიკურ ღონისძიებათა თავისდროულ და სრულ შესრულებას. 1934 წელს კოლმეურნეობათა ყველა ჩაის პლანტაციებში მთლიანად და სრულად უნდა იქნეს ჩატარებული მელიორაცია.

ჩაის რაიონებში უკვე მუშაობს 14 ფაბრიკა, რომლებმაც 1933 წ. გადაამუშავეს 3.164 ტ. ძირითადი მწვანე ფოთოლი და 2.285 ტ. ეხიმე მწვანე ფოთოლი. უკვე გამომუშავებულია 1.400 ტონა ხმელი ჩაი და გადამუშავება გრძელდება.

1934 წლის მწყობრში უნდა ჩადგეს კიდევ 7 ფაბრიკა და, გარდა ამისა, ჩვენ ვიწყებთ 8 ახალი ფაბრიკის მშენებლობას. საჭიროა გაძლიერდეს ტექნიკური ხელმძღვანელობა ფაბრიკებში, გაიშალოს ბრძოლა ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნიკის ათვისებისათვის, გაუმჯობესდეს გადამუშავების ხარისხი. ჩაის ფაბრიკებმა უნდა გვიჩვენონ მუშაობის ნიმუში.

აუცილებლად საჭიროა ბრძოლის გაშლა ფაბრიკების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისთვის. ამ ორი წლის წინ ამხ. კალინინმა ინახულა ერთ-ერთი ჩაის ქარხანა და მიაქცია ყურადღება მის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას ჰიგიენის მხრივ. ამჟამად ეს ფაბრიკა კარგად გამოიყურება, მაგრამ საჭიროა, რომ სანიმუშო სისუფთავე იყოს ყველა ფაბრიკებში.

ცალკე ფაბრიკების (ჩაქვის, სალიბაურის, აცანის) მუშაობა გვიჩვენებს, რომ ჩაის ტექნოლოგიური გადამუშავების წესიერი დაყენების პირობებში ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მაღალხარისხოვანი ჩაი, რომელიც საზღვარგარეთულს არ ჩამოუვარდება. ჩვენს გამოფენაზე შეგიძლიათ წაიკითხოთ ლონდონიდან მიღებული შეფასება, რომლის მიხედვითაც ჩვენი ჩაი საზღვარგარეთულზე უარესი არ არის, ზოგიერთ რაიონში კი მასზე უკეთესიცაა.

ჩაის კულტურის განვითარებას თან სდევს ადგილობრივ კოლმეურნე გლეხთა კეთილდღეობის საგრძნობი ზრდა. ჩაის კულტურას მისდევენ საქართველოს 17 რაიონში და 60 ათასი მეურნეობაა ჩაბმული ამ საქმეში. დასავლეთ საქართველოს ათეულ ათას ღარიბ გლეხებმა, ეხლანდელმა კოლმეურნეებმა, გააუმჯობესეს თავისი კეთილდღეობა და მტკიცედ დადგენ შეძლებულ ცხოვრების გზაზე. ამას ხელი შეუწყო ჩაის კულტურის მაღალმა მოსავლიანობამ, სახელმწიფოს მიერ ჩაის მეურნეთა სტიმულირებამ პურით. ამხ. სტალინის ინიციატივით ჩაის რაიონებში ჩვენ ავაგეთ პურის ბელლები ჩაის მეურნეთათვის. ამხ. სტალინი ხაზს უსვამდა, რომ კოლმეურნე გლეხი მაშინ მოკიდებს ხელს სპეციალურ ტექნიკურ კულტურებს, თუ დარწმუნებული იქნება, რომ უზრუნველყოფილია პურით. ჩვენ შეუდექით ამ საქმეს და უზრუნველყავით ჩაის მეურნეთა შეუფერხებელი მომარაგება პურით.

ასე, მაგალითად, ოზურგეთის რაიონში 1932 წელს სიმინდის საერთო მოსავალი შეადგენდა 5117,5 ტონას, პური კი შემოზიდული იქნა ჩაის მეურნეთათვის 5.403 ტონა. 1933 წელს სიმინდის მოსავალი შეადგენდა 8854 ტონას, პური კი შემოტანილი იქნა 8728 ტონა. ცალკე ნაგომრის კოლმეურნეობაში 1932 წელს სიმინდის მოსავალი უდრიდა 11.157 ფუთს, პური კი შემოზიდული იქნა 11.500 ფუთი; 1933 წელს პური თავის მინდვრებზე მოაგროვეს 10.746 ფუთი, შემოტანილი კი იქნა 16.120 ფუთი.

ლანჩხუთის რაიონში, სადაც ჩაის სივრცე 2.400 ჰექტარს უდრის 1933 წელს სიმინდის საერთო მოსავალი შეადგენდა 5.863 ტონას, პური კი შემოზიდული იქნა ჩაის მეურნეთათვის 2.962 ტონა.

ცალკე კოლმეურნეობებში: აცანის კოლმეურნეობაში 1933 წელს მოსავალი შეადგენდა 176 ტონას, შემოზიდული იქნა 292 ტონა; გულიანის კომუნაში 1933 წელს მოსავალი უდრიდა 120 ტონას, შემოზიდული იქნა 121 ტონა; მამათის კოლმეურნეობაში 1933 წლის მოსავალი შეადგენდა 238 ტონას, შემოზიდული იქნა 267 ტონა.

კოლმეურნეთა კეთილდღეობის ზრდის მაგალითები: მამათის კოლმეურნეობის წევრის გიორგი კილაძის ოჯახმა 1932 წელს გამოიმუშავა 390 შრომა-დღე და მიიღო ნატურით ჩაის მეურნეთათვის შემოზიდულ ფონდიდან 292 ფუთი პური და კოლმეურნეობის მოსავლიდან 98 ფუთი სიმინდი. სულ კი პური მიიღო 390 ფუთი და ფულად 531 მან. 1933 წელს იმავე ოჯახმა გამოიმუშავა 338 შრომა-დღე და მიიღო ნატურით ჩაის მეურნეთათვის შემოზიდულ ფონდიდან 241 ფუთი პური და კოლმეურნეო მოსავლიდან 196 ფუთი სიმინდი, სულ კი პური მიიღო 437 ფუთი და ფულად 776 მანეთი.

შერმადინ ჩიკაშუა კოლმეურნეობაში შესვლამდე ღარიბი გლეხი იყო და მას ერთი ქოხი ქონდა. 1932 წელს მან გამომუშავებულ შრომადღეებში მიიღო 305 ფუთი პური და 539 მან. ფულად. 1933 წელში მან მიიღო 350 ფუთი პური და 637 მან. ფულად. ჩიკაშუამ ააგო სამ ოთახიანი ოდა, იყიდა ორი ძროხა, ერთი ღორი, ორი საწოლი, 13 სკამი და ააშენა სასიმინდე.

აჭარისტანში ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას (ქობულეთის რაიონი) აქვს 138,9 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, რომელიც მოსავალს იძლევა 78,57 ჰექტარი; გეგმის თანახმად კოლმეურნეობას უნდა ჩაებარებინა ჩაი საშუალოდ ჰექტარიდან 1500—1600 კილოგრამი; 1933 წელს კოლმეურნეობამ ფაქტიურად თვითეულ ჰექტარიდან მოაგროვა 2130—2175 კილოგრამი; ცალკე ბრიგადებში და უბნებში შეგროვილია გაცილებით უფრო მეტი. ასე მაგ. № 2 ბრიგადამ თვითეულ ჰექტარიდან შეაგროვა 2.474 კილოგრამი, ამავე ბრიგადაში ყოფილ გორიაძის უბანზე შეგროვილი იქნა 3.716 კილოგრამი. კოლმეურნეობამ მწვანე ჩაის ჩაბარების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა (176 ტონას ნაცვლად ჩააბარა 186.2 ტონა, აქედან 94 პროც. პირველი ხარისხისაა). ამ კოლმეურნეობის წევრი კოსტა კირდოვი კოლმეურნეობაში შესვლამდე შემოსავალს იღებდა 280 მანეთს, ღარიბად ცხოვრობდა, პატარა ქოხი ქონდა და ძროხა არ ყავდა. 1933 წელს კირდოვის ოჯახმა გამოიმუშავა 707 შრომა - დღე და მიიღო ფულად 6.177 მან. და 212 მანეთის პროდუქტები. კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ ამ ოჯახმა შეიძინა ძროხა და ააშენა კარგი საცხოვრებელი სახლი.

ავიღოთ შემდეგ წალენჯიხის რაიონი. როგორც ვიცით, ის ყოველთვის მეტად დეფიციტიანი რაიონი იყო. მისი მოსავალი სრულიად არ აკმაყოფილებდა რაიონის მოთხოვნილებას. ჩაის კულტურის დანერგვამ გადაჭრით შეცვალა მისი მდგომარეობა. ამჟამად ჩვენ იქ გვაქვს 2.226 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. სიმინდის საერთო მოსავალი რაიონში 1932 წელს შეადგენდა 522 ტონას, პური შეზიდული იქნა ჩაის მეურნეთათვის 1.192 ტონა; 1933 წელს სიმინდის მოსავალი შეადგენდა 731 ტონას, პური კი შეზიდული იქნა 1527 ტონა.

ჩაის ნარგავები რაიონში ახლად გაშენებულია — სამწლიანმა პლანტაციამ 1933 წელში საშუალოდ ჰექტარიდან მოგვცა 222 კილოგრამი მწვანე ჩაი, წინაამდეგ 35 კილოგრამისა ჰექტარიდან 1932 წელს.

ჩაის კოლმეურნეობების და ცალკე კოლმეურნეთა კეთილდღეობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასე მაგ., სოფ. ლიას ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას აქვს 136 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და 57 ჰექტარი სიმინდი; მან 1933 წელში მოაგროვა 969 ფუთი სიმინდი, პური კი შემოზიდული იქნა 9520 ფუთი.

კოლმეურნე **ილიკო ძაძამიამ** 1933 წელს გამოიმუშავა 330 შრომადღე, მიიღო 226 ფუთი ხორბალი და 818 მანეთი ფულად; ააშენა სამ ოთახიანი სახლი, შეიძინა სოფლის ინვენტარი, მიიღო 150 მეტრი მანუფაქტურა; კოლმეურნეობაში შესვლამდე ის პურს ყოველთვის ყიდულობდა, ეხლა კი 100 ფუთი ზედმეტი აქვს.

პურის ნაკლებობის საუკუნობრივი პრობლემა დასავლეთ საქართველოში ძირითადად უკვე გადაწყვეტილია. ისტორიას ჩაბარდა უმიწყწლობის და აგრარული ზედმეტი მოსახლეობის პრობლემა, ბოლო მოეღო დასავლეთ საქართველოს გლეხების მასიურ ხეტიალს მთელს ტერიტორიაზე მუშაობის საძებნელად. ეხლა ჩვენ ვეძებთ ხალხს საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ.

შეიცვალა ჩაის რაიონების სოფლის პოლიტიკური სახე. კოლმეურნე გლეხი სოციალიზმის აქტიური მშენებელი გახდა, და ჩაიმ აღმოფხვრა მენშევიზმის გავლენა დასავლეთ საქართველოში. განსაკუთრებით გურიაში. ჩაიმ განდევნა მენშევიზმი მოკალათებულ ადგილებიდან.

ჩვენ თამამად შეგვიძლია დავადასტუროთ საქ. კ. პ. (ბ) ყრილობაზე: „საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა კავშირის უცხოეთისაგან დამოუკიდებლობას ჩაის წარმოების დარგში, როგორც ეს აღნიშნული იყო საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მიერ ამას წინად მიღებულ გადაწყვეტილებაში. ჩაის კულტურის შემდგომი განვითარების საქმე საიმედო ხელშია.

ციტრუსების მეურნეობა

შემდეგი საკითხი, რომელზედაც მე მინდა შევაჩერო ყრილობის ყურადღება, ესაა—ციტრუსების მეურნეობა.

პირველად მე-9 ყრილობაზე განსაკუთრებული მნიშვნელობით დაისვა ციტრუსების მეურნეობის განვითარების საკითხი. ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის ზრდა მოითხოვს იმას, რომ ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი გახდეს ფართო მოხმარების საგნად. თუ წინად ციტრუსოვანი ნაყოფი წარმოადგენდა ფუფუნების საგანს, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ბურჟუაზიისათვის, ამჟამად ჩვენს წინაშე დასმულია საპატიო ამოცანა ლიმონი, მანდარინი და ფორთოხალი გაჩნდეს საბჭოთა ქვეყნის მუშის მაგიდაზე.

ამხ. სტალინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოში ციტრუსოვანი მეურნეობის განვითარებას და პირადად თვითონ გვიწევს ყოველდღიურ დახმარებას. ამხ. სტალინმა ჩვენს წინაშე დასახა ამოცანა მივცეთ საბჭოთა ქვეყანას 1937 წელს არა ნაკლებ ნახევარი მილიარდი ციტრუსოვანი ნაყოფი.

ეს გვავალდებს ჩვენ გაიშალოს გრანდიოზული, ნამდვილად ბოლშევიკური მუშაობა საქართველოში ციტრუსოვანი მეურნეობის ყოველმხრივი განვითარების ამოცანების ირგვლივ.

რა ნარგავები მოგვეპოვება ჩვენ ამჟამად? ლიმონის ხე 50.000 ცალამდე, მანდარინის — 1.350.000 ცალი, ფორთოხალის—21.000, გრეიფრუტის—3.000 ცალი. სულ ციტრუსოვანი ნარგავები — 1.424.000 ცალი.

ეს რომ ვიანგარიშოთ მთლიან ნარგავებად: ლიმონი — 100 ჰექტარამდე, მათ შორის საბჭოთა მეურნეობებში — 80 ჰექტარი; მანდარინი—2.700 ჰექტარი, მათ შორის საბჭოთა მეურნეობებში — 1.400 ჰექტარი, ფორთოხალი— 70 ჰექტარი, მათ შორის საბჭოთა მეურნეობებში — 26 ჰექტარი; გრეიფრუტი—6 ჰექტარი (ფოთის საბჭოთა მეურნეობაში).

ციტრუსების ძირითადი მასა ამჟამად თავმოყრილია აჭარისტანში, სადაც ჩვენ გვაქვს მთელი ნარგავთა 68 პროცენტი, აფხაზეთში — 19 პროცენტი და სხვა რაიონებში — 13 პროცენტი.

1932 და 1933 წლებში დარგული იქნა სულ 344.659 მანდარინის ნერგი, ანუ ფართობზე გადაყვანით 595,7 ჰექტარი; ლიმონი სულ 19.912 ნერგი (39,8 ჰექტარი); ფორთოხალი 6113 ნერგი (12,2 ჰექტარი).

ყველა ნარგავი სათანადო მოვლის პირობებში აუცილებლად მოგვცემს არანაკლებ ნახევარ მილიარდ ცალ ნაყოფს.

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მივიღოთ ეს, რომ შევასრულოთ პარტიის ბელადის მიერ ჩვენს წინაშე დასმული ამოცანა?

ამისათვის საჭიროა, რათა ციტრუსის თვითეული ხისათვის შემოღებული იქნეს პასპორტი, რათა ჩატარებული იქნას დროული და მართებული გასხლვა - გაფორმება პლანტაციებში ნიადაგის თავის დროზე დამუშავება თვითეული მცენარის ირგვლივ და ჩამორეცხვისაგან დაცვა, ამისათვის აუცილებელია ორგანიული და მინერალური სასუქის შეტანა, უნდა მოვაწყოთ ქარისაგან, ყინვებისაგან, მავნებლებისაგან დაცვა, თვითეული ციტრუსოვანი ხე უნდა იქნას აღრიცხული და მას უნდა გაეწიოთ მეთვალყურეობა, ეს კი უნდა ხდებოდეს სისტემატიურად.

ჩვენი სისუსტე ჯერ კიდევ იმაშია, რომ ძალიან ნაკლებად დავეუფლეთ ციტრუსოვანი კულტურების აგროტექნიკას. სამეცნიერო - საკვლევო მუშაობა ციტრუსოვანი კულტურის შესწავლისათვის დაყენებულია სრულიად არადამაკმაყოფილებლად. ჩვენს უახლოეს ამოცანას წარმოადგენს სამეცნიერო - საკვლევო მუშაობის გაშლა. საჭიროა ფართო აგროტექნიკური პროპაგანდა: მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ლიმონტრესტმა უნდა გამოსცენ მთელი რიგი პოპულარული ბროშურები, პლაკატები, და სხვა ციტრუსების დარგში და გაშალონ წრეების ქსელი ციტრუსოვანი კულტურის აგროტექნიკის ათვისებისათვის. საქართველოს განათლების სახალხო კომისარმა ამხ. ბედიამ უნდა გარდაქმნას სკოლების მუშაობა ციტრუსოვანი კულტურების რაიონებში; ციტრუსების აგროტექნიკის შესწავლა უნდა შევიდეს სკოლების პოლიტექნიზაციის პროგრამაში. განათლების სახალხო კომისარიატმა უნდა გამოსცეს მთელი რიგი თვალსაჩინო სახელმძღვანელოები სკოლებისათვის; თვითეული სკოლის წინაშე უნდა დაისვას სასკოლო მიწის ნაკვეთზე მანდარინის, ლიმონის და ფორთოხლის განვითარების ამოცანა; ეს მისცემს შემოსავალს სკოლას და ჩვენ გვეყოლება ადამიანთა ისეთი კადრი, რომელთაც შეთვისებული ექნებათ ციტრუსოვანი კულტურების ელემენტარული აგროწესები. გადაწყვეტილია მიმდინარე წელს გავგზავნოს საზღვარგარეთ ჩვენი საუკეთესო სპეციალისტების, ციტრუსების საქმის ენტუზიასტების ჯგუფი, რათა მან შეისწავლოს საზღვარგარეთის გამოცდილება და გამოიყენოს ის ჩვენს პირობებში.

როგორც თქვენ იცით, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით საკავშირო მიწსახკომთან მოეწყო სუბტროპიკების სამმართველო ამხ. ლუკავას მეთაურობით. ასეთი სამმართველოს ორგანიზაცია, ვფიქრობ, უზრუნველყოფს სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმის გაუმჯობესებას.

ჩვენს შავი ზღვის სანაპიროებს აქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ შემდგომ განავითარონ ციტრუსების კულტურა სამრეწველო მასშტაბით. ქ. ფოთის, ბათომის და სოხუმის დადებითი გამოცდილება ქალაქის სახლების საკარმიდამო ნაკვეთებზე ლიმონის, მანდარინის და ფორთოხლის გაშენების საქმე ფართოდ უნდა იქნას გავრცელებული. ისეთმა რაიონულმა ცენტრებმა, როგორიცაა ოზურგეთი, ლანჩხუთი, ზუგდიდი, სენაკი, ხობი და სხვ. ამოცანად უნდა დაისახონ ციტრუსების გაშენება ქალაქის საკარმიდამო ნაკვეთებზე.

ჩვენ გავაშენებთ ციტრუსებს არა მარტო საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, არამედ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზედაც და ეს გვაძლევს ნამდვილად უდიდეს შესაძლებლობას საქართველოში ციტრუსების მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ციტრუსების გაშენება გლეხთა მეურნეობებში წარმოადგენს გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლების უდიდეს ფაქტორს და კოლმეურნეებისათვის შეძლებული ცხოვრების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: ლანჩხუთის რაიონში გულიანის კომუნას უდგას 50 ძირი მანდარინი, 1933 წელს მან შეაგროვა 16.000 ცალი მანდარინი, რომლის რეალიზაციის შემდეგ მიიღო 2.700 მანეთი.

კოლმეურნე **ექვთიმე ნაკაიძეს** (ლ. კა) საკარმიდამო ნაკვეთზე უდგას 120 ძირი მანდარინი, 1933 წელს მან შეაგროვა 30.000 ცალი მანდარინი და რეალიზაციის შემდეგ მიიღო ფულად 5.500 მანეთი.

ნევრონ ჩხაიძეს უდგას 90 ძირი მანდარინი, 1933 წელს მან შეაგროვა 21.380 ცალი მანდარინი და რეალიზაციის შემდეგ მიიღო 4.100 მანეთი.

ერთპიროვნულ მეურნეს **იოსებ აფშილავას** უდგას 100 ძირი ხე, 1933 წელს მან შეაგროვა 20.384 ცალი მანდარინი და რეალიზაციის შემდეგ მიიღო 3.500 მანეთი.

მე ავიღე ლანჩხუთის რაიონი, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. ავიღოთ აჭარისტანი: ვოროშილოვის სახ. კოლმეურნეობას (ქობულეთის რაიონი) უდგას 15.999 ძირი მანდარინი, აქედან ნაყოფს იძლევა 8.964, 20 ძირი ფორთოხალი და 90 ძირი ლიმონი, აქედან ნაყოფს იძლევა 15. 1932 წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 214.648 ცალი მანდარინი და მიიღეს 43.701 მან. შემოსავალი. 1933 წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 4 მილიონი ცალი მანდარინი, 3 ათასი ცალი ფორთოხალი და 680 ცალი ლიმონი და მიიღეს შემოსავალი 480.000 მანეთის რაოდენობით, რაც შეადგენს კოლმეურნეობის მთელი შემოსავლის 70 პროც., სოფ. ხუცუბნის მცხოვრებს (ქობულეთის რაიონი) ისკანდერ იუსუფიძეს მოწყობილს უდგას 500 ძირი მანდარინი (ყველა ნაყოფს იძლევა), 5 ძირი ფორთოხალი (აქედან ნაყოფს იძლევა ერთი ხე), 15 ძირი ლიმონი (ნაყოფს იძლევა 5 ძირი). 1933 წელს მან ჩააბარა 160.000 ცალი მანდარინი, 100 ცალი ფორთოხალი და 400 ცალი ლიმონი. ფულად მიიღო 25.036 მანეთი და 780 კილო ხორბალი.

ისმაილ ხუსეინისძე ბაუჟაძეს (სოფ. ხუცუბანი, ქობულეთის რაიონი) უდგას 800 ძირი ხე, აქედან ნაყოფს იძლევა 400 ძირი, ფორთოხალი 30 ძირი (ნაყოფს იძლევა 20 ძირი); 1933 წელს მან ჩააბარა 170.740 ცალი მანდარინი და 980 ცალი ფორთოხალი. მიიღო ფულად 27.818 მან. და 45 კაპ. და 1.040 კილო ხორბალი. 1933 წელს მან დარგა 40 ძირი, მანდარინი და 15 ძირი ფორთოხალი.

ელიას ხუსეინისძე დუმბაძეს (პარტიის კანდიდატი) ქობულეთის რაიონის სოფ. ხუცუბნის მცხოვრებს უდგას 250 ძირი მანდარინი, ყველა ნაყოფის მომცემი, და 2 ძირი ლიმონი (2 წლიანი); 1933 წელს ჩააბარა 99.057 ცალი და მიიღო ფულად 15.639 მანეთი და 390 კილო ხორბალი.

ელიას აბმედისძე ინაშვილს (სოფ. ქობულეთის მცხოვრები) უდგას 300 ძირი ნაყოფის მომცემი ძველი მანდარინის ხე. 1933 წელს მან ჩააბარა 2.000 ცალი, რისთვისაც მიიღო ფულად 32 ათასი მანეთი და 1.040 კილო ხორბალი.

შაქირ ბერიძეს (სოფ. მახინჯაურის მცხოვრები) 1932 წელს ედგა 900 ძირი მანდარინი და 50 ძირი ფორთოხალი. ძირითადად ყველა ისინი ნაყოფის მომცემია. 1933 წელს მან ჩააბარა: 200.000 ცალი მანდარინი, 19.000 ცალი ფორთოხალი და მიიღო ფულად 24.000 მანეთი და 1.000 კილო ხორბალი. 1933 წელს მან ახლად დარგა 50 ძირი მანდარინი.

მამედ რასიმეს-ძე კადი-ოღლის (სოფ. მახინჯაურის მცხოვრები) აქვს: მანდარინი—300 მსხმოიარე ხე, ფორთოხალი — 20 ხე (მათგან 5 მსხმოიარე), ლიმონი—50 ხე (აქედან 30 მსხმოიარე). 1933 წელს ჩააბარა მანდარინი—150.000 ცალი, ფორთოხალი—2.500 ცალი, ლიმონი —5.500 ცალი. მიიღო: ფულად — 22.000 მან. ხორბალი—896 კილო.

სოლომონ დობორჯგინიძემ (ქ. ფოთის მცხოვრები, ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მონტიორი), რომელსაც 100-მდე ხე აქვს, 8 წლიან ხიდან საშუალოდ შეაგროვა 1550 ცალი და პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიიღო 30.000 მანეთამდი შემოსავალი.

ეს მაგალითები იმისათვის მოვიყვანე, რომ ამხანაგებმა ნათლად დაინახონ, თუ რა სარგებლობას აძლევს ციტრუსოვანი კულტურების გაშენება თვითონ ამ საქმის მუშაკებსაც და სახელმწიფოსაც.

როცა ციტრუსოვანი საბჭოთა მეურნეობების განვითარებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს კულტურა ვერ განვითარდება მსხვილი მთლიანი მასივებით. ციტრუსების კულტურა მოითხოვს თავისი ნიადაგობრივ-კლიმატიური პირობებით პატარა უბნების (მიკრორაიონების) გულდასმით შერჩევას. ამავე დროს კი არის შემთხვევები, როცა საბჭოთა მეურნეობები სიფრთხილეს უყურიან ამ პირობათა გაუთვალისწინებლად. მაგალითისათვის გამოდგება ფოთში ლიმონმანდარინის ტრესტის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც პირდაპირ ჭაობებზეა გაშენებული.

ციტრუსების განვითარებისათვის ისევე უნდა ვიბრძოლოთ, როგორც ჩაის განვითარებისათვის ვიბრძვით ჩვენ ფართობის რაოდენობას კი არ უნდა გამოვეკიდოთ, არამედ მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ ხარისხს. მაგრამ უახლოეს წლებში ჩვენთვის აუცილებელია უზრუნველვყოთ ციტრუსების ფართობის თვალსაჩინო გადიდება.

ციტრუსოვანი ნარგავების რაოდენობრივი ზრდის საქმეში დღემდის ჩვენ საზღვარს გვიდებს სარგავი მასალის სიმცირე.

1934 წლისათვის ჩვენში არსებულ სარგავ მასალას შეუძლია უზრუნველყოს 400 ჰექტარი ნარგავები მაინც (მთლიან ნარგავებზე გადაყვანით), აქედან ლიმონი—100 ჰექტარზე მეტი. 1934 წელს ჩვენ პირველად დაურიგებთ ციტრუსების ნერგს კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეებს საკარმიდამო მიწებზე გასაშენებლად. სულ საქართველოში გაშენდება: მანდარინი—74 ჰექტარი, ლიმონი—139 ჰექტარი, ფორთოხალი—5 ჰექტარი; რემონტი ჩატარდება: მანდარინის ფართობის—74 ჰექტარზე, ლიმონის —6 ჰექტარზე. მთელი ეს რაოდენობა განაწილდება აჭარისტანში, აფხაზეთში, ოზურგეთის რაიონში, ფოთში, ლანჩხუთის, ზუგდიდის, სენაკის და ხობის რაიონებში.

ციტრუსოვანი მეურნეობის განვითარების დარგში მთავარი უდიდესი ამოცანები ჩვენგან მოითხოვენ განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობას სანერგეების მეურნეობის მოწყობის საკითხებისადმი. დღემდის ჩვენში სანერგეები ცოტაა შექმნილი (10 სანერგე, რომელთა საერთო ფართობი 22 ჰექტარს შეადგენს). ზოგიერთ შემთხვევაში სანერგეები შეუფერებელ ადგილებზეა მოწყობილი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს შედარებით კარგი მუშაობა ბათომის ქალაქის საბჭოს სანერგისა ამხ. გორდეზიანის მეთაურობით, და ლიმონ-მანდარინის ტრესტის ქობულეთის სანერგისა, ჩვენი ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტის ამხ. ალიაშვილის მეთაურობით. და ჩვენში ცოტანი როდი არიან ისეთი კარგი სპეციალისტები, რომელთაც ყურადღებით უნდა მოვეპყრათ.

1934 წელს ჩვენ სანერგეთა ფართობი უნდა ავიყვანოთ 50—60 ჰექტარამდე, როგორც საბჭოთა მეურნეობებში, ისე კოლმეურნეობებში და ჩავატაროთ კვირტში მყნობა და მყნობა 1 ნახევარ მილიონი ცალის რაოდენობით.

ჩვენი სანერგეების მეურნეობანი უნდა გადაიქცნენ ციტრუსოვანი კულტურების სანიმუშო გამშენებლებად. სანერგეები უნდა გახდნენ განსაკუთრებული ყურადღების და ზრუნვის ობიექტად პარტიული ორგანიზაციების მხრივ, გარდა ამისა, ენერგიულად უნდა შევუდგეთ სხვა სუბტროპიკული კულტურების გაშენებასაც, რომლებიც კი ჩვენში იხეირებენ: ანანის, ფეიხოის, იაპონური ხურმის და სხვ. გაშენებას.

აი ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე ციტრუსების მეურნეობის გაშლის საქმეში დგას.

ბრძოლა ციტრუსებისთვის, ისევე როგორადაც ბრძოლა ჩაისთვის, უნდა გადაიქცეს საქართველოს პარტორგანიზაციების სასახელო საქმედ.

საქართველოს ბოლშევიკების მე-9 ყრილობა, მე ვფიქრობ, დაადასტურებს, რომ პარტიის ბელადისადმი მიცემულ დაპირებას ჩვენ შევასრულებთ და საბჭოთა ქვეყანას მივცემთ 1937 წელს არა ნაკლებ ნახევარ მილიარდ ციტრუსოვანი ნაყოფისა! **(ტაში).**

კ ო ლ ხ ი დ ა

ციტრუსების განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთელი საბჭოთა კავშირისათვის ვაწარმოებთ დიდ მუშაობას კოლხიდის დაბლობის ამოშრობისათვის.

ამოშრობილი მიწა განკუთვნილია მაღალ ღირებულებიანი სუბტროპიკული კულტურების დანერგვისათვის, პირველ რიგში ციტრუსების—ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის, გრეიპფრუტისათვის, აგრეთვე ჩაის, რამის, ტუნგოს ხისა და მთელ რიგ სხვა ძვირფას კულტურათათვის.

კოლხიდის დაბლობის ამოშრობით იქმნება აგრეთვე დიდი შესაძლებლობანი სააღრეო და ზამთრის მებოსტნეობისთვის.

ამნაირად, ვსპობთ რა ავი მალარიის ბუდეს, ვაჯანსაღებთ რა უზარმაზარ რაიონს, ჩვენ მის ადგილას ვქმნით მაღალ ღირებულებიანი კულტურების რაიონს.

ამოშრობის სამუშაოები დაიწყო 1924 წელს, და თუ 1932 წლამდე (7 წლის განმავლობაში) დახარჯულ იქნა სულ 4.670 ათასი მანეთი, დაწყებული 1932 წლიდან მუშაობას დიდი გაქანება ეძლევა: უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იქ დაბანდებულია 13.350 ათ. მანეთი.

მიწის სამუშაოები შესრულებულია: 1932 წლამდე (7 წლის განმავლობაში)—465 ათ. კუბომეტრი. 1932 და 1933 წლების განმავლობაში 1729 ათასი კუბომეტრი 7 წლის განმავლობაში მომზადებული იქნა ფართობი 300 ჰექტარი, 1932 და 1933 წ. წ. კი—5.300 ჰ.

1932 წლამდე კოლხიდმშენი სამუშაოებს პრიმიტიული წესით აწარმოებდა, რაც ვერ უზრუნველყოფდა მუშაობის საჭირო ტემპებსა და გაქანებას.

მხოლოდ 1932 წლის დაწყებიდან იქნა შემოღებული მექანიზაცია და 1933 წლის დამლევისათვის მშენებლობაში გვაქვს 16 ექსკავატორი, 3 მიწამღები, 20 ტრაქტორი (მათ შორის არის 15 მძლავრი მუხლუხოვანი კატერპილერი).

მიმდინარე წელს პირველად იქნა შემოღებული ეგრეთწოდებული მუხუქი მექანიზაცია, იხმარება მუხუქის ტიპის არხთხრელები, რომლებსაც ტრაქტორები ამოძრავებენ, აგრეთვე ჩატარდება აფეთქებადი სამუშაოები, რაიც, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, კარგ შედეგებს იძლევა.

1934 წ. კოლხიდმშენის მუშაობა ძლიერდება. წლის განმავლობაში დაბანდებული იქნება 11.650 ათ. მანეთი და ფართობთა გამოსავალი დაახლოვებით 900 ჰექტ. იქნება.

ამნაირად, 1934 წლის დამლევისათვის ჩვენ გვექნება 14.600 ჰექტარი ამოშრობილი ფართობი.

მუშაობის ასაჩქარებლად აუცილებლად საჭიროა მოვახერხოთ და დამატებით მივიღოთ ექსკავატორები, მიწამღებები, ტრაქტორები და სხვა.

ამოშრობილი მიწების ათვისება პირველ ორ წელიწადს იწარმოებს ეგრეთწოდებული წინამორბედი კულტურების — სიმინდის, სოიას და სხვ. დათესვის გზით, ხოლო შემდეგ დაიწყება სუბტროპიკულ კულტურებზე გადასვლა. ამიტომ ჩვენ აუცილებლად უკვე 1934 წლიდან უნდა ჩავატაროთ ღონისძიებანი ამოშრობილი მიწების დასასახლებლად და მოვამზადოთ მათი ათვისებისათვის. 1940 წლისთვის უნდა ამოვშროთ 214 ათ. ჰექტარი. კოლხიდაში მუშაობის პირობები უეჭველად მძიმეა, მაგრამ ამხ. ბესარიონ გოგიამ, ამ საქმის დიდ პატრიოტმა, ენერგიულად მიჰყავს ეს საქმე და ბოლომდეც მიიყვანს.

ევკალიპტები და ტუნგოს ხე

მე მინდა, ამხანაგებო, შევაჩერო თქვენი ყურადღება კოლხიდასთან დაკავშირებით, კიდევ ერთ პატარა საკითხზე: ევკალიპტისა და ტუნგოს ხის გაშენებაზე.

ევკალიპტების გაშენება ხდება თესლით და ძალიან სწრაფად იზრდება. ასე, მაგალითად, დარგვის 4-5 წლის შემდეგ ხე აღწევს 8 მეტრის სიმაღლეს. ევკალიპტის ტანი სწორი, ცილინდრულია და ეს მას ხდის გამოსადეგად ანძებისთვის, ტელეგრაფ-ტელეფონის სვეტებისათვის, ხიდებისა და სხვადასხვა ნაგებობათათვის.

მერქანი იხმარება ყოველგვარი ნაგებობისათვის და ყოველგვარი ნივთის დასამზადებლად როგორიცაა: საზღვაო ნავსაყუდი, ავეჯეულობა, პარკეტი, ხიდის ფენილი, რკინის გზის შპალები, ვაგონები და ურმები, სამიწათმოქმედო იარაღები და საზღვაო გემები. არ ეშინია სინესტის და ძნელად ლპება; ერთი სპეციალისტი ასწერს, რომ მან ნახა შპალები, რომლებმაც 25 წელიწადი დაჰყვეს მიწაში სრულიად შეუცვლელად.

ევკალიპტს შეწოვის უდიდესი უნარი აქვს და ჭაობიანი ნიადაგი უყვარს; ასეთ ადგილებში ევკალიპტების გაშენების შემდეგ ნიადაგი უფრო მშრალი ხდება და ციება ისპობა.

ფოთლებიდან მზადდება ეგრედ წოდებული ევკალიპტის ზეთი, რომელიც მედიცინაში იხმარება.

აღნიშნულ თვისებათა გარდა, ევკალიპტის ხე შეიძლება გამოყენებულ იქნას, ჩაის და ციტრუსოვან კულტურების პლანტაციებისათვის ქარისაგან დასაცავი ნარგავების გასაშენებლად. ევკალიპტი მუდამ მწვანე ხეა.

დაახლოებითი გამოანგარიშებით აჭარისტანში არის 1000-ზე მეტი, ხოლო აფხაზეთში 4.000-ზე მეტი ძირი ევკალიპტი.

ევკალიპტის გაშენება დიდ ხარჯებსა და განსაკუთრებულ მოვლას არ მოითხოვს; თესლი ითესება ყუთებში, 10-12 დღის შემდეგ ამოდის, ხოლო სამი-ოთხი თვის შემდეგ გამაგრებული ნერგები ირგვება ნიადაგში და სწრაფად იზრდება.

როდესაც მე აჭარისტანში, ვიყავი, ამხ. გიურჯოვი და სხვა ამხანაგები თამპირდენ, რომ 1934 წელს 200 ათასამდი ევკალიპტს დარგავენ, ფოთში ამხ. მალანია აპირებს აჭარისტანს გაუსწროს და ნახევარი მილიონი ასეთი ხე დარგოს.

გიურჯოვი (ადგილიდან): ამას კიდევ დავინახავთ.

ბერია: მაგრამ აფხაზეთიც არ ჩამოუვარდება არც ფოთსა და არც აჭარისტანს. ევკალიპტი ყოველმხრივ მეტად ძვირფასი ჯიშის ხეა და მის გაშენებას ყოველნაირად ხელი უნდა შევუწყოთ.

მცირე მნიშვნელობა არა აქვს აგრეთვე ტუნგოს ხის გაშენებას. ამ კულტურას ჩვეულებრივ ისეთ მიწებს უთმობენ, რომლებიც არავითარი მინდვრის კულტურისათვის არ ვარგა. ტუნგოს ხის ნაყოფისაგან ღებულობენ ეგრეთწოდებულ ტუნგოს ზეთს, რომელიც მეტად საჭიროა ჩვენი ლაქ-საღებავის მრეწველობისათვის.

ამჟამად აფხაზეთში ტუნგოს ნარგავებს უჭირავს 114,5 ჰექტ. 22.300 ძირით, ხოლო აჭარისტანში 221 ჰექტარი 38.920 ძირით.

მარტო აჭარისტანში დამზადებულია 1934 წელს დასარგავად 70.900 ნერგი, რითაც უზრუნველყოფილია 180 ჰექტარის ათვისება.

ჩვენი ამოცანაა — დეტალურად შევისწავლოთ დასავლეთ საქართველოს რაიონები და უშუალოდ შევუდგეთ ძვირფასი ხეების ამ ორი ჯიშის სწრაფ გავითარებას.

მ ე თ ა მ ბ ა ქ ო ო ბ ა

მეთამბაქოობა—საქართველოს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგი — 1932 წლამდე აშკარა დეგრადაციას განიცდიდა.

ძველი ხელმძღვანელობა გატაცებული იყო ნათესი ფართობების რაოდენობრივი ზრდით, მეთამბაქოობის რაიონების შრომითი რესურსების მხედველობაში მიუღებლად და სრულებით ივიწყებდა მუშაობის ხარისხს. თამბაქოს ფასები დაბალი იყო, დასაქონლება, კერძოდ პურით, ვერ აკმაყოფილებდა კონტრაქტანტებს.

ამის შედეგად, საგრძნობლად შესუსტდა მეთამბაქოეთა დაინტერესება თამბაქოს გაშენებაში და 1932 წლისათვის თამბაქოს მოსავლიანობა და ხარისხი კატასტროფულად დაეცა, განსაკუთრებით თამბაქოს ძირითად რაიონში—აფხაზეთში. ამის მაჩვენებლები არა ერთხელ გამოქვეყნებულა და მე აქ ამას აღარ გავიმეორებ.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 1932 წელს, მას შემდეგ, რაც ამხ. სტალინმა ყურადღება მიაქცია მეთამბაქოობის მდგომარეობას.

ამხ. სტალინის დახმარების მეოხებით, გატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი: ნათესი ფართობი შემცირებულ იქნა თვითეული რაიონის რეალურ შესაძლებლობამდე: 1932 წელს დარგულ იქნა 18.920 ჰექტარი; თამბაქოს ფასები, განსაკუთრებით მაღალხარისხოვან აფხაზეთის თამბაქოს ფასები, გადიდებულ იქნა. ასე, მაგალითად, აფხ. სამსუნის ჯიშის ტონა თამბაქოს ფასები 1931 წლის 1.557 მანეთიდან 1933 წელს გადიდებულ იქნა 2.800 მანეთამდე, აფხ. ტრაპეზუნდის ჯიშის ტონა თამბაქოს ფასი 1931 წლის 1.432 მანეთიდან 1933 წელს გადიდებულ იქნა 2.300 მანეთამდე.

გავადიდეთ დასაქონლება, კერძოდ პურით (აფხაზეთში ტონაზე 8 ცენტნერის ნაცვლად — 18 ცენტნერი და 2 ცენტნერი მარცვლეული ფურაჟი) მეთამბაქოეებს ნება დავრთეთ დაწესებული ნორმის ჩაბარების შემდეგ თამბაქოს 5 პროცენტი დაიტოვონ თავის განკარგულებაში. ენერგიულად შეუდექით თამბაქოს დარგვას, როგორც ყამირში, ისე სათბურებში.

ამის შედეგად, უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში თამბაქოს მეურნეობა შეუჩერებლივ იზრდება. მიუხედავად ფართობის შემცირებისა, თამბაქოს გამოსავალი გაიზარდა: 1931 წელს შეადგენდა 9.180 ტონას, ხოლო 1933 წელს მოველით 11.200 ტონას.

თამბაქო გადაიქცა მეთამბაქოობის რაიონების კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ გლეხთა კეთილდღეობის წყაროდ. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: ლაგოდეხის რაიონის თამბაქოს კოლმეურნეობა „დამკვრელი" ჩამოყალიბდა 1931 წელს. 1931 წელს ფულადი შემოსავალი შეადგენდა 2 მან. 17 კაპეიკს (შრომადღეზე) ნატურით—14 გირ., 1933 წელს ფულადი შემოსავალი 5 მ. 80 კაპ., ხოლო ნატურით—29 გირ., კოლმეურნე ჩახავაშვილს 733 შრომადღეში ეძლევა: ფულით — 2.932 მან., მარცვლეული — 530 ფუთი, კარტოფილი — 36 ფუთი, ლობიო — 18 ფუთი.

თამბაქოს კოლმეურნეობა „ქარიშხალი"-ს ფულადი შემოსავალი 1932 წელს უდრიდა 3 მან. 69 კაპ., ხოლო ნატურით — 12 გირ. მარცვალს; 1933 წელს: ფულით—6 მან. 20 კაპ., ნატურით — 19 გირვანქა მარცვალი. კოლმეურნეობამ ააგო ხე-ტყის სახერხი ქარხანა, თავლა 40 ცხენისათვის, ბოსელი 40 სული მსხვილფეხა საქონლისთვის, სასიმინდე 2.500 ფუთის ტევადობით, ათ თვალი თამბაქოს ფარდული, აგურ-კრამიტის სახელოსნო, ბაგა 60 ბავშვისთვის და სხვ.

კოლმეურნეობა „კრასნი ორაკჩი" აფხაზეთში (ოჩამჩირის რაიონი, არაქჩის სასოფლო საბჭო) კოლმეურნეობა აერთიანებს 109 მეურნეობას სოფლის 138 მეურნეობიდან, ე.ი. 79 პროცენტს. 1932 წ. თამბაქო გაშენებული იყო 119 ჰექტარზე, 5,5 ჰექტ. მოსავლიანობით. 1933 წელს ფართობი შემცირდა 70 ჰექტარამდე, მაგრამ მოსავლიანობა გაიზარდა 8,7 ცენტნერამდე ჰექტარზე. კოლმეურნეობამ 1933 წელს ააგო: წისქვილი 45 ცხენის ძალის მექანიკური ძრავით, ღირებული 36.236 მანეთად, 81 თვალი თამბაქოს ფარდული, ღირებული 9.903 მანეთად, 7 ბოსელი 122 სული პირუტყვისათვის და ერთი სამჭედლო. გააშენა აგრეთვე 10 ჰექტარი ხეხილი (ვაშლი, მსხალი და სხვა), გაყიდა 40 ათასი მანეთის თამბაქოს ნერგი. კოლმეურნეობა წლიდან წლამდე გადაჭარბებით ასრულებს თავის ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე თამბაქოს ჩაბარების ხაზით. მაგალითად, 1932 წელს თამბაქოს ჩაბარების გეგმა კოლმეურნეობამ შეასრულა 143 პროცენტით. 1933 წელს თამბაქოს ჩაბარების დეკემბრის თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულებულია.

გეგმების, დავალებების სისტემატიურად შესრულების და შრომისადმი გულმოდგინე დამოკიდებულების შედეგად, კოლმეურნეობა და კოლმეურნეები მტკიცედ მიდიან შეძლებული კულტურული ცხოვრებისაკენ. 1934 წლის 1 იანვრისათვის კოლმეურნეობაში არცერთი უძროხო მეურნეობა არ არის.

აი როგორ გაიზარდა თვით კოლმეურნეთა კეთილდღეობა: კოლმეურნეობის ორგანიზატორმა **გალუსტ ზეითუნიანმა** (ყოფ. ღარიბი გლეხი, რომელიც კოლმეურნეობის მოწყობის დღიდან მის სათავეში დგას, 1933 წელს გამოიმუშავა 450 შრომადღე, ხოლო ოჯახის წევრებთან ერთად — 626 შრომა-დღე, ააგო ახალი სამოთახიანი სახლი. 1933 წლის დამდეგს შეიძინა ერთი ძროხა, ხოლო ამას წინად—ერთი ფურ-კამეჩი. გამომუშავებულ შრომა დღეებში ჯერ-ჯერობით მიიღო 1565 კილოგრამი სიმინდი და თამბაქოსთვის ავანსი—1057 კლგ. პურეულის პროდუქტები. სახელდახელო გამოანგარიშებით მას კიდევ ერგება 40 ფუთი პური და ფულით 2254 მან.

მელქონ სელევიანს ყოფილ მოჯამაგირეს, კოლმეურნეობაში შესვლამდე არაფერი ქონდა, არ გააჩნდა თავისი კუთხე, რის გამო სხვებთან ათევდა ღამეს. კოლმეურნეობაში ირიცხება 1929 წლიდან. 1933 წელს გამოიმუშავა 330 შრომადღე, ააგო სამ-ოთახიანი სახლი, იყიდა რკინის საწოლი, შეიძინა ორი ძროხა, ორი გოჯი, ააშენა სასიმინდე.

ამბარცუმ ტოპჩიანი, კოლმეურნეობაში ირიცხება 1930 წლიდან, ყოფილი საშუალო გლეხია. გამოიმუშავა 462 შრომადღე, ოჯახის წევრებთან ერთად — 693. 1933 წელს ააშენა ახალი ოთხოთახიანი სახლი, აქვს ხუთი ზამბარიანი საწოლი, ყავს სამი ძროხა, ორი ფურკამეჩი და ორი გოჯი.

მისი ხვედრი პურის პროდუქტების და ფულის მიღების შემდეგ გადაწყვიტა, იყიდოს დიდი სარკე, პატეფონი და სხვ.

კოლმეურნეობას განზრახული აქვს 1934 წელს ააგოს 2 ოცდაოთხ თვალიანი ფარდული, ხე-ტყის სახერხი ქარხანა, მოახდინოს მთელი სოფლის ელექტროფიკაცია (რისთვისაც გამოიყენებს 45 ძალიან მოტორს).

1934 წლისათვის გეგმით გათვალისწინებულია თამბაქოს გაშენება 19.200 ჰექტარზე, აქედან 1.000 ჰექტარზე ბამბის ფართობის შემცირების გზით შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად, დიდი რაოდენობით შემოზიდული იქნება მინერალური სასუქი, გაშენდება სათბურები 100 ათას მეტრზე და სხვ.

დაკრედიტების საერთო რაოდენობა აყვანილია 5 მილიონ მანეთამდე, აქედან აფხაზეთისათვის — 4 მილიონი მანეთი.

ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ თამბაქოს საქმის შემდგომი განვითარება საქართველოში უზრუნველყოფილია.

მევენახეობა და მეხილეობა

საქართველოს მევენახეობისადმი დამოკიდებულება 1932 წლამდე ხასიათდებოდა სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის შეუფასებლობით და უგულებელყოფით.

ამის მკაფიო მაგალითებია: ყვარელის რაიონის დატვირთვა 1931 წელს კანაფის გეგმით 1.000 ჰექტარის რაოდენობით, სიღნაღის რაიონის დატვირთვა ბამბის და კანაფის გეგმით 8.200 ჰექტარის რაოდენობით. ზესტაფონის რაიონის სიმინდის ნათესების გეგმ-ით 1.500 ჰექტარის რაოდენობით.

ყველა ამას ზიანი მოჰქონდა მევენახეობისათვის.

ამას გარდა: დამზადების ფასები

(გაგრძელება იხ. მე-5 გვ.)

ეროვნული [illegible]

კომუნისტური პარტიის (ბ) IX ყრილობაზე 1934 წ. 10 იანვარს

დაბალი იყო (შვიდი მანეთი ვედრო); ყურძნის და ღვინის დამზადების გეგმიანი დასაქონლება პურით არ ხდებოდა; სადედეების გაშენების ტემპი სრულიად არადამაკმაყოფილებელი იყო.

ამის შედეგად გაუარესდა ნარგავების მოვლა-დამუშავება.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დახმარებით, ჩვენ 1932-33 წლებში ჩავატარეთ მევენახეობის აღდგენისაკენ მიმართული ღონისძიებები.

ეს ღონისძიებები მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ მევენახეობის ძირითადი რაიონები გავათავისუფლეთ შრომის ტევად ტექნიკურ კულტურებისაგან (კენაფი, სოიას მთლიანი ნათესები და სხვა), რომლებიც კონკურენციას უწევდნენ ყურძენს; შევამცირეთ კახეთში 1932-33 წლებში ბამბის ნათესები და სრულიად აღვკვეთეთ ბამბა 1934 წლისათვის, გავადიდეთ ღვინის დამზადების ფასი საშუალოდ 12 მანეთამდე ვედროზე დიფერენციაციით პროდუქციის ხარისხის მიხედვით, ჩავატარეთ ღვინის და ყურძნის დამზადების დასაქონლება პურით და მანუფაქტურით.

ამ ღონისძიებებმა უზრუნველყვეს მევენახეობის აღდგენა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ამერიკული ვაზის სადედეების გავითარებას, რადგან მევენახეობის ზრდას დღემდე განსაზღვრავდა სანამყენო მასალა—ამერიკული ვაზი.

1932 წელს ჩვენ ამერიკული ვაზის სადედეები გვქონდა სულ 338 ჰექტარზე, 1932—1933 წლებში სადედეები გაშენებული იქნა 340 ჰექტარზე, ე. ი. ფართობი ერთი ორად გაიზარდა.

1934 წელში ამერიკული ვაზის სადედეების ფართობი აყვანილი იქნება 800 ჰექტარამდე, რაც სანამყენო მასალით უზრუნველყოფს 7.000 ჰექტარ ვენახის გაშენებას ყოველწლიურად.

1932 და 1933 წლებში ვენახები გაშენებულია 2.496 ჰექტარზე; 1934 წელში უნდა ჩატარდეს დამყნა ისეთი რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს ვენახების გაშენებას 1500 ჰექტარამდე 1935 წელში.

1936-37 წლიდან ნერგების რაოდენობა საშუალებას მოგვცემს ჩვენ ვენახების გაშენება ვაწარმოოთ უფრო ფართო მაშტაბით, ვიდრე ეს დღემდე ხდებოდა.

1932-33 წელში ხეხილი დარგულია 3.190 ჰექტარზე. აქედან საბჭოთა მეურნეობებში 1000 ჰექტარზე.

ხეხილის გაშენების მხრით ჩვენ უდიდესი შესაძლებლობა გვაქვს და შემდეგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეხილეობის გავითარებას სამხრეთ-ოსეთში, ადიგენის, ტოლოშის და ახალციხის რაიონებში.

გარდა საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობებისა, ხეხილი უნდა გავაშენოთ კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწებზე და ერთპიროვნულ მეურნეობებში.

ამის გამო მეხილეობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს სანერგეების მეურნეობის გავითარება.

უკანასკნელ წლებში ვენახების და ხილის ბაღების მოვლა-დამუშავება საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

ამის მიზეზია არა საკმაო ყურადღება ვენახების და ხეხილის ნარგავების მოვლის ამოცანებისადმი, სამკურნალო მასალების ნაკლებობა (შაბიაბანი, გოგირდი და სხვ.), სპეციალური აგროქსელის უქონლობა, რომელიც სამსახურს უწევდეს მევენახეობას და მეხილეობას.

1936 წელში აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნას მტკიცე გეგმიანი ხელმძღვანელობა მევენახეობის და მეხილეობის დარგში, კერძოდ სადედეების და სანერგეების გავითარების საქმეში; რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებებთან და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან უნდა მოეწყოს სპეციალური აგროქსელი მევენახეობის და მეხილეობის მომსახურებისათვის კოლმეურნეობებში, კოლმეურნეთა საკარმიდამო მეურნეობებში და ერთპიროვნულ მეურნეობებში.

მეცხოველეობა

1930-31 წ. ჩვენ გვქონდა მეცხოველეობის მნიშვნელოვანი დაცემა საქართველოს მეცხოველეობის უმნიშვნელოვანეს რაიონებში.

ძლიერ იმატა პირუტყვის (განსაკუთრებით ახალგაზრდა პირუტყვის) სიკვდილიანობამ, ფართოდ გავრცელდა მწვავე გადამდები დაავადებანი, ძლიერ შემცირდა საკვები ბაზა. პირუტყვს სპობდნენ თვით გლეხებიც კულაკური აგიტაციის გავლენით.

ასეთი მდგომარეობა შედეგი იყო უხეში შეცდომებისა და გადახვევების კოლექტივიზაციის საქმეში 30-31 წ. წ. და მავნებელთა ორგანიზაციების მუშაობისა.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ორგანოების მიერ აღმოჩენილი განშტოებული მავნებლური ორგანიზაცია, რომელსაც მეთაურობდნენ სპეციალისტ-[illegible] ყოფ. თავადებიდან და მემამულეებიდან, მოქმედებდა როგორც მიწსახკომის ცენტრალურ აპარატში, ისე ჩვენი მეცხოველეობის სისტემის დაბლა საფეხურის რგოლებში, და აწარმოებდა ძირის გამომთხრელ მუშაობას ჩვენი მეცხოველეობის დასანგრევად, ხელოვნურად უცრიდა პირუტყვს საინფექციო სნეულებებს, შლიდა სილოსის დარგში მიღებულ ღონისძიებებს და სხვ.

განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდა მეცხვარეობა.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ გატარებულ იქნა ღონისძიებანი მავნებლობის შედეგების აღმოსაფხვრელად და პირუტყვის სულადობის აღსადგენად.

პოლიტგანყოფილებათა დახმარებით ჩატარებულია უდიდესი მუშაობა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო ფერმების გასაწმენდად მავნებლური და კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან. ეპიზოოტიის გავრცელების კერათა სალიკვიდაციოდ.

გაიშალა მუშაობა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების უზრუნველსაყოფად საკვები ბაზით (მიმდინარე ზამთრისათვის პირუტყვი უხეში საკვებით ძირითადად უზრუნველყოფილია), პირუტყვის მოვლის გასაუმჯობესებლად, მოზვრების ორგანიზებული გამოზრდისათვის მუშა პირუტყვის შესავსებად და დეკეულების კონტრაქტაციისათვის უძროხო კოლმეურნეების უზრუნველსაყოფად ძროხებით.

ამ ღონისძიებათა შედეგად მიმდინარე წელს სოციალისტურ სექტორში ჩვენ გვაქვს პირუტყვის სულადობის მატება, პირუტყვის სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი შემცირება და კოლმეურნეობებში საქონლო ფერმების რაოდენობის ზრდა.

ამასთან ერთად, ცალკეულ სარაიონო და სამიწათმოქმედო ორგანოთა მხრივ არასაკმაო ყურადღება ექცევა ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებს. ამით სარგებლობს კლასობრივი მტერი. ამ მხრივ ჩვენ არა გვაქვს რაიმე საგრძნობი გაუმჯობესება.

მიუხედავად ერთგვარი გაუმჯობესებისა, მეცხოველეობა მაინც რჩება სოფლის მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილ უბნად.

პირუტყვის სულადობის სრული აღდგენისა და სოციალისტური მეცხოველეობის სწრაფი გავითარებისათვის აუცილებელია: ბოლომდე მივიყვანოთ მუშაობა მავნებლობის ყველა შედეგის სალიკვიდაციოდ, გავაფართოვოთ და გავამტკიცოთ მეცხოველეობის საკვები ბაზა; დავეხმაროთ მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს მეცხოველეობის აწევის საქმეში საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მოვაგვაროთ უდროესად მეცხოველეობის რაიონების (თუშეთი, დუშეთის მაზრის მთიანი ნაწილი და სხვ.) პურით მომარაგების საკითხი.

ჩვენ უახლოეს დროში უნდა მივაღწიოთ მეცხოველეობის მკვეთრ აწევას, კერძოდ ახალგაზრდა პირუტყვის გამოზრდის გზით.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულ კოლმეურნეს ჰყავდეს თავისი ძროხა, ღორი, ცხვარი, ფრინველი.

მეაბრეშუმეობა

მთელი რიგი წლების განმავლობაში მეაბრეშუმეობაშიც ისე, როგორც მეცხოველეობაში, ადგილი ჰქონდა დიდ მავნებლობას, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა სახალხო მეურნეობის ამ უძვირფასეს დარგს.

მავნებელთა ორგანიზაციას, რომელიც მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის მთელ სისტემას მოედო, მეთაურობდა აბრეშუმის ტრესტის ხელმძღვანელი ჩხეიძე — ყოფილი ტროცკისტი და ნაციონალ-უკლონისტი, რომელიც პარტიის ბილეთს ამოფარებული. პროფესორ ცქიტიშვილთან ერთად ეწეოდა სისტემატიურ მუშაობას მეაბრეშუმეობისათვის ძირის გამოსათხრელად. ყველაზე დიდი ზიანი მავნებლებმა გრენაჟის საქმეს და საკვებ ბაზას მიაყენეს. გამოჰყვედათ და მეაბრეშუმეებს უგზავნიდნენ აშკარად დაზიანებულ გრენას. რასაც შედეგად მოჰყვა აბრეშუმის ჭიის მასობრივად დაღუპვა.

მავნებლების მიერ გატარებული ინკუბაციაც ხელს უწყობდა აბრეშუმის ჭიის დაღუპვას.

თუთის ნარგავების საბჭოთა მეურნეობებს უვარგის ადგილებზე აწყობდნენ და საჭირო ხდებოდა მათი ზედი-ზედ ლიკვიდაცია. მეაბრეშუმეობის 27 საბჭოთა მეურნეობიდან ლიკვიდირებულ იქნა 21

1.350 ჰექტარ გაშენებულ თუთის ნარგავიდან მხოლოდ 486 ჰექტარი გადარჩა და 122 მილიონი ნერგის ნაცვლად მივიღეთ მხოლოდ 12 მილიონი.

მავნებლობასთან ერთად, აბრეშუმის პარკზე არსებულმა დაბალმა ფასებმა და მეაბრეშუმეების პურითა და სამრეწველო საქონლით მოუმარაგებლობამ ძირიანად შეასუსტა გლეხების დაინტერესება, გამოიწვია მასობრივი უკმაყოფილება და დაცემამდე მიიყვანა მეაბრეშუმეობა.

გამოსავალი 1 კოლოფ გრენიდან 1932 წელს შემცირდა 13 კილოგრამამდე; 1929 წლის 25,3 კილოგრამის ნაცვლად, ხოლო პარკის დამზადების გეგმა შესრულებულ იქნა 40 პროცენტით.

მეაბრეშუმეობის აღორძინების მიზნით ჩვენ გავატარეთ ღონისძიებანი იმისათვის, რომ მავნებლურ ელემენტებისაგან გაგვეწმინდა და გულდასმით გაგვემტკიცებინა აბრეშუმის ტრესტის სისტემა. კერძოდ გრენაჟო ქარხნები; უზრუნველვყავით მეაბრეშუმეთა მომარაგება საკუთარი წარმოების კარგი ხარისხის საღი გრენით; ავწიეთ კილოგრამ პარკის ფასები 1 მან. 60 კაპიკიდან 5 მანეთამდე. გარდა ამისა, დაწესებულ იქნა პურის მტკიცედ გაცემა კილოგრამ პარკზე 2 კილოგრამის რაოდენობით, აგრეთვე მეაბრეშუმეთა დასაქონლება სათანადო ასორტიმენტის სამრეწველო საქონლით.

ამ ღონისძიებათა შედეგად, ჩვენ მივაღწიეთ მეაბრეშუმეობის გაჯანსაღებას.

პარკის გამოსავალმა ერთ კოლოფზე 1933 წელს საშუალოდ უკვე 24 კილოგრამს მიაღწია.

შემოტანილი გრენის ნაწილობრივი დაღუპვის მიუხედავად, ჩვენ 1933 წელს დავამზადეთ 2.056 ტონა პარკი. 1932 წელს დამზადებული 1.000 ტონის ნაცვლად.

თვალსაჩინოდ გაიზარდა გლეხთა დაინტერესება მეაბრეშუმეობაში და გაუმჯობესდა აბრეშუმის ჭიის მოვლა.

ცალკეულმა მეაბრეშუმეებმა, რომლებმაც უზრუნველჰყვეს აბრეშუმის ჭიის კარგი მოვლა, პარკის სარეკორდო გამოსავალი მიიღეს.

ასე, მაგალითად, ხონის რაიონის კოლმეურნე ალექსი გეგუჩაძემ ერთ კოლოფ გრენიდან ჩააბარა 90 კილოგრამი პარკი და მიიღო 675 მანეთი ფულად, 135 კილოგრამი მარცვლეული და 138 მანეთის აბრეშუმის საქონელი.

მარტვილის რაიონის კოლმეურნე ქალმა ცაცა სურმავამ ერთ კოლოფ გრენიდან ჩააბარა 71 კილოგრამი პარკი და მიიღო 400 მანეთი, ფულად, 107 კილოგრამი მარცვლეული და 102 მანეთის აბრეშუმის საქონელი.

ტფილისის საგარეუბნო რაიონის კოლმეურნე ქალის სონა კობეშავიძის ბრიგადამ 3 კოლოფ გრენიდან ჩააბარა 190 კილოგრამი პარკი და სხვ.

ამ კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა მუშაობა ცხადჰყოფს, თუ რა შედეგების მიღწევა შეიძლება მეაბრეშუმეობაში აბრეშუმის ჭიის კარგი მოვლით.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას, იმ ანგარიშით, რომ აუცილებლად უზრუნველვყოთ 1934 წლის გეგმის შესრულება 2800 ტონის რაოდენობით.

საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ

ჩვენს წარმატებებს სოფლის მეურნეობაში მივაღწიეთ, უპირველეს ყოვლისა, ბრძოლით სწორი საკოლმეურნეო მშენებლობისათვის, კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მთელი პერიოდის მანძილზე საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ას 31 წლის გადაწყვეტილების შემდეგ თანმიმდევრ ხაზს ატარებდა საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ შეცდომებისა და გადახვევების გადაჭრით გამოსწორებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის და მთელი პარტიული ორგანიზაციის შეუპოვარი მუშაობის შედეგათ საკოლმეურნეო მშენებლობა გაიზარდა და გამტკიცდა.

საქართველოს კოლმეურნეობების დიდმა უმრავლესობამ უკვე 1933 წელს მიაღწია შემოსავლის მნიშვნელოვნად გადიდებას და გადადგა პირველი ნაბიჯი კოლმეურნეების შეძლებულებად და კოლმეურნეობების ბოლშევიკურ მეურნეობებად გადაქცევის გზაზე.

წინასწარი ცნობებით კოლმეურნეობათა შემოსავალი ხორბლეულ კულტურების მიხედვით ცალკე რაიონებში შემდეგ ზრდას გვიჩვენებს: სიღნაღის რაიონში შრომა-დღეზე 1932 წელს ხორბლეული კულტურები მოდიოდა 2,6 კილოგრამი, 1933 წელს კი 5,2 კილოგრამი; ოზურგეთის რაიონში 1932 წელს—12,5 კილოგრამი, 1933 წელს კი—17,3 კილოგრამი; აბაშის რაიონში სათანადოთ — 9,5 კილოგრამი და 13,7 კილოგრამი; ყვარელის რაიონში 1 კილოგრამი და 4,3 კილოგრ.; ხონის რაიონში 7,6 კილოგრ. და 10 კილოგრამი; ახალციხის რაიონში 1,9 კილოგრამი და 3,5 კილოგრ.

შრომა-დღის შეფასების ზრდას აბაშის რაიონის კოლმეურნეობებში ნათლად მოწმობს შემდეგი ციფრები: 1932 წელს იმ კოლმეურნეობათა რიცხვი, რომლებშიაც შრომა-დღეზე მოდიოდა ხორბალი 1-დან 7 კილოგრამამდე, უდრიდა 22-ს, 1933 წელს კი—2.

იმ კოლმეურნეობათა რიცხვი, რომლებშიაც შრომა-დღეზე მოდიოდა 7-დან 20 კილოგრამამდე და უფრო მეტი, უდრიდა 1932 წელს 35-ს, 1933 წელს კი 53-ს.

სიღნაღის რაიონში: 1-დან 3 კილოგრამამდე 1932 წელში მოდიოდა 47 კოლმეურნეობაზე, 1933 წელს კი — 13 კოლმეურნეობაში; 3-დან 10 კილოგრამამდე; 1932 წელში 19 კოლმეურნეობაში, 1933 წელში კი 66 კოლმეურნეობაში; 10 კილოგრამზე მეტი, 1932 წელს არცერთ კოლმეურნეობას არ ჰქონია. 1933 წელს კი აქვს 9 კოლმეურნეობას.

აი კიდევ ერთი კონკრეტული მაგალითი: გურჯაანის რაიონის ბაკურციხის კოლმეურნეობის წევრი, ყოფილი მოჯამაგირე ვანო ქებსიაშვილი. კოლმეურნეობაში შესვლამდე მას ჰქონდა ნახევარი ჰექტარი სახნავი მიწა და ერთოთახიანი ქოხი ყოველგვარი მოწყობილობის გარეშე, მისი წლიური შემოსავალი არ აღემატებოდა 15 ფუთ სიმინდს და 10 ფუთ ხორბალს. რომ გამოეკვება თავისი ოჯახი (5 სული), ის იძულებული იყო მოჯამაგირედ დადგომოდა კულაკებს. კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ უკვე 1933 წელს მან გამოიმუშავა 113 შრომა-დღე და მიიღო 157 ფუთი ხორბალი და სიმინდი, 5 ვედრო არაყი, 30 ვედრო ღვინო, 3 ფუთიანი ღორი, 800 მანეთი ფული და აგრეთვე ლობიო, ხახვი და სხვა ბოსტნეული. 1933 წლის შემოსავლიდან მან დაამზადა მასალა 2 ოთახიანი ქვის სახლის ასაგებათ, რკინის საწოლი, შკაფი, 6 სკამი, კედლის საათი, თაროები წიგნებისათვის, გიტარა და სხვა.

ასე იზრდება კოლმეურნეთა კეთილდღეობა. ღარიბთა მასები, რომლებიც შევიდნენ კოლმეურნეობაში, კეთილსინდისიერი შრომის საფუძველზე ამაღლდნენ საშუალო გლეხთა დონემდე. ათასეული კოლმეურნეები კი უკვე წელს გახდნენ შეძლებულებად.

ასეთი მაგალითები მე ბევრი მაქვს, მაგრამ არ გამოუდგები მათ ჩამოთვლას. დეე ადგილობრივმა ამხანაგებმა თავიანთ გამოსვლებში თვითონ გვიამბონ, თუ როგორ იზრდება კოლმეურნეობები და კოლმეურნეთა— გუშინდელ მოჯამაგირეთა და ღარიბთა შემოსავალი.

საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ქალთა შრომის როლი საკოლმეურნეო წარმოებაში. კოლმეურნე ქალთა დიდი უმრავლესობა აქტიურ მონაწილეობას იღებს სასოფლო სამეურნეო მუშაობაში მამაკაცებთან — კოლმეურნეებთან ერთად. ათასეული ქალები დაწინაურდნენ საკოლმეურნეო მშენებლობის საუკეთესო დამკვრელთა რიგებში. ამასთან ერთად ცოტა არ არის ისეთ კოლმეურნეობათა რიცხვი, რომლებიც სრულიად არა საკმარისად იყენებენ ქალებს საკოლმეურნეო წარმოებებში.

როგორ მივაღწიეთ ჩვენ ამ წარმატებებს.

ჩვენ მათ მივაღწიეთ:

ჯერ ერთი—სოფლის ხელმძღვანელი კადრების შემოწმების და გამტკიცების გზით. 1932 და 1933 წლების განმავლობაში, არა სრული ცნობებით, რაიონული ცენტრებიდან საკოლმეურნეო და სასოფლო სამუშაოზე გაგზავნილია რამდენიმე ათასზე მეტი კომუნისტი. ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა კურსების მეშვეობით მომზადებულ იქნა 21.053 კაცი, აქედან: კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები — 1.519 კაცი, ბრიგადირები — 7.730 კაცი, მოანგარიშე—4.088 და ტრაქტორისტი — 1.646 კაცი.

მეორე — კოლმეურნეობების კულაკური, ანტი-საბჭოთა და გახრწნილი ელემენტებისაგან გაწმენდის გზით.

1933 წლის განმავლობაში კოლმეურნეობებიდან გარიცხა დაახლოებით 7.000 კულაკი, კულაკის დამქაში, ანტი-საბჭოთა ელემენტი, ზარმაცი და სამუშაო დღის გამცდენი. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი ორგანოებიდან (გამგეობები, სარევიზიო კომისიები, ფერმათა გამგეები და სხვ.) მოხსნილია 961 კაცი, აქედან 227 კაცი გამორიცხულია კოლმეურნეობიდან, ხოლო 118 კაცი მიცემულია პასუხისგებაში.

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების უმრავლესობა შეცვლილია უფრო მტკიცე მუშაკებით.

მესამე—საკოლმეურნეო საწარმოო უჯრედების შექმნის გზით.

საკოლმეურნეო უჯრედები უკვე წვდებიან საკოლმეურნეო წარმოების დეტალებს და ტექნიკას.

მეოთხე—ვეყრდნობოდით რა ამ კადრებს, რომლებმაც უზრუნველყვეს კოლმეურნეობათა სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ჩვენ მივაღწიეთ კოლექტივების მეურნეობის სწორ ორგანიზაციას და კოლმეურნეთა შორის შრომის დისციპლინის გამტკიცებას.

ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა მუდმივი საწარმოო ბრიგადების ორგანიზაციამ კოლმეურნეობებში. ახლა არ მოიპოვება ისეთი კოლმეურნეობა, სადაც კოლმეურნეები არ იყვნენ დანაწილებული საწარმოო ბრიგადებად.

ყოველივე ამის შედეგად ჩვენ არამც თუ არ გვაქვს კოლმეურნეობებიდან გასვლის ფაქტები, არამედ, პირიქით, დაისახა საგრძნობი მისწრაფება კოლმეურნეობებისაკენ.

1933 წლის 10 თვის განმავლობაში კოლმეურნეობებში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი 20.328 კაცით გაიზარდა. კოლმეურნეობები თავის რიგებში ღებულობენ წევრებს დიდი გარჩევით, მე ვიტყოდი მთელ რიგ შემთხვევებში გადამეტებული სიმკაცრითაც კი. ამიტომ აქა-იქ ადგილი აქვს კოლმეურნეობათა ჯანსაღი ზრდის ზედმეტ შეფერხებას.

კოლექტივიზაციის ყველაზე უფრო მაღალ პროცენტს იძლევიან უმნიშვნელოვანესი ტექნიკური კულტურების რაიონები. მაგალითად, ჩაის რაიონებში კოლექტივებში გაერთიანებულია მეურნეობათა 62,4 პროც., მებამბეობის რაიონებში— 47,4 პროცენტი, მეთამბაქოობის რაიონებში— 45,3 პროც. (აფხაზეთის გამოკლებით) და შაქრის ჭარხლის რაიონებში — 40,9 პროცენტი.

წელს ჩვენმა კოლმეურნეობებმა საქმით დაუმტკიცეს ერთპიროვნულ მეურნე გლეხებს საკოლმეურნეო შრომის უპირატესობა.

უდიდესი როლი ითამაშეს პოლიტგანყოფილებებმა. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს კულაკურ მენშევიკურ და სხვა ანტი-საბჭოთა ელემენტებს, რომლებიც გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ კოლმეურნეობების წინააღმდეგ.

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით რაიკომებთან ერთად უნდა შევძლოთ გაძლიერებით სოფლის პარტორგანიზაციების ბრძოლის უნარი და ამ საფუძველზე უზრუნველყოთ კოლმეურნეთა ფართო მასების ბრძოლის გაშლა საკოლმეურნეო ქონების დაცვისათვის, კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, შრომის დისციპლინის გამტკიცებისათვის და სხვ.

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ - სამეურნეო გამტკიცებას, შევამჭიდროოთ პარტიის გარშემო იმ ახალი ადამიანების მთელი ფართო საკოლმეურნეო აქტივი, რომლებიც გაიზარდნენ უკანასკნელი 1½—2 წლის მანძილზე ბოლშევიკური კოლმეურნეობებისათვის ბრძოლაში, აღვზარდოთ და მოვამზადოთ მათი წრიდან ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის მშენებელთა ახალი ათასები—ეს საქართველოს ბოლშევიკების მთავარი ამოცანა.

ამ ამოცანის გადაჭრით ჩვენ შედარებით მოკლე ვადაში მივაღწევთ საკოლმეურნეო მოძრაობის მძლავრ გაშლას.

რკინის გზის ტრანსპორტი

როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის ხაზით სახალხო სამეურნეო გეგმის შესრულების მსვლელობაში რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

დღევანდელ პერიოდში პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რკინის გზების მუშაობის გაუმჯობესებას.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებამ ტრანსპორტის მუშაობის ძირეულად გარდაქმნის შესახებ დასვა მთელი რიგი უდიდესი ამოცანები, რომლებიც მოითხოვენ მთელი პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების მობილიზაციას ტრანსპორტის მუშაობის ირგვლივ.

პოლიტგანყოფილებათა შექმნამ, ხელფასის სისტემის გარდაქმნამ, მტკიცე სადისციპლინო წესდების მიღებამ, დირექციის და რაიონების ორგანიზაციულმა გარდაქმნამ, კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალებით ძირეული რგოლების გამტკიცებამ და სხ. — ყოველივე ამან ხელი შეუწყო ტრანსპორტის მუშაობის მთელი სისტემის გაჯანსაღებას.

საქართველოში 1-ლი და მე-2 საექსპლოატაციო რაიონების მუშაობაშიც, ც. კ-ის და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებათა გატარების შედეგად აგრეთვე გვაქვს ერთგვარი მიღწევები: შემცირდა გზაში მყოფი ორთქლმავლების გაფუჭების შემთხვევები, შემცირდა ავადმყოფი ორთქლმავლების პროცენტი: გადაჭარბებით იქნა შესრულებული შპალების გამოცვლის გეგმა.

ამასთან ერთად, ჩვენში ისევ დიდ ჩამორჩენას აქვს ადგილი გზის მუშაობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მხრივ. სატვირთო პარკის ვაგონის მიმოქცევა გადიდდა. სატვირთო მატარებლების კომერციული სიჩქარე შემცირდა. გაწყვილებული სვლა, რომელიც ორთქლმავალი პარკის ძირითადი ბერკეტია, 1-ლ რაიონში არ აღემატება 85.5 პროცენტს და მე-2 რაიონში—76.6 პროცენტს. ბუქსის გადაწვის შემთხვევები 1933 წელს გახშირდა, რაც, სავაგონო დეპოების სუსტ მუშაობასთან ერთად, აიხსნება მზეთავების უხეირო მუშაობით. ამავე დროს კი საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებებში პირდაპირ ნათქვამი იყო, რომ მზეთავებისათვის. ტრანსპორტის ამ კატეგორიის სპეციალური შერჩევისა და შენარჩუნებისათვის ყურადღება მიგვექცია.

ჯერ ისევ რჩება მუშაობის სუსტ უბნად სალიანდაგო მეურნეობა: მთავარ ლიანდაგებზე 25 პროცენტამდე, და სასადგურო ლიანდაგებზე 40 პროცენტამდე დამპალი შპალებია.

ამის გამო ადგილი აქვს ტვირთბრუნვის ზრდის ტემპების ჩამორჩენას საქართველოს სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპებისაგან. [illegible] ჩვენში, რამდენადმე, ზღვარს უდებს რკინის გზის მუშაობა.

ამიერ-კავკასიის რკინის გზას, მათ შორის მის იმ უბანსაც, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება, ძირეული ტექნიკური რეკონსტრუქცია ესაჭიროება.

ფაქტიური ასიგნობანი საქართველოში ახალ სარკინიგზო მშენებლობისათვის 1933 წელს შეადგენდა 3.050 ათას მანეთს.

1933 წელს ჩატარებული ძირითადი სამუშაოები: ახალ-სენაკ-ოჩემჩირის უბნის დამთავრება, ტყვარჩელის ხაზის დაგება და მთელ რიგ დამატებითი დამხმარე ნაგებობათა აშენება.

1934 წლის გეგმებში დასახულია ახალ-სენაკ-ოჩემჩირის უბნის მთლიანად დამთავრება ტყვარჩელის შტოიანად, ხაზის გაგრძელება სოხუმამდე იმ ვარაუდით, რომ ლიანდაგი დაგებულ იქნას 1934 წელს. გარდა ამისა, დიდი მუშაობა ჩატარდება [illegible] რკინის გზის ლიანდაგის რემონტის, სასადგურო ლიანდაგების გაგრძელების და სხვ. დარგში. ფინანსირების თანხა განსაზღვრულია 20 მილიონი მანეთის რაოდენობით.

გარდა ამისა, უნდა დაისვას ფოთის კვანძის რეკონსტრუქციის საკითხი.

არსებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ნავთსადგურამდე გზის მანძილის 3 კილომეტრით შემცირებას, ფრიად ხელსაყრელია, რადგან იგი ზედმეტად ხდის რიონზე ნაპირის გასამაგრებელ სამუშაოთა წარმოებას.

საქართველოს და ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის ზრდა მიმდინარე წელში ტრანსპორტს კიდევ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს. ამიტომ რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობას და მშენებლობას ჩვენ უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება და გადავაქციოთ იგი მთელი ჩვენი პარტიული ორგანიზაციის, როგორც ცენტრის, ისე რაიონების ზრუნვის და ყურადღების ობიექტად.

ნავთსადგურები ბათომი--ფოთი

ჩვენი რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობასთან უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი ნავთსადგურების—ბათომისა და ფოთის მუშაობა, რომლებიც წარმოადგენენ ა.-კავკასიის რესპუბლიკის უმთავრეს გადამზიდ ნავთსადგურებს შავ ზღვაზე და სატრანზიტო გზას ჩრდილოეთ სპარსეთისა და შუა-აზიისაკენ გაგზავნილი ტვირთებისათვის.

ექსპორტად და საბჭოთა კავშირის შინაბაზრებისათვის ნავთისა და მარგანეცის გატანა, პურეულის, შაქრისა და სხვა ტვირთთა გადაგზავნა ა.-კავკასიის რესპუბლიკის საჭიროებისათვის — განსაზღვრავს ამ პუნქტების მნიშვნელობას საქართველოს და ა.-კ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის.

ამ ამოცანებთან შეფარდებით ამ წლების განმავლობაში ყურადღება მიექცა ნავთსადგურების რეკონსტრუქციას — კაბოტაჟების აგებას მექანიზირებული საწყობებით და ახალი სადგურით მეზღვაურებისათვის ბათომში, მარგანეცისათვის გემთმისადგომების აგებას ფოთში. ეს უკანასკნელი უკვე დამთავრებულია.

დადგმულია ელექტრონის ამწევები, გაყვანილია ამწეთქვეში გზები და სხვ. საბჭოთა კავშირის სადირექტივო ორგანოებში დადებითად არის გადაწყვეტილი ფოთში 1934 წელს პირველი რიგის ელევატორიანი წისქვილის აგება, რომლის ტევადობა იქნება 1 მილიონი ფუთი ხორბალი. ამის გარდა სასაქონლო ფქვილის მომატებისა საქართველოში, ეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პურის ტვირთთა შინახვისა და ტრანსპორტირებისათვის.

ორივე ნავთსადგურის მუშაობაში ვიწრო ადგილს წარმოადგენს ის, რომ სასაწყობო შენობების ტევადობა არ შეეფერება ტვირთბრუნვის ზრდას.

ასე, მაგალითად, ბათომში, 1931 წლიდან 1933 წლამდე სასაწყობო შენობათა ტევადობა თითქმის სტაბილური დარჩა. მოემატა სულ რაღაც 300 კვ. მეტრი. ტვირთბრუნვამ კი ამავე ხნის განმავლობაში იმატა და 47.749 ტონიდან ავიდა 150.000 ტონამდე.

ჩვენი ქვეყნის ტვირთბრუნვაში ამ ნავთსადგურების სულ მზარდი მნიშვნელობა, განსაკუთრებით 1934 წლისათვის ნავთისა და მარგანეცის შესახებ დასახულ ამოცანებთან დაკავშირებით, მოითხოვს კიდევ უფრო მეტს ყურადღებას ნავთსადგურების მუშაობისადმი. ტვირთბრუნვის გეგმათა შესასრულებლად მექანიზაციისა და მშენებლობის მთელი რიგი ამოცანებისადმი.

ურელსო გზები

საქართველოს სახალხო მეურნეობის ზრდას არ მისდევს ურელსო გზების შესაფერისი ზრდა და გაუმჯობესება. ჩვენი მუშაობის ეს უბანი კარგახანს მიგდებული იყო. წინა წლებში მშენებლობის გეგმების სისტემატიური შეუსრულებლობის [illegible] თითონ მშენებლობის [illegible] გეგმის გამო—საქართველოს გზების მდგომარეობა 1932 წლამდე ფრიად ცუდი იყო.

გზების უმეტესობა გაუვალი იყო, ან მათ კაპიტალური რემონტი ესაჭიროებოდა.

ერთგვარი გარდატეხა გვქონდა 1932 წელს

1933 წელს ადგილი ჰქონდა უფრო ხელშესახებ გარდატეხას.

საქართველოს გზების საექსპლოატაციო ქსელმა ამ ორი წლის განმავლობაში იმატა 1.503 კილომეტრით. 1933 წელს ჩვენ მოვახერხეთ და წინანდელი 7 დღის მაგივრად შემოვიღეთ მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ვადა 15 დღე, უფრო მტკიცედ ჩავაბით ამ საქმეში რაიონული ორგანიზაციები და უზრუნველვყავით წლიური გეგმის შესრულება 101 პროც.-ით, ანუ, ფულად რომ ვიანგარიშოთ, 15.500 ათ. მანეთის სამუშაოს შესრულება.

ამ წელს გაყვანილია ახალი ყამირ გზები და ხრეშოვანი გზები—935 კილომეტრი. აღდგენილია არსებული 602 კილომეტრი. შეკეთებულია 1.912 კილომ. და სხვა.

ამ ხნის განმავლობაში აგებულია საბჭოთა კავშირში საცდელი საბაგირო ხიდი მდ. მაგანაზე (ზემო-სვანეთში) სიგრძით 80 მეტრი, ხიდი მდინარე ოქუმზე, სიგრძით 180 მეტრი, მდ. ნატანებზე —130 მეტრი, ყვირილაზე — 240 მეტრი და სხვა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩატარებული და ჩასატარებელი მუშაობის ხარისხი, განსაკუთრებით გზებისა, ჯერ კიდევ ძალიან დაბალია.

გზატრანსი, რომელიც მთავარ ყურადღებას აქცევდა ზოგიერთ ობიექტებს, ხშირად მხედველობიდან უშვებდა მთელ რიგ ჩვენს ეკონომიკაში არანაკლებ მნიშვნელოვან, მაგრამ მასშტაბით უფრო მცირე უბნებს, მაგალითად, გორი-ტყვიავის ტრაქტის რაღაც 3-4 კილომეტრზე ავტოტრანსპორტისათვის სრულიად უვარგისობის გამო, ჩვენ ვერ შევსძელით თავის დროზე გამოგვეზიდა ათასეული ტონა ხილი, რითაც იშლებოდა საკონსერვო ქარხნების მუშაობა და ხილის სამრეწველო ცენტრებში გაგზავნა.

საჭირო შეიქნა ცენტრალური კომიტეტის სპეციალური ჩარევა წითელი წყარო-მირზაანის გზის მშენებლობის დაჩქარებისათვისაც, რომელიც დაკავშირებულია საქნავთის მუშაობასთან. მცირე ყურადღება ექცეოდა აგრეთვე გზებს სპეციალური ტექნიკური კულტურების რაიონებში.

კაპიტალური დაბანდებანი მიმდინარე 1934 წელს მნიშვნელოვნად იზრდება, აღწევს 26 მილიონ მანეთს საჭაპანო შრომის ბეგარასთან ერთად. საჭიროა უდროესად მიზანშეწონილად იქნას გამოყენებული ეს სახსრები იმ გზებზე, რომელთაც აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის სამეურნეო ზრდაში, ჩაის, თამბაქოს და სხვა რაიონებში.

1934 წელს უნდა ავამაღლოთ ჩატარებული მუშაობის ხარისხი, გავაუმჯობესოთ ტექნიკური ზედამხედველობა, ყურადღება მივაქციოთ ისეთი გზების კაპიტალურ რემონტს, როგორიცაა წნორის-წყალი — ლაგოდეხის, გორი-სტალინირის, ქუთაის-წყალტუბოს გზა და სხვ.

მუშათა კლასის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება

სოციალისტური მშენებლობის წარმატებებთან ერთად ჩვენ გვაქვს მშრომელი მასების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში დაბანდებული მუშახელის შრომის ხელფასი წლით-წლობით გამუდმებით იზრდება.

მაგალითად, ცენზიანი მრეწველობის მუშათა (მოწაფეების გამოკლებით) საშუალო-წლიური ხელფასი 1931 წელს უდრიდა—1.104 მანეთს, 1932 წელს — 1.354 მ., ხოლო 1933 წელს მიაღწია — 1.587 მანეთამდე, ესე იგი, 1933 წელს 1931 წელთან შედარებით გაიზარდა 43 პროცენტით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელფასის ზრდა სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში.

მარგანეცის მრეწველობაში 1933 წელს ხელფასი გაიზარდა 1931 წელთან შედარებით 50 პროცენტით, მანქანათმშენებლობის მრეწველობაში—44,4 პროცენტით, ბარიტის მრეწველობაში — 89,5 პროცენტით.

ასეთი ზრდის შედეგად მოხერხდა სახალხო მეურნეობის ეს დარგები ხელფასის დონის მხრივ წამოვეწია პირველ ადგილზე და ამით ნაწილობრივ აღმოგვეფხვრა გათანაბრება ხელფასში სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების მუშათა შორის.

მუშათა მომარაგება

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სახკომსაბჭოს დეკემბრის დადგენილების და შემდგომ გადაწყვეტილებათა საფუძველზე მუშათა მომარაგების დარგში, შესაფერისად იქნა გარდაქმნილი მუშათა მომარაგების სისტემა საქართველოშიც.

ჩამოყალიბდა მუშათა მომარაგების განყოფილებები ტფილისის მაუდის ფაბრიკაში, ბათომის ნავთის გადამამუშავებელ ქარხნებში, საქნავთში, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში, რკინისგზის ტრანსპორტზე და საქართველოს სატყეო მრეწველობის სისტემაში. გატარებული იქნა ღონისძიებები მუშათა დახურული კოოპერატივების ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცებისათვის, შერჩეული და გამტკიცებული იქნა მუშათა დახურული კოოპერატივების თავმჯდომარეების კადრები.

უმნიშვნელოვანეს საწარმოებს და ახალმშენებლობათა მუშების მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებულ ჯგუფათ გამოიყო 31 საწარმო, რომელთაც უშუალოდ გეგმავს მომარაგების სახალხო კომისარიატი: კასპის ცემენტის ქარხანა, რიონჰესი, ტყვარჩელმშენი, ყაზბეგის ანდიზიტი და სხვ.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენ გვქონდა კონტინგენტის მნიშვნელოვანი ზრდა ცენტრალური მომარაგების ხაზით, რასაც შესაფერისად მოჰყვა თან საქონლის ფონდების გამოყოფის გადიდება და მუშათა მომარაგების გაუმჯობესება, — მაგალითად, 1931 წელს ცენტრალიზებულ მომარაგებაზე აყვანილი იყო 232.750 კაცი, ხოლო 1933 წელს —402.392 კაცი.

ძირითადი, რასაც ამჟამად უნდა მიექცეს ჩვენი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების და ცალკე საწარმოთა ყურადღება, — ეს არის ქვედა საფეხურის ქსელის მუშაკთა ინიციატივის გავითარება, საკუთარი სასურსათო ბაზის შექმნა. ფრთხილი მოპყრობა თითოეული კაპეიკისადმი, რომლითაც სახელმწიფო ათავსებს მუშათა მომარაგებას. საგარეუბნო მეურნეობათა, თითომომქმედი ბოსტნების, თვითდამზადებათა გაუმჯობესების საქმეში, და გონივრული განაწილება ადამიანებისა ჩვენი მეურნეობის ამ ფრონტზე.

კოოპმეურნეობანი

კოოპმეურნეობათა რაოდენობამ 1931 წლის 11-დან 1933 წელში 44-მდე მიაღწია. სხვადასხვა კულტურების ნათესთა ფართობმა 1933 წ. შეადგინა 2.700 ჰექტარი 1931 წლის 1.418 ჰექტარის წინააღმდეგ. ბოსტნეულის პროდუქციამ 1931 წ. მიაღწია 1.926 ტონა, ხოლო 1933 წ. — 3.560 ტონა.

მაგრამ კოოპმეურნეობათა მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები მაინც საგრძნობლად ჩამორჩებიან რაოდენობრივ მაჩვენებლებს.

კოოპმეურნეობათა მშენებლობაში თავიდანვე დაშვებულ იქნა მრავალი უხეში შეცდომა, რომელიც დღესაც არ არის აღმოფხვრილი: მეცხოველეობის კოოპმეურნეობათა ორგანიზაცია საკუთარი საკვები ბაზის შეუქმნელად (სოღანლუღი, მაღლაკი).

ცეკავშირი უფრო საფუძვლიანად უნდა შეუდგეს კოოპმეურნეობათა მშენებლობის საქმეს. კოოპმეურნეობანი გადაქცეული უნდა იქნან სასურსათო რესურსების გადიდებისა და მუშათა მომარაგების გაუმჯობესების ნამდვილ წყაროდ.

საზოგადოებრივი კვება

საზოგადოებრივი კვების მდგომარეობას სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში 1931 წლამდე ახასიათებდა მნიშვნელოვანი ჩამორჩენა მეურნეობის სხვა დარგების ზრდის ტემპებისაგან.

ც. კ-ის მიერ გატარებულმა მთელმა რიგმა ღონისძიებებმა უზრუნველყო გადამწყვეტი წინსვლა საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების საქმეში. ცეკავშირის სისტემაში სასადილოთა ქსელი 1931 წლის 1 იანვრისათვის არსებული 517 წერტიდან გაიზარდა 909 წერტამდე 1933 წ. 1 ოქტომბრისათვის.

ქსელის ზრდასთან ერთად იზრდება ამ პირთა კონტინგენტიც, რომელთაც საზოგადოებრივი კვება მომსახურებას უწევს.

საგრძნობლად გაუმჯობესდა სადილების ხარისხიც, მსხვილ საწარმოთა უმრავლესობაში მოწყობილია დამკვრელთა უპირატესი კვება (26 კომ. ქარხანა, სავაგონო დეპო და სხვ.).

მაგრამ მატერიალურ - ტექნიკური ბაზა ჯერ კიდევ მაინც სუსტია, კეთილმოუწყობლობა სამეურნეო მუშაკთა უუნარობა თვითდამზადების, დამხმარე მეურნეობათა განვითარების, სადილების გაიაფებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების დარგში ჯერ კიდევ მაინც რჩება ჩვენი საზოგადოებრივი კვების სუსტ ადგილად.

მუშაობა ამ დარგში უნდა ვაწარმოოთ არა საკამპანიო წესით, არამედ სისტემატიურად. ყოველდღე, თვითეულ ცალკე უბანზე ბრძოლით. მუშაობა საჭმელის ხარისხისა და ფასების შემცირებისათვის.

კოოპერაცია, სახელმწიფო ვაჭრობა და საქონელთბრუნვა

ცნობილია, რომ საქ. კ.პ. (ბ) ც. კ.-ის დეკემბრის პლენუმის დადგენილებისა და საკ. კ.პ. (ბ) ც.კ.-ის, საკავშირო სახკომსაბჭოს და ცენტროსოიუზის მაისის (1931 წ.) მოწოდების ცხოვრებაში გატარებისას საქართველოში დაშვებულ იქნა მთელი რიგი დამახინჯებები, რაც გამოიხატა კოოპერაციის რესპუბლიკური

(გაგრძელება იხ. მე-6 გვ.)

ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენება საქართველოს

ცენტრის გაუპიროვნებაში და აშკარა არარენტაბელურ წვრილ სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა შექმნაში.

ეს შეცდომები გამოსწორებულ იქნა უწინარეს ყოვლისა განმტკიცებულ იქნა ცენტრალური აპარატი—ცეკავშირი, გაუქმებულ იქნა ცეკავშირთან არსებულ სადარგო გაერთიანებათა უმრავლესობა, შეიქმნა კოოპერაციის მთლიანი ხელმძღვანელი რგოლი ტფილისში — ტფილისის სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირი, გადაკეთდა და განმტკიცდა კადრებით სარაიონო სამომხმარებლო კავშირები, დახურული მუშათა კოოპერატივები, საბჭოთა მეურნეობები, მუშკოოპები და სხვ.

ამ რეორგანიზაციის შედეგად ამჟამად ჩვენ გვაქვს:

სავაჭრო წერტილები: სოფლად — 2.216, წინააღმდეგ 1931 წლის 1.240-სა; ქალაქად — 1.005, წინააღმდეგ 1931 წლის 764-სა.

1931 წელს ადგილი ჰქონდა მთელ რიგ არანორმალობას საქონლის მიწოდებაში: საქონლის გატარების მრავალრგოლიანობას (ფაბრიკა მრეწველობის გამშვები ბაზა, სამხარეო დარგობრივ გაერთიანებათა საწყობები, მთელ რიგ შემთხვევებში ცეკავშირის, სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების საწყობები), კოოპერატიული კავშირის უქონლობა ძირეულ რგოლებთან და, როგორც ამის პირდაპირი შედეგი, საქონლის გატარების დაგვიანებას, საქონლის სიძვირეს.

სარაიონთაშორისო ბაზების ორგანიზაციამ ძირითადად გადაჭრა საქონლის სწორად გატარების საკითხები.

სარაიონთაშორისო საწყობებიდან საქონლის ტრიალი მინიმუმამდე არის დაყვანილი (3—4—5 და კიდევ მეტი ბრუნვა - დღის ნაცვლად).

საგრძნობლად გაიზარდა საბითუმო საქონლის ბრუნვა, რაც დადებით გავლენას ახდენს საცალო საქონლის ბრუნვის ზრდაზე. თუ 1931 წელს ცეკავშირის საბითუმო საქონლის ბრუნვა უდრიდა 9.270.7 ათას მანეთს, 1933 წელში შეადგენდა 120.217.9 ათას მანეთს.

ამის პარალელურად იზრდება საცალო საქონლის ბრუნვაც. 1931 წელს ის უდრიდა 254.693,8 ათას მანეთს, ხოლო 1933 წელს—370.000 ათას მანეთს. სახვაჭრობის ხაზით საცალო ბრუნვა წლების მიხედვით შეადგენს: 1931 წელს—34,4 მილიონ მანეთს, ხოლო 1933 წ. 172,2 მილიონ მან.

მოვაჭრე ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთ უდიდეს ნაკლს წარმოადგენს ფასების საბჭოთა პოლიტიკის დარღვევა.

1933 წელს საქართველოში შემოწმებულ იქნა 1.771 სავაჭრო წერტილი და გამოირკვა, რომ შემოწმებულთა ქსელის 62 პროც. (1.093 წერტილი) უხეშად არღვევს ფასების პოლიტიკას.

ყველა ამ დარღვევის ნახევარზე მეტი მოდის სამომხმარებლო საზოგადოებაზე (55,9 პროც.) მათ შორის მუშათა დახურულ კოოპერატივების სავაჭრო წერტილებზე — 35 პრ. ი ფაქტები:

თითქმის ყოველგან საცალო ფასების დარღვევაა გასაყიდი ფასების გადიდების ხაზით, მარილზე 25—50 პროცენტამდე, შაქარზე 25 პროცენტამდე, ძაფზე 270 პროცენტამდე და სხვ. ეს ფაქტები ფიქსირებულია ჭიათურის, ყვარელის, ლაგოდეხის,, სტალინისის რაიონებში.

ასეთი მდგომარეობის შემდგომი მოთმენა არ შეიძლება. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმ ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას, რომლებიც მოწოდებულნი არიან სისტემატიურად თვალყური ადევნონ ფასების პოლიტიკის სწორად გატარებას. საჭიროა მკაცრად დაისაჯონ იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც არღვევენ ფასებს.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერაცია ჯერ კიდევ ჩამორჩება მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების, კულტურული საბჭოთა ვაჭრობის მეთოდების ათვისების დარგში. მოვაჭრე წერტილების ანტი-სანიტარულ მდგომარეობას და მომხმარებლებისადმი უხეშ მოპყრობას ისევ აქვს ადგილი.

პარტია მეორე ხუთწლედისათვის აყენებს უაღრესი მნიშვნელობის საკითხს — ფართო მოხმარების საქონლის 2—3-ჯერ გადიდებას.

ეს ავალებს ჩვენს მოვაჭრე ორგანიზაციებს გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, ფართოდ გაშალონ ყველა თავისი რგოლის სავაჭრო საქმიანობა, იბრძოლონ პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტისათვის, რათა დააკმაყოფილონ ის გაზრდილი მოთხოვნილება უკეთესი ხარისხის საქონელზე, რომელსაც უყენებენ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო მასები ქვეყნის კეთილდღეობის უდიდესი ზრდის შედეგად.

კომუნალური მეურნეობა და ბინათმშენებლობა

კაპიტალური დაბანდება კომუნალური მეურნეობის ხაზით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა.

1931 წელს კომუნალურ მშენებლობაში (საბინაო მშენებლობის გამოკლებით) დაბანდებული იყო 10,9 მილიონი მანეთი, 1932 წელს—20,4 მილ. მანეთი, ხოლო 1933 წელს 30 მილიონი მანეთი. ჩვენ გვაქვს კომუნალური მშენებლობის საგრძნობლად გაშლა ტფილისში, ბათომში, სოხუმში, ფოთში.

მიუხედავად ამისა, კომუნალური მშენებლობის ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მუშათა მოსახლეობის საჭიროებათა სწრაფ ზრდას და კომუნალური მეურნეობა ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე ვიწრო უბანია.

რაიონულ ცენტრებში თითქმის არავითარი კეთილმოწყობა არ ჩატარებულა, მათ არ აქვთ აუცილებელი კომუნალური საწარმოები. საქართველოს რაიონულ ცენტრების მრავლესობას არ აქვს ელექტრონის განათება, აბანო, წყალი, ქუჩები მოუკირწყლავია, ხშირად არ არის სასტუმრო.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია ახალი რაიონული ცენტრები, რომლებიც დარაიონების შემდეგ შეიქმნენ.

არასაკმაო ყურადღებას აქცევს მრეწველობა მუშათა ცენტრების კეთილმოწყობას — ჭიათურა, ტყიბული.

ტფილისში 1932 წლამდე 10—12 წლის მანძილზე კომუნალური მშენებლობის მხრივ თითქმის არაფერი გაკეთებულა. გარდა ერთი აბანოს აგებისა: საბჭოთა კავშირის სხვა მსხვილ ცენტრებთან შედარებით ტფილისი ძალზე ჩამორჩა და ჩამორჩენა საგრძნობია ყოველ ნაბიჯზე.

ჩვენ ნელა ვაშენებთ და ჯერჯერობით ცუდად ვაშენებთ.

მთელი რიგი სახლები 3 . 5 წელიწადია შენდება. ამის შედეგია მშენებლობის ძალზე გაძვირება ჩვენთან საქართველოში. თითო კუბომეტრის მშენებლობა საქართველოში ჯდება 54 მან. 48 კაპ. იმ დროს, როდესაც აზერბეიჯანში ერთი კუბომეტრი ჯდება 42 მან. 40 კაპ. სომხეთში კი 33 მან 40 კაპ.

მაგრამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენ გარდატეხას მივაღწიეთ კომუნალურ მშენებლობაში. ტფილისში ჩვენ ვაწარმოებთ მთელ რიგ მსხვილ სამშენებლო სამუშაოებს—აბანო, კალიაევის აღმართი, სანაპირო ქუჩა, წყალსადენის ქსელის გადაკეთება, [illegible], გამწვანება და სხვა.

კომუნალურ მშენებლობაში გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწიეს, საკუთარი ინიციატივის გამოჩენის მეოხებით, ბათომმა, ფოთმა და სოხუმმა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მათი მუშაობა გამწვანების დარგში. ამ მხრივ მათ უნდა მიბაძონ საქართველოს სხვა ცენტრებმა, რადგან გამწვანების დარგში ჩვენ ძალზე ჩამოვრჩით და თითქმის უკანასკნელი ადგილი გვიჭირავს საბჭოთა კავშირში.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ ისეთ ქალაქებში, როგორიც არის ფოთი, ქუთაისი, სოხუმი, იყოს კანალიზაცია და წყალსადენი. ახალ რაიონულ ცენტრებში, როგორც მაგალითად ტოლომში, წალენჯიხაში და ჩხოროწყუში შევქმნათ ისეთი პირობები, რომ რაიონულ მუშაკებს და, აქტივს შეეძლოთ იცხოვრონ და იმუშაონ კულტურულ პირობებში. უნდა ვაიძულოთ მრეწველობა ხელი მოჰკიდოს ჭიათურის და ტყიბულის კეთილმოწყობას.

ჩვენ უკვე მივაღწიეთ იმას, რომ რაიონულ მუშაკებს განუვითარდათ გემოვნება მშენებლობისადმი.

კიდევ უფრო მტკიცედ უნდა მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს.

უნდა დავაინტერესოთ მოსახლეობა და ჩავაბათ ის ქალაქის კეთილმოწყობაში, განვუვითაროთ მას კულტურული ცენტრების ჩვევები. ამ მხრივ მაგალითი უნდა ავიღოთ გორლოვკიდან (დონბასი), რომელმაც კეთილმოწყობის საუკეთესო ნიმუში გვიჩვენა.

დაბოლოს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საქალაქო ცენტრებთან დამხმარე მეურნეობების და საშენ მასალათა წარმოების განვითარებას, და აგრეთვე კადრების მომზადებას კომუნალური მეურნეობისათვის.

სათანადო ინიციატივის გამოჩენის და ადგილობრივ შესაძლებლობათა და რესურსების გამოყენების პირობებში ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ უკვე მახლობელ წლებში ჩვენი ქალაქების კომუნალური მეურნეობის მნიშვნელოვან აღორძინებას და გაუმჯობესებას.

საბინაო მშენებლობა

მიუხედავად საბინაო მშენებლობისათვის დანიშნულ ასიგნობების მნიშვნელოვანი ზრდისა (1931 წ. — 14 მილიონი 940.000 მანეთი. 1933 წელს კი—20 მილიონი მანეთი). ამ თანხების ათვისება მეტად არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ახალი საბინაო ფართობის ზრდა უკან რჩება ძველის ნგრევას. ბინების საჭიროება საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში მეტად მწვავეა.

ასეთი მდგომარეობა სრულიად შეუწყნარებელია. სახკომსაბჭო, ქალაქის და რაიონის აღმასკომები, უშუალოდ, ოპერატიულად და დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ მშრომელი მასების, პირველ რიგში, მუშების მდგომარეობის გადაჭრით გაუმჯობესებას საბინაო ფართობის მხრივ.

სამარცხვინოა ჩვენთვის, რომ საშუალო საბინაო ფართობის მხრივ საქართველო აქამდის ჩამორჩენილია საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებისაგან.

სოცდაზღვევა და ჯანმრთელობის დაცვა

მშრომელი მასების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში უდიდეს როლს თამაშობენ სოცდაზღვევა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები.

სოცდაზღვევის ბიუჯეტი 1931 წელს შეადგენდა 35 მილიონ 800 ათას მანეთს, ხოლო 1933 წელს—58 მილიონ მანეთს.

1931 წელს დასასვენებელ სახლებში და სანატორიუმებში გატარებულ იქნა 8.785 კაცი, ხოლო 1933 წელს — 15.537 კაცი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მრეწველობის წამყვანი დარგების მუშათა მომსახურებას. მოსამსახურეთა პროცენტი, როგორც სანატორიუმებში, ისე დასასვენებელ სახლებში, 1931 წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა და შეადგენს 11-12 პროცენტს.

თუ 1931 წელს, როცა საშუალო ხელფასი უდრიდა 100 მან. 86 კაპეიკს, დაზღვეულის მომსახურება (საექიმო დახმარება, პროფილაქტიკა, საბავშვო ბაგები, ბაღები, მოწაფეების კვება) 1 დაზღვეულზე შეადგენდა 46 მან. 16 კაპეიკს, 1933 წელს 131 მან. 92 კაპ. საშუალო ხელფასის დროს ერთ დაზღვეულზე მოდის 61 მანეთი, ე. ი. 46,4 პროც. მეტი.

თუ 1931 წელს ჯანმრთელობის დაცვისათვის გაღებულ იქნა 25.338 ათასი მანეთი, 1933 წელს გაღებული თანხები შეადგენს 44 მილ. 423 ათას მანეთს. საგრძნობლად გაიზარდა აგრეთვე კაპიტალური დაბანდებაც ახალ მშენებლობისათვის. 1931 წელს იგი შეადგენდა 2 მილ. 912 ათას მანეთს, ხოლო 1933 წელს — 5 მილ. 526 მანეთს.

1931 წელს არსებულ 110 საავადმყოფოს ნაცვლად, 1933 წელს ჩვენ გვაქვს 120 საავადმყოფო.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს დისპანსერების რიცხვის ზრდა. 1933 წელს გვაქვს 21 დისპანსერი, ნაცვლად 11 დისპანსერისა 1931 წელს, ე. ი. მათი რიცხვი გაიზარდა 90,9 პროცენტით. ტუბერკულოზის დისპანსერთა რიცხვი ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა 75 პროცენტით.

მშრომელთა მომსახურების რიცხობრივი ზრდის მიუხედავად, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობა ჯერ კიდევ მოიკოჭლებს.

მთელ რიგ სამრეწველო რაიონებში (საჩხერე, ტყიბული, ტყვარჩელი, დიატომიტი, ბარიტი და სხვ.), აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მომსახურება დაყენებულია არადამაკმაყოფილებლად; არის საბჭოთა მეურნეობები, სადაც არა ჰყავთ მედპერსონალი, არ მოიპოება მედიკამენტები.

საჭიროა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა მეტი ყურადღება მიაქციონ და დახმარება გაუწიონ მუშაობის ამ ჩამორჩენილ უბნებს.

საკურორტო მშენებლობა საქართველოში

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში განვლილ პერიოდში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა საკურორტო მშენებლობას.

გადამწყვეტი გარდატეხა ამ საქმეში დაისახა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის დადგენილების შემდეგ.

ამ დადგენილების შესასრულებლად დამუშავებულ იქნა და შესდგა კურორტების გაფართოებისა და კეთილმოწყობის კონკრეტული გეგმები, ამასთან ძირითადი ყურადღება მიპყრობილი იყო საკავშირო მნიშვნელობის კურორტებზე (წყალტუბო, აბასთუმანი, ბორჯომი, შავი ზღვის სანაპიროები).

1932 წლის კაპიტალური დაბანდებანი შეადგენდნენ 9561,2 ათას მანეთს და აღემატებოდნენ მთელი წინა ხუთი წლის დაბანდებებს.

1933 წლის დაბანდებანი შეადგენენ უკვე 14.804,6 ათას მანეთს, ხოლო მოსალოდნელი შესრულება — 15.176,7 ათას მანეთს.

საქართველოს კურორტების ტევადობა 1933 წელს აყვანილია 5.062 სასანატორო და საპანსიონატო საწოლამდე, წელიწადში 34.248 ავადმყოფის გამტარუნარიანობით, აქედან კურორტების მთავარ სამმართველოს ხაზით — 2.245 სასანატორო საწოლი, 1928 წლის 1033 საწოლის ნაცვლად.

დასასვენებელ სახლებში კურორტების ტერიტორიაზე — 2.393 საწოლი — 26.088 კაცის გამტარუნარიანობით.

გასულ წელს სასანატორიო საწოლის დაკავება შეადგინა 170 დღეს, 1928 წლის 87,2 დღის ნაცვლად.

1932 და 1933 წლებში ჩატარდა კურორტების ყოველმხრივი შესწავლა ცალკეული ინსტიტუტების და საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ცნობილი სპეციალისტების მონაწილეობით.

პირველად საბჭოთა კავშირში დაიწყო მინერალური წყაროების სრული ფიზიკურ - ქიმიური გამოკვლევა თვით კურორტში (წყალტუბო, აბასთუმანი).

ბორჯომში აღმოჩენილ და გამოყვანილ იქნა ძველი წყაროების ანალოგიური ახალი მინერალური წყაროები. ბორჯომის წყაროების დებეტი მოწესრიგდა, იგივე მოვლენა აღნიშნულია წყალტუბოში და სხვა კურორტებში.

სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოები საფუძვლად დაედო აგრეთვე გენერალურ დაგეგმვას, რის გარეშეც წარმოუდგენელია კურორტების სწორი და მიზანშეწონილი განვითარება. შედგენილია 8 კურორტის (წყალტუბო, ბორჯომი, აბასთუმანი, ქობულეთი, სოხუმი, გაგრა, ახტალა, ჯავა) გენერალური დაგეგმვის სქემები.

რა თქმა, უნდა, სათანადო სახსრები რომ გვქონებოდა, ბევრად მეტის გაკეთებას შევძლებდით. დაწყებული 1932 წლიდან, ჩვენ ვცდილობთ საკურორტო მშენებლობისათვის ასიგნობათა გაძლიერებას, მაგრამ, ასიგნობათა მოხსნის გამო, იძულებული გავხდით შეგვეჩერებინა მთელი რიგი მშენებლობანი.

ასე მოუვიდა გუდაუთის მშენებლობას, აბასთუმანს და სხვ.

ჩვენი კურორტები, მათი უდიდეს შესაძლებლობათა მიუხედავად, ჯერ კიდევ სუსტადაა კეთილმოწყობილი. აქ უშრეტი საქმეა გასაკეთებელი.

1934 წელს ჩვენ მოვახერხეთ მიგველო საკურორტო მშენებლობისათვის 16 მილიონი მანეთის ასიგნობა. ეს, რა თქმა უნდა, ცოტაა. ამიტომ საჭირო იქნება ყურადღება მიაპყროთ ძირითადი კურორტების და, უმთავრესად, წყალტუბოს მშენებლობას, რომელშიაც აუცილებლად უნდა დავამთავროთ სამუშაოები.

ჩვენი კურორტების მშენებლობაში მაქსიმალურად უნდა დავაინტერესოთ საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილები და საკავშირო უწყებები და ამით უზრუნველვყოთ ახალი სახსრების მოზიდვა.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფოს საგეგმო კომისიის მონაწილეობით ჩვენ შევიმუშავეთ და მივიღეთ საქართველოს კურორტების, მშენებლობის გეგმა მეორე ხუთწლედისათვის.

ამ გეგმით დასახულია ახალ სანატორიუმების მშენებლობა: კურორტების მთავარ სამმართველოს ხაზით — 5.000 საწოლი, ხოლო უწყებების ხაზით 2.000 საწოლი, სულ კი 7.000 საწოლი სათანადო კეთილმოწყობით.

ეს გეგმა მისი განხორციელების დროს უზრუნველყოფს საქართველოს კურორტების ისეთ განვითარებას, რომელიც გადააქცევს მათ საბჭოთა კავშირის ნამდვილი გაჯანსაღების კერად.

მუშაობა წითელ არმიაში

უდიდესი პოლიტიკური აღტყინება და ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცება, პოლიტიკური და საბრძოლო სწავლების, კულტურული და შემოქმედებითი აქტივობის ზრდა, ფართო მონაწილეობა სოცშეჯიბრებაში, საბრძოლო მომზადების რთული ამოცანების წარჩინებით შესრულებისა და ახალი საბრძოლო ტექნიკის დაუფლებისათვის თავდადებული ბრძოლის ასობით [illegible] ნიმუშები—ახასიათებენ მეომრების და უფროსშემადგენლობის მასას გასული პერიოდის განმავლობაში საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მე-8 ყრილობის შემდეგ.

ადგილი აქვს არმიის ნაწილების ბრძოლის უნარის უდაო ზრდას.

პირადი შემადგენლობის შორის გაიზარდა მუშური და საკოლმეურნეო ფენა, პარტიული და კომკავშირული ფენა.

ცვალებადი შემადგენლობა გადაიქცა ადგილობრივი ორგანიზაციების მტკიცე დასაყრდენად მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკურ ღონისძიებათა შესრულების საქმეში.

ცვალებადელნი თავის ძირითად მასაში წარმოადგენენ მოწინავეებს, დამკვრელებს სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების, თესვის, მოსავლის აღების და სხვა სასოფლო-სამეურნეო კამპანიების ჩატარების საქმეში.

საჭიროა კიდევ უფრო მეტი მზრუნველობით და ყურადღებით მოვეპყრათ არმიას, განსაკუთრებით უფროსშემადგენლობის საყოფაცხოვრებო მდგომარეობის (ბინები და სხვ.) გაუმჯობესების ხაზით.

შეიძლება მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ჩვენი კავკასიის წითელდროშოვანი არმია და, კერძოთ, მისი ნაციონალური ნაწილები პარტიისა და მთავრობის პირველი დაძახებისთანავე გადაულახავ კედლად აღიმართებიან მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს დასაცავად. საბრძოლო ამოცანას—გაანადგუროს მტერი—ჩვენი არმია სახელოვნოდ შეასრულებს (ტაში).

* * *

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სერიოზული გარდატეხა დაისახა თავდაცვის მუშაობაში საზოგადოებრივი ხაზით.

1933 წელს თავდაცვა-ავიაქიმმა მიიზიდა 295.000 კაცი, ნაცვლად 147 ათასი კაცისა 1931 წელს.

ტფილისში გაიხსნა თავდაცვის სახლი, რომლის გარშემო თავს იყრის თავდაცვა-ავიაქიმის აქტივი.

საგრძნობლად გაუმჯობესდა საჰაერო თავდაცვის მუშაობა. საჰაერო თავდაცვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრეებში 1933 წელს გატარებულ იქნა 115.000 კაცი. ეს საქმე შემდეგშიაც უნდა წავწიოთ წინ.

რაც შეეხება ფიზკულტურას, აქაც ადგილი აქვს მთელ რიგ წარმატებებს. 1931 წელს ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩაბმული იყო 20 ათასი კაცი. 1933 წლის დამლევისათვის ეს რიცხვი 53.500-მდე გაიზარდა.

სისტემატიურად გადაჭარბებით სრულდებოდა წევრთა მიზიდვის და ნიშნებზე—„მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის"—ნორმების ჩაბარების საკონტროლო ციფრები: 1932 წელს—გეგმის 108 პროც., 1933 წ. —118 პროც.

სულ საქართველოში ჩვენ გვყავს 32.979 ფიზკულტურელი, რომლებმაც სავსებით ჩააბარეს კომპლექსის —„მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის" ორივე ნორმა.

გაიხსნა ფიზკულტურის ტექნიკუმი, მოეწყო სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტი. შენდება „დინამოს" უდიდესი სტადიონი, რომელიც სანიმუშო უნდა იყოს.

ტფილისის აღლუმში 8 ნოემბერს მონაწილეობა მიიღო 41.600 კაცმა.

მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოს ფიზკულტურული მოძრაობა სათანადო დონეზე დგას. ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გამოსწორდეს, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ იგი გადაიქცეს თვითეული მუშის, თვითეული კოლმეურნის საარსებო მოთხოვნილებად.

დეფექტების ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა დღემდე ვერ შეიგნეს ფიზკულტურული მოძრაობის მთელი მნიშვნელობა და რომ ისინი ჯერ კიდევ ვერ მიეჩვივნ მათთვის ყოველდღიური ხელმძღვანელობის გაწევას.

ეს ნაკლი პარტორგანიზაციების მუშაობაში 1934 წელს სავსებით უნდა იქნას აღმოფხვრილი.

უკანასკნელ დროს ჩვენში ადგილი აქვს მასწავლებლობის მატერიალური საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა რაიაღმასკომები ხელფასს დროზე არ არიგებენ და რაც ხდება მასწავლებლობისათვის დანიშნული სამრეწველო და სასურსათო საქონლის განიავება.

პარტორგანიზაციებმა უნდა დაამყარონ ოპერატიული ხელმძღვანელობა სკოლის მიმართ ისევე, როგორც სოციალისტური მშენებლობის სხვა დარგების მიმართ.

მატულობს სპეციალისტების გამოშვება: ხუთწლედის პერიოდის განმავლობაში (1928-32 წ.) გამოშვებულ იქნა 6.297 სპეციალისტი (მათ შორის 2.122 ინჟინერი, 949 აგრონომი, 868 ეკონომისტი, 737 ექიმი, 728 პედაგოგი და სხ.).

ჩატარებულია დიდი მუშაობა სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში.

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ახალი სპეციალისტების ხარისხის ამაღლება სოციალისტური მეურნეობის მოთხოვნების დონემდე, აუცილებელია:

1) დავამთავროთ სასწავლო მუშაობის დაწყებული გარდაქმნა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში.

2) განვამტკიცოთ მათი სასწავლო მატერიალური ბაზა (შენობები, ლაბორატორიები, კაბინეტები, სასწავლო ნივთები, სახელოსნოები);

3) გავაუმჯობესოთ საწარმოო პრაქტიკა;

4) გავაუმჯობესოთ სტუდენტობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება (საერთო საცხოვრებლები, მომარაგება და სტიპენდიები).

5) გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა თვითეული უმაღლესი სასწავლებლის და ტექნიკუმის მიმართ.

მასობრივი კულტმუშაობა

თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს მასობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგში.

1931-32 წლებში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში გატარებულ იქნა 332.000 წერა-კითხვის უცოდინარი და 15 ათასი მცირემცოდნე.

წერა-კითხვის საბოლოო ლიკვიდაციის ვადა 1932 წლიდან გადატანილ იქნა 1934 წელში, რადგან ამ ამოცანას თავის დროზე თავი ვერ გაართვეს.

კულტურული მშენებლობა და იდეოლოგიური ფრონტი

გადავდივარ, ამხანაგებო, კულტურული მშენებლობის საკითხებზე და იდეოლოგიური ფრონტის მდგომარეობაზე.

ნაციონალურ - კულტურული მშენებლობის ერთ-ერთი დიდი გამარჯვება საყოველთაო დაწყებითი სწავლების განხორციელება საქართველოში, ნაცუმცირესობათა რაიონების ჩათვლით.

საქართველოში ითვლებოდა. 1919-20 წ. (მენშევიკების პერიოდში) 1.457 დაწყებითი სკოლა 114.745 მოსწავლით, ხოლო 1933 წელს—4.474 დაწყებითი სკოლა—423195 მოსწავლით ე. ი. სკოლებში ჩაბმულია 8—11 წლის ბავშვების 97 პროცენტი.

უდიდესი ზრდაა მიღწეული საშუალო სკოლის (7-წლედები) განვითარების საქმეში: 1919-20 წ. (მენშევიკების პერიოდი) იყო 119 საშუალო სკოლა 17.135 მოსწავლით, ხოლო 1933 წელს—996 საშუალო სკოლა 142.602 მოსწავლით.

თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ნაცუმცირესობათა რაიონებში მასობრივი განათლების ქსელის გაშლის მხრივ.

დაწყებითი და საშუალო სკოლა გადაყვანილია სწავლების ახალ მეთოდებზე, ახალ სტაბილურ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე, რომლებიც შემუშავებულია სკოლის შესახებ საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ს მიერ მოცემულ დირექტივებთან შეფარდებით.

1929-30 წ. გამოიცა 60 სახელწოდების სახელმძღვანელო 550 ათასი ეგზემპლიარის რაოდენობით, ხოლო 1930 წელს—200 სახელწოდება (მათგან 66 სტაბილური სახელმძღვანელო დაწყებითი და საშუალო სკოლისათვის) 2 მილიონი 300 ათასი ეგზემპლიარის რაოდენობით.

თვალსაჩინოდ გადიდდა სასკოლო სახელოსნოების და სამუშაო ოთახების რაოდენობა, აგრეთვე გაიზარდა სკოლის კავშირი საწარმოებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, სამანქანო სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებთან.

მიღწეულ წარმატებათა მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ, რომ დაწყებითი და საშუალო სკოლა კვლავ რჩება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალ დონეზე.

მიუხედავად კულტურული კერების ზრდისა, მასიური პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა სოფლად ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ სოციალისტურ სოფლის მეურნეობის და კოლმეურნეთა მასის მოთხოვნილებებს.

ყველაფერი ეს ჩვენს წინაშე აყენებს მწვავე ამოცანას გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა პოლიტგანმანათლებელ დაწესებულებათა ქსელზე პარტიულ ორგანიზაციების და სახალხო განათლების ორგანოების მხრიდან.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩვენ დიდი ზრდა გვაქვს სახალხო განათლების დაფინანსების დარგში. 1930 წელს სახალხო განათლებაზე დაიხარჯა 36.242.000 მანეთი, 1932 წელს კი —108.706.700 მანეთი.

პრესა

ჩვენი პერიოდული პრესა აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად განმტკიცდა.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას დირექტივა გაზეთების ორგანიზაციის შესახებ ყველა მნიშვნელოვან რაიონებში, მსხვილ საწარმოებში და ახალ მშენებლობაზე უკვე შესრულებულია.

1933 წელს ჩვენ გვაქვს 170 გაზეთი 541.000 ცალის ტირაჟით და გვყავს 50.000 მუშა და გლეხი კორესპონდენტი, თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1931 წელს. აქედან ეროვნულ უმცირესობათა ენებზე გამოდის: რუსულ ენაზე 8 გაზეთი, სომხურზე—4, თურქულზე—5, აფხაზურზე—6, ოსურზე—3, მეგრულზე—6, ასურულზე—1, და ბერძნულზე—1 გაზეთი.

ცეკამ გამაგრა გაზეთების რედაქციები კადრებით.

1933 წელს გამომცემლობებმა გამოუშვეს 52.500.000 ნაბეჭდი ფურცელი. დიდ წარმატებას მივაღწიეთ ჩვენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების გამოცემის დარგში.

მარქსის-ენგელსის-სტალინის ძირითად ნაწარმოებთა გამოცემა ჩვენ თითქმის დავამთავრეთ. ამჟამად დაჩქარებულია „6 ტომეულის" გამოცემის ტემპი იმ ანგარიშით, რომ 1934 წელს მთლიანად დავამთავროთ მისი გამოცემა.

სამხატვრო ლიტერატურა და ხელოვნება

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ" დიდი იდეურ-პოლიტიკური აღტყინება გამოიწვია მთელს მხატვრულ ინტელიგენციაში.

შექმნილია საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, რომელმაც შეძლო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობის შეცდომების ლიკვიდაცია.

ჩვენი მწერლობა (როგორც მთელი მხატვრული ინტელიგენცია) სოციალისტური მეურნეობის და ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის გიგანტურ გამარჯვებათა გავლენით თავის ძირითად ნაწილში მობრუნდა პროლეტარიატისაკენ. ის თანდათან აძლიერებს თავის აქტიურ მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამოვიდა მთელი რიგი მსხვილი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიაც ასახულია მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლა, სოციალისტური მშენებლობის ეპოქა და გმირები.

იზრდება ჩვენი პროლეტარული დრამატურგიაც.

საქართველოს მწერალთა კავშირის მუშაობა გაუმჯობესებულია. მწერალთა შემოქმედებითი მივლინების მოწყობით, მწერლების მომარაგების გაუმჯობესებით, მხატვრული ლიტერატურის გამოცემის გეგმების გადიდებით და სხვა.

დიდი მიღწევები გვაქვს ქართველი კლასიკოსების გამოცემის საქმეში გამოცემულია და იცემა შ. რუსთაველის, ე. ნინოშვილის, დ. ჭონქაძის, ა. წერეთელის, ვაჟა-ფშაველას, ი. ჭავჭავაძის და სხვათა ნაწარმოებები.

დიდი მიღწევები მოვიპოვეთ ჩვენ თეატრის, კინოს, სახვითი და მუსიკალური ხელოვნების დარგში.

უკანასკნელ წლებში ჩვენმა თეატრებმა მოგვცეს მთელი რიგი საუცხოო რევოლუციური დადგმები.

გაჩნდა ჩვენი მხატვრების სურათები, რომლებშიაც ასახულია სოციალისტური მშენებლობის აქტუალური თემატიკა.

გაძლიერებულია მხატვართა კავშირის მატერიალურ-საფინანსო ბაზა, მას გადაეცა ნაციონალური გალერეა გამოფენებისათვის და ყოფილ მეტეხის ციხეში ეწყობა ხელოვნების მუზეუმი.

მიუხედავად ყველა ამ წარმატებისა და მიღწევებისა, მთელმა რიგმა საბჭოთა და პროლეტარულმა მწერლებმა კიდევ ვერ აღმოფხვრეს ჯგუფობრიობის ნაშთები და რეციდივები, რაც საბჭოთა ლიტერატურას აშორებს სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს.

ზოგიერთი კომუნისტი კრიტიკოსი თავის „მემარცხენე" ნახტომებში და ჯგუფურ ბრძოლაში მიდის კლასიკური მემკვიდრეობის უარყოფამდე და საბჭოთა და პროლეტარული მწერლების ცალკეულ წარმომადგენლების [illegible].

ძირითადი ამოცანა ხელოვნების ფრონტზე — ეს არის მხატვრულ კადრების მიერ პროლეტარული ხელოვნების მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ათვისება.

მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე შეიძლება გაიზარდოს და აყვავდეს საბჭოთა სოციალისტური ხელოვნება.

სოციალისტური რეალიზმის, როგორც პროლეტარული მხატვრული შემოქმედების სტილის, დაუფლება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ მხატვარი ხელმძღვანელობს მარქს - ენგელს - ლენინის და სტალინის რევოლუციური თეორიით.

ამიტომ ჩვენი ამოცანაა — ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის კადრებს დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების დიდი ამოცანების გაგებას.

საქართველოს კომპარტიის ისტორიის შესწავლა დავაყენოთ მეცნიერულ ბოლშევიკურ რელსებზე

ამხ. სტალინის წერილმა „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ", ამაღლა სიფხიზლე იდეოლოგიურ ფრონტზე, კიდევ უფრო გააძლიერა ბრძოლა ანტიმარქსისტულ - ანტილენინურ თეორიების და ყველა სახის დამახინჯებათა წინააღმდეგ. მერვე ყრილობის შემდეგ იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის ორი წელი წარმოადგენდა პარტიის ბელადის ამხ. სტალინის დირექტივების რეალიზაციისათვის შეურიგებელი ბრძოლის წლებს.

მაგრამ იდეოლოგიური ფრონტის ზოგიერთ უბანზე ჩვენ კიდევ დიდი ჩამორჩენა გვაქვს. განსაკუთრებით ეს შეეხება ისეთ მნიშვნელოვან უბანს, როგორიც არის კომპარტიის და რევოლუციური მოძრაობის ისტორია საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ჩვენთვის სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ დღემდე არა გვაქვს ოდნავადაც მეცნიერულად და დოკუმენტალურად დამუშავებული ისტორია ჩვენი პარტიისა და რევოლუციონური მოძრაობისა საქართველოში.

ჩვენი პარტიის ისტორია, მთელი რევოლუციური მოძრაობა საქართველოში და ამიერ - კავკასიაში მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე მჭიდროდ დაკავშირებულია ამხ. სტალინის მუშაობასთან და მის სახელთან. არ შეიძლება არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ფაქტის მოყვანა ლენინური ხაზისათვის ბრძოლის ისტორიიდან, რომელიც არ იყოს გამსჭვალული ამხ. სტალინის აზრით და ნებისყოფით. ამხანაგი სტალინი წარმოადგენს ბოლშევიკური მოძრაობის საფუძვლის ჩამყრელს საქართველოსა და ამიერ - კავკასიაში.

მან მოაწყო პირველი არალეგალური ფურცლების გამოშვება.

მან მოაწყო პირველი პოლიტიკური გაფიცვა, პირველი პოლიტიკური დემონსტრაცია.

მის მიერ იყო მოწყობილი და ის ხელმძღვანელობდა პარტიის პირველ არალეგალურ კომიტეტებს ტფილისსა და ბათომში.

იმ პერიოდში ამიერ - კავკასიის უდიდესი სამრეწველო ცენტრი — ნავთიანი ბაქო, იქ ამხ. სტალინის ორი წლის მუშაობის შემდეგ გადაიქცა ბოლშევიზმის ციტადელად კავკასიაში, ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ნამდვილ დასაყრდენად.

მუშაობდა რა საქართველოსა და ამიერ - კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ყველაზე საპასუხისმგებლო უბნებზე, აწყობდა რა ბრძოლას მენშევიკებთან და ამხელდა რა მათ ამხ. სტალინი მთელი ბოლშევიკური ორგანიზაციის ბრძოლა აჰყავდა მაღალ ლენინურ პრინციპიალობამდე და შეურიგებლობამდე.

რატომ ვლაპარაკობ მე ამის შესახებ?

იმიტომ, ამხანაგებო, რომ საქართველოში რაც კი რომ დღემდე დაწერილა კომპარტიის ისტორიის და ამიერ - კავკასიის რევოლუციური მოძრაობის შესახებ: არ გამოხატავს ამხ. სტალინის ნამდვილ, ჭეშმარიტ როლს, რომელიც ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ბოლშევიკების ბრძოლას მრავალი წლის ბრძოლის მანძილზე ა.-კავკასიაში. ავიღოთ თუნდაც ამხ. მახარაძის ნაშრომი. მე ამიტომ ვიღებ ამხანაგ მახარაძის ნაშრომებს, რომ მით სწავლობს და იზრდება ჩვენი ახალგაზრდა თაობა.

მის ნაწარმოებში „1905 წელი ამიერ-კავკასიაში" და „საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორია" და მთელ რიგ სხვა ნაშრომებში გაშუქებული არ არის ბოლშევიკური ორგანიზაციის ნამდვილი ბრძოლა ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით. ნაჩვენები არ არის ის შეურიგებელი ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა ამხ. სტალინი არა მარტო მენშევიკებთან, არამედ ზოგიერთ ბოლშევიკებთანაც ბოლშევიკური ორგანიზაციის შიგნით ლენინური ხაზისათვის.

აგრეთვე არა მკაფიოდ და უმართებულოდ არის დაყენებული ამხ. მახარაძის ნაშრომებში საკითხი მენშევიზმის რაობის შესახებ, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მაშინდელ უთანხმოებათა შესახებ. ეს უთანხმოებანი მიფუჩეჩებულია.

„პარტმუშაკების ენერგიის დიდი ნაწილი, — წერს ამხ. მახარაძე (1905 წ., გვ. 120),—იხარჯებოდა შინაპარტიულ ბრძოლაზე. ყველასთვის ნათელი იყო, რომ ეს გარემოება ძლიერ ასუსტებდა და აბრკოლებდა მასების რევოლუციონური მოძრაობის განვითარების საქმის პარტიულ ხელმძღვანელობას".

გამოდის, რომ საჭირო იყო მენშევიზმთან ბრძოლის შეწყვეტა. ვგონებ ასეა?

ან:

„მენშევიზმი საქართველოში ჩაისახა ხელოვნურად და არა მარტო საბჭოების დროს, არამედ თვითმპყრობელობის დროსაც მას არ ჰქონია მტკიცე ბაზა... მენშევიკური პარტია ჩვენში ხელოვნურად შეიქმნა".

(„რაბოჩაია პრავდა", 1932 წ. № 131.)

ასეთი თვალსაზრისი აშკარად ეწინააღმდეგება თვალსაზრისს, რომელიც განვითარებული აქვს ამხ. სტალინს „წერილში კავკასიიდან".

ამხ. სტალინი ამ წერილში წერს:

„ის გარემოება, რომ ადგილი არა აქვს მკვეთრ კლასობრივ შეჯახებებს, რომლებიც მსხვილი სამრეწველო ცენტრების დამახასიათებელია, ხდის მას რაღაც ჭაობის მსგავსად, რომელიც გარედან ელის ბიძგს. სახელდობრ ამით; აიხსნება, რომ მენშევიზმმა, ნამდვილმა „მემარჯვენე" მენშევიზმმა, ასე დიდ-

დასასრული იხ. მე-7 გვ.

კომუნისტური პარტიის (ბ) IX ყრილობაზე 1934 წ. 10 იანვარს

ხანს იარსება ტფილისში. სულ სხვა მდგომარეობაა ბაქოში, სადაც ბოლშევიკების მკვეთრი კლასობრივი პოზიცია ხვდება ცნობილ გამოძახილს მუშებს შორის. ის, რაც ბაქოში „თავისთავად ცხადია", ტფილისში ნათელი ხდება მხოლოდ ხანგრძლივი დისკუსიების შედეგად, ბოლშევიკების შეურიგებელ სიტყვებს აქ მეტად ძნელად იღებენ. სახელდობრ, ამით აიხსნება ტფილისელი ბოლშევიკების „განსაკუთრებული მიდრეკილება" დისკუსიებისადმი და, პირიქით, მენშევიკების სურვილი შეძლებისამებრ „თავიდან აიცილონ" დისკუსიები".

მე ვფიქრობ, რომ ეს შეცდომები, ამხ. მახარაძემ დაუყოვნებლივ უნდა გამოასწოროს.

ჩვენ ვალდებული ვართ შეურიგებელი ვიყოთ ყოველგვარი შეცდომებისა და ჩვენი პარტიის ისტორიის დამახინჯებებისადმი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ბოლშევიკები აღარ ვიქნებოდით, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევასრულებდით ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მითითებას.

არსებული დამახინჯებებისა და [illegible]-ში შეცდომების სერიოზული კრიტიკის გარეშე შეუძლებელია საქართველოს კომპარტიის და ამიერ-კავკასიის ისტორიის ბოლშევიკური დამუშავება. ეს დასკვნა მტკიცედ უნდა შეითვისოს ყველა ჩვენმა კომუნისტმა ისტორიკოსმა.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენ მოგვეწყო ამხ. სტალინის ინსტიტუტი, დაგვეყენებია იქ მუშაობა როგორც საჭიროა, რათა შეგვეკრიბა ყველა მასალები საქართველოს კომპარტიისა და ამიერ-კავკასიის ისტორიის შესახებ და მოგვეცა საქართველოს და ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობისა და კომუნისტურ ორგანიზაციათა ისტორიის ნამდვილი სურათი.

ლენინური-ნაციონალური პოლიტიკისათვის

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების დარგში საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს აქვთ უდიდესი მიღწევები. ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ მოვახერხეთ გაგვენადგურებია მებრძოლი ქართული ნაციონალიზმი და მისი კონტრრევოლუციური ორგანიზაციები. ამასთან ერთად ჩვენ მოვახერხეთ გაგვენადგურებია ნაციონალ-უკლონიზმიც ჩვენი პარტიის რიგებში და შეგვექმნა „ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუში", როგორც წერდა ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო „პრავდა".

მიუხედავად ამისა, ამ მიღწევებით დამშვიდება ჩვენ არ შეგვიძლია. ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს ნაციონალ-შოვინისტური ელემენტების ერთგვარ გამოცოცხლებას.

მე მინდა აქ მოგაგონოთ უკრაინის გაკვეთილების შესახებ, სადაც, პარტიული ორგანიზაციის მხრივ სიფხიზლის შესუსტების მეოხებით, ნაციონალ-შოვინისტურმა ელემენტებმა მოახერხეს შეპარულიყვნენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მთელ რიგ საპასუხისმგებლო უბნებში და აწარმოებდნენ იქ თავიანთ მავნებლურ მუშაობას.

მდგომარეობა ჩვენში, რასაკვირველია, არ არის ისეთი, როგორიც იყო უკრაინაში.

მთავარ საფრთხედ ჩვენში რჩება დიდმპყრობელური შოვინიზმი. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ადგილობრივი ნაციონალისტური ელემენტების ნაწილობრივ გამოცოცხლებას. დიდმპყრობელური შოვინიზმის, თანამედროვე ეტაპზე როგორც მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ, ყოველმხრივ ბრძოლასთან ერთად, ჩვენ აუცილებლად კიდევ უფრო გავაძლიეროთ ბრძოლა ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის ფ. ს. რესპუბლიკების ხალხთა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის შემდგომი აყვავების ინტერესებისათვის აუცილებელია მათი კულტურულ-პოლიტიკური კავშირის ყოველმხრივ განმტკიცება პირველ ყოვლისა, რუსეთის პროლეტარულ კულტურასთან. ამ მიზნით აუცილებელია ჩვენი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მიერ რუსული ენის შესწავლის გაძლიერება, რომელიც არის უდიდესი რევოლუციური მონაპოვართა ენა პოლიტიკის, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების და ლიტერატურის დარგში.

ამჟამად რუსული ენის შესწავლის დაყენების საქმე ჩვენს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დაგვაკმაყოფილებს. არ არის საჭირო დავასახელოთ აქ ფაქტები ამ მდგომარეობის დადასტურებისათვის. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იმათაც კი, რომლებმაც დაამთავრეს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები და ასპირანტებმაც ცუდად იციან რუსული ენა, რამაც შეუძლებელია უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს მათი მუშაობის ხარისხზე.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიაქცია და ჯერ კიდევ 1933 წლის შემოდგომაზე მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება დაწყებითი, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების გაძლიერების და გაუმჯობესების და რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონის გამოცემის შესახებ.

ცხადია, რომ ნაციონალისტურად განწყობილი ელემენტები წინააღმდეგობას გაუწევენ ცენტრალური კომიტეტის ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას.

ჩვენდამი მტრულად განწყობილ ელემენტებმა უკვე დაიწყეს ლაყბობა იმის შესახებ, რომ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ნიშნავს ჩვენი სკოლების „რუსიფიკაციის" პოლიტიკას და სხვ.

ნაციონალისტური ელემენტების ამგვარი ლაყბობას და წინააღმდეგობას ჩვენის მხრივ წააწყდება ფრიად გადამჭრელი წინააღმდეგობა. აუცილებელია დაუნდობლად გამოვამჟღავნოთ ეს ვაჟბატონები, რომლებიც ვითომდა ქართული კულტურის დაცვის საბაბით აწარმოებენ გაფთრებულ ბრძოლას ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის წინააღმდეგ, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის კულტურულ-პოლიტიკური კავშირის განმტკიცების წინააღმდეგ.

საქართველოს ბოლშევიკები, რომლებმაც პარტიის ისტორიაში ჩასწერეს ნაციონალ-შოვინიზმთან და უკლონიზმთან ბრძოლის სახელოვანი ფურცლები, შემდგომაც შესძლებენ მაღლა დაიჭირონ ლენინისა და სტალინის დროშა, ნამდვილი ინტერნაციონალიზმის დროშა, ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის დროშა.

მავნებლობა

ამხანაგებო, ჩემი მოხსენების ცალკე ნაწილში მე გაკვრით უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენი მეურნეობის მთელ რიგ დარგებში ადგილი ქონდა მავნებლობას. ნებას მივცემ ჩემ თავს ცოტა ხანს შევჩერდე ამ საკითხზე.

ისტორიული განვითარების ხანამ, რომელსაც ჩვენ განვიცდით, — კოლექტივიზაციის და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლამ, წარმატებით გატარებამ ამ პოლიტიკისა, რომელსაც მივყავართ უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისაკენ — აუცილებლობით გამოიწვია კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. მომაკვდავი კლასების ნაშთები გამარჯვებულ პროლეტარიატისადმი მხეცური სიძულვილით ამპყრობილნი გაფაციცებით ებღაუჭებიან ყველაფერს, რასაც, მათი აზრით, შეუძლია შეაფერხოს, შეაჩეროს რევოლუციის ძლევამოსილობა.

ქართველი ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა უკვე ერთგულად ჩაება სოციალისტურ მშენებლობაში.

მაგრამ არის ინტელიგენციის მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც დარჩა თავის წინანდელ, პროლეტარიატისადმი მტრულ კონტრრევოლუციურ პოზიციებზე და აწარმოებდა მავნებლურ მუშაობას.

ეს უმნიშვნელო ჯგუფი დიდის ამბით უწოდებდა თავის თავს „საქართველოს ნაციონალურ ცენტრს", და რაც განსაკუთრებით კომიკურია — მთელი სერიოზულობით ანაწილებდა ურთიერთშორის მომავალი „დამოუკიდებელი" საქართველოს მინისტრების პორტფელებს.

ეს ბანდა, რომელსაც თავის უკრედიტი ქონდა საქართველოს სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში — მეაბრეშუმეობაში, მეცხოველეობაში, სატყეო მრეწველობაში, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში, საქონლის გასაღების ქსელში თავის ძალებისა და შესაძლებლობისამებრ ეწეოდა მავნებლობას და ამით საქმეს უფუჭებდა საქართველოს მუშებსა და მშრომელ გლეხებს, ვითომ რომელთა ინტერესებისათვის ისინი იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

საქართველოს პოლიტსამართველოს ორგანოებმა გამოაშკარავა და დაამარცხა მთელი ეს კომპანია.

დაპატიმრებულთა შორის არიან [illegible] ცნობილნი:

ყოფ. სოციალისტ-ფედერალისტი პროფ. შალვა ცქიტიშვილი, პროფ. ილია ჯანდიერი, ზურაბ ელიავა, შალვა ჩხეიძე, ყოფილი ტროცკისტი და უკლონისტი, პროფ. ლეონიძე, ყოფ. პოლკოვნიკი გურამიშვილი.

რაში გამოიხატებოდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მავნებლური მუშაობა?

მიქელაძე — „ზაკსოიუზის" ყოფ. კონსულტანტი, წარსულში ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, 1933 წლის 7 დეკემბრის ჩვენებაში ამბობს:

„...ცეკავშირის დარგობრივ კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციის საქმიანობის საშუალებით მთელი მუშაობა მომარაგების დარგში წარმოებდა იმ ვარაუდით, რომ გამოგვეწვია საქონლის მომარაგების დეზორგანიზაცია და ამ გზით — ქალაქის და სოფლის მოსახლეობის ფართო ფენების უკმაყოფილება და აღშფოთება საბჭოთა ვაჭრობის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ".

„...კონტრრევოლუციური ორგანიზაცია კოოპერაციაში ადგენდა საქონლის შემოზიდვის და თვითდამზადებათა არარეალურ გეგმებს; არსებული საქონლის ფონდები ნაწილდებოდა აშკარად უმართებულოდ და მიზანშეუწონლად. ეს ქმნიდა იმ საქონელზედაც კი, რომელიც საკმაოდ მოიპოვებოდა, ხელოვნურ „საქონლის შიმშილობას"; ზოგიერთი რაიონის ჩასაქონლების, ხოლო სხვა რაიონების არასაკმაოდ მომარაგების გზით".

აი ამონაწერი საქ. ტრაქტორცენტრის უფროსი აგრონომის ახალკაცის ჩვენებიდან:

„სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დარგისათვის დამუშავებული [illegible] გეგმის საფუძველზე 1932 წ. მავნებლური ორგანიზაციის წევრებმა ჩაატარეს შემდეგი სადივერსიო აქტები:

1) ზორჰალის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში სხვადასხვა დროს მწყობრიდან გამოყვანილ იქნა ხუთი ტრაქტორი;

2) წნორის, სამ.-სატრ. სადგურში სხვადასხვა დროს მწყობრიდან გამოყვანილ იქნა 4 ტრაქტორი.

3) ახალქალაქის სამ.-სატრ. სადგურში ერთდაიმავე დროს მწყობრიდან გამოყვანილია 3 ტრაქტორი"... და სხვა.

ვეტერინარი მავნებელი ცინცაძე აცხადებს:

„მეცხოველეობის ხაზით მავნებელთა ორგანიზაციის აზრი საქართველოში ძირითადად შემდეგი იყო: პირუტყვის სულადობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემცირება, ხორცეულ-ცხიმის პრობლემის ჩაშლა, ნედლეულის ბაზის შესუსტება — ეკონომიკური შეფერხებისა და შიმშილობის გამოსაწვევად, სოფლის მეურნეობის სრულ რეკონსტრუქციის უკანასკნელად ჩასაშლელად და ამ ნიადაგზე უნდა გამოგვეწვია მშრომელი მასების უკმაყოფილება"... „მავნებლობის წყალობით გოჭების დახოცვამ მიაღწია 60 პროცენტს, ხოლო სრულასაკოვანი ღორებისამ—40 პროც.".

საბედისწერო აუცილებლობით კონტრ-რევოლუციის ბანაკისაკენ იქაჩებოდნენ პარტიის ზოგიერთი ცალკე წევრები, ყოფილი ტროცკისტები, უკლონისტები და სხვანი.

მავნებელნი ცდილობდნენ დაჰკავშირებოდნენ მათ, გამოეყენებინათ და ჩაეთრიათ ისინი.

აი, რას ამბობს მეაბრეშუმეობის მავნებელთა ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჩხეიძე, აბრეშუმის ტრესტის ყოფ. თავმჯდომარე:

„...მთელი გულახდილობით უნდა განვაცხადო, რომ მე, ჩხეიძე შალვა სოლომონის-ძე, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1920 წლიდან, ჩავვარდი კონტრ-რევოლუციის უფსკრულში, დავუკავშირდი კონტრრევოლუციას.

ვეკუთვნოდი რა ტროცკისტულ ოპოზიციას და არ ვეთანხმებოდი რა პარტიისა და ც. კ-ს გენერალურ ხაზს, მე ცქიტიშვილსა და ნიჟარაძესთან საუბარში ხშირად გამოვთქვამდი უკმაყოფილებას პარტიისა და მისი ც. კ-ს პოლიტიკის გამო"...

„...მან კი, ე. ი. ცქიტიშვილმა მაცნობა მე, რომ ამ მუშაობისთვის მას სუბსიდიას აძლევენ სათანადო კაპიტალისტური წრეები"..

„...დავეთანხმე რა ცქიტიშვილის მტკიცებას, მე დავპირდი მას რომ ხელს შევუწყობდი იმ კონტრ-რევოლუციურ ორგანიზაციის საქმიანობას, რომლის წარმომადგენელიც ცქიტიშვილი იყო. მე ვფიქრობ, ზედმეტია ამ განცხადების კომენტირება.

მავნებლები გამოტყდნენ საქართველოს მშრომელთა წინაშე თავის დანაშაულში.

„...ჩემმა იდეოლოგიურმა ნათესაობამ მავნებელთა ორგანიზაციის წევრებთან... გადამაქცია საქართველოს სასოფლო მეურნეობის მექანიზაციის ხაზით მავნებელთა ორგანიზაციის ჯერ პასიურ, მერე აქტიურ, ხოლო შემდგომ ფაქტიურ ხელმძღვანელად", ამბობს საქართველოს მიწსახკომის მექანიზაციის სექტორის ყოფ. უფროსი სპეციალისტი მირიანაშვილი თავის ჩვენებაში 1933 წ. 17 ნოემბერს.

„ჩვენ ვიყავით წევრები მავნებელთა კონტრ-რევოლუციური უჯრედისა, ა.-კავკ. ტრაქტორცენტრში; ეს უჯრედი იყო ფილიალი მავნებელთა საკავშირო ცენტრისა, რომლის დირექტივებსაც, მიმართულს სამ.-სატრაქტ. სადგურების დეზორგანიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ჩაშლისაკენ, ჩვენ ვახორციელებდით"; — აცხადებენ თავის კოლექტიურ განცხადებაში ტოლპინცევი, სოროკერი და ახალკაცი, 1933 წ. 26 დეკემბერს.

პროფ. ლეონიძემ 8 იანვარს შემოიტანა განცხადება, რომელშიაც წერს:

„...ვაცხადებ, რომ მთელი რიგი წლების განმავლობაში მე ვეკუთვნოდი ქართველი ინტელიგენციის ანტი-საბჭოთა ნაწილს და ვიდექი რა პროლეტარული დიქტატურისადმი დამოკიდებულებაში, შემდგომ დავადექი აქტიურ მავნებლობის გზას, ვიყავი რა მეცხოველეობის დარგში მავნებელთა კონტრ-რევოლუციური ორგანიზაციის წევრი".

„საბოლოოდ გავწყვიტე რა კავშირი სპეციალისტთა კონტრ-რევოლუციურ ჯგუფთან და იმ ინტერვენციონისტულ განწყობილებებთან, რომლებიც ახასიათებენ ქართველი ინტელიგენციის ანტისაბჭოთა ნაწილს, მე კატეგორიულად ვემიჯნები მათ და გთხოვთ დამაბრუნოთ სამუშაოზე...".

შემდეგ იგი ჩამოთვლის მთელ რიგ კონკრეტულ წინადადებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს სარძეო მეურნეობის გაუმჯობესებას.

პროფესორი ცქიტიშვილი თავის ჩვენებაში წერს:

„...გთხოვთ გამასამართლოთ საჩვენებელი პროცესის წესით, სადაც მე მასის წინაშე გამოვთქვამ ყველაფერს ჩემი კონტრ-რევოლუციური მავნებლური მუშაობის შესახებ და სადაც საშუალება მომეცემა მოუწოდო ყველას, როგორც უკვე დაპატიმრებულებს, რომლებიც ჩემთან ერთად ეწეოდნენ კონტრ-რევოლუციურ მავნებლურ მუშაობას, აგრეთვე იმათაც, ვისაც ჯერ კიდევ არ შეუგნია სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის მიერ საკ. კ. პ. (ბ) და მისი მტკიცე ბელადის სტალინის ხელმძღვანელობით დასახული გზის სისწორე, უკან მოუხედავად იარონ ამ გზით, ვინაიდან სოციალიზმის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით".

სამწუხაროდ, ჩვენი ცალკეული კომუნისტები ზოგჯერ იმეორებენ ლაყბობას ქართველი ინტელიგენციის „სპეციფიურობის" შესახებ, იმის შესახებ, რომ მის წრიდან არ შეიძლება გამოვიდნენ მავნებლები. საქართველოს მშენებლობის მნგრეველები.

მავნებლობის შედეგების ლიკვიდაცია უკვე მოხდა. მაგრამ საქართველოს ბოლშევიკებმა უნდა მიიღონ აქედან სათანადო გაკვეთილი. კომუნისტების სიფხიზლე გაძლიერებულ უნდა იქნას.

საჭიროა განმტკიცდეს ჩვენი საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გრძნობა. ისინი კიდევ უფრო მეტი გულისხმიერებით უნდა ჩაუკვირდნენ მათთვის ჩაბარებული საქმის ყველა წვრილმანს.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენ ვისწავლეთ საქმიანი მუშაობა.

ქართველი ინტელიგენციის უდიდესმა ნაწილმა, რომელიც ჩაება სოციალისტური მშენებლობის მუშაობაში, უკანასკნელი წლების მანძილზე გაზრდილ ახალგაზრდა საინჟინრო-ტექნიკურ ძალებთან ერთად, მოგვცა მუშათა კლასის საქმისადმი თავდადების მრავალი მაგალითი.

მაგრამ, ვიმეორებ, მთელი პარტიული ორგანიზაციის სიფხიზლე კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაქსიმალურად უნდა იქნას გაძლიერებული.

საქართველოს პარტორგანიზაციის მდგომარეობა და პარტმუშაობა

მე-8 ყრილობის შემდგომ პერიოდში საქართველოს პარტორგანიზაცია 51.582 კაციდან 55.053 კაცამდე გაიზარდა.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით პარტორგანიზაციის შემადგენლობაში გვყავს მუშები 57,7 პროცენტი, გლეხები 28,1 პროც. და მოსამსახურეები 14,2 პროც.

უჯრედების რაოდენობა, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად ჩატარებული გარდაქმნის შემდეგ, 1934 წლის 1 იანვრისათვის გაიზარდა 1.515-დან 4.002-მდე. საკოლმეურნეო უჯრედების ქსელი თვალსაჩინოდ გაფართოვდა; 3.481 კოლმეურნეობიდან 2.718 მოცულია პარტიული ორგანიზაციების ქსელით, რაც საქართველოს ყველა კოლმეურნეობის 78 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს 20 რაიონში არ არის არც ერთი კოლმეურნეობა, სადაც უჯრედი არ იყოს, თითქმის ყველა საბჭოთა მეურნეობა მოცულია პარტიული ორგანიზაციების ქსელით.

გაფართოვდა ტერიტორიალური სასოფლო უჯრედების ქსელი: 835 სოფლის საბჭოდან მხოლოდ 57 სოფლის საბჭოს არა ჰყავს უჯრედები.

დიდი მუშაობაა ჩატარებული რაიონული პარტიული ორგანოებისა და უჯრედების ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცების საქმეში. 2 წლის განმავლობაში ტფილისიდან რაიონებში პარტიულ სამუშაოზე გადაყვანილია 1.000 კაცზე მეტი, ხოლო რაიონებიდან კოლმეურნეობებსა და სოფლებში—2.000-მდე კაცი.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა შექმნის შემდეგ გაუმჯობესდა პარტიული ხელმძღვანელობა წარმოების მიმართ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

განსაკუთრებით გულდასმით შერჩეულია რაიონული პარტიული კომიტეტების შემადგენლობა და რაიონების უდიდესი უმრავლესობა თვითონ მოხერხებულად ხელმძღვანელობს და წარმატებით ასრულებს მათ წინაშე დასმულ ამოცანებს.

სიღნაღის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის რაიონებმა, აჭარისტანმა, აფხაზეთმა, ოზურგეთის, გურჯაანის ზუგდიდის, გორის და ბევრმა სხვა რაიონებმა წარმატებით შეასრულეს ყველა სამეურნეო ამოცანები და გამოვიდნენ ამიერ-კავკასიის მოწინავე რაიონების რიგებში.

მას შემდეგ, რაც გატარდა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ივნისის გადაწყვეტილება საკოლმეურნეო უჯრედის შესახებ, საკოლმეურნეო უჯრედების ქსელის გაფართოებასთან ერთად გაიზარდა ძირეული პარტიული რგოლების (ჯგუფორგანიზატორების) რაოდენობა კოლმეურნეობებში და გაუმჯობესდა პარტიული ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო ბრიგადის მიმართ.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ საწარმოებში სუსტი და გაუფორმებელია ძირეული პარტიული რგოლი. ამისდა მიხედვით, ქალაქის პარტორგანიზაციების ყურადღების ცენტრი გადატანილ იქნა ძირეული რგოლის შექმნასა და გაცოცხლებაზე და პარტმასობრივი მუშაობის სიმძიმის ცენტრის საამქროსა და ბრიგადაში ნამდვილად გადატანაზე. საამქროს უჯრედების განმტკიცებასთან ერთად გაფართოვდა ჯგუფპარტორგანიზატორების ქსელი 871-დან 1.563-მდე სამრეწველო საწარმოებში.

საწარმოებში პარტმასობრივი მუშაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით თვალსაჩინოდ გაიზარდა დამკვრელ და სოცშეჯიბრებაში ჩაბმულ კომუნისტთა რაოდენობა. თვიდან-თვემდე მატულობს გამომგონებელ და დაჯილდოებულ კომუნისტთა რაოდენობა.

ამაღლდა კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონე; პარტგანათლების ქსელში მიმდინარე წელს ჩაბმულია ყველა კომუნისტთა 95 პროცენტამდე, ნაცვლად 1933 წლის 23 პროცენტისა.

პარტგანათლების ქსელში გაიზარდა პარტსწავლების საშუალო და უმაღლესი ფორმები.

პარტიის მომავალ წმენდასთან დაკავშირებით, ფართოდ მოეწყო კომუნისტთა მასებში პარტიის წესდებისა და პროგრამის შესწავლა.

სოფლის პარტიული კადრების მომზადება და გადამზადება ტარდება საბპარტსკოლებში, რომლებშიაც ჩაბმულია 950 კაცი.

1932 და 1933 წ. განმავლობაში სხვადასხვა კურსების ქსელში გატარებულია 9.500 კაცზე მეტი, უმთავრესად სოფლის ძირეული პარტიული მუშაკები.

მოწყობილია საქართველოს უმაღლესი კომუნისტური სასოფლო-სამეურნეო სკოლა 414 მსმენელით, რომელიც ამზადებს პარტიულ-საბჭოთა ძალებს სოფლის პარტორგანიზაციებისათვის.

არსებობს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი 176 მსმენელით ლექტორთა და პროპაგანდისტთა კადრების მოსამზადებლად.

საგრძნობლად გაუმჯობესდა კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობაზე პარტიული ხელმძღვანელობა. გატარებულია მთელი რიგი ღონისძიებები კომკავშირელ მუშაკთა კადრების მომზადების საქმის წინ წასაწევად.

საქართველოს კომკავშირი განმტკიცდა, გაიზარდა მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური როლი და ის ჭეშმარიტად იქცა პარტიის ნამდვილ და ერთგულ დამხმარედ სამეურნეო-საწარმოო ამოცანების შესრულებაში, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში.

იზრდება ახალგაზრდა დამკვრელ ენთუზიასტების რიგები, რომლებიც გვიჩვენებენ გმირული შრომის ნიმუშებს საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე.

ტარდება მნიშვნელოვანი მუშაობა კომკავშირულ ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის საქმეში, პოლიტსწავლებაში ჩაბმულია 70 ათასზე მეტი კომკავშირელი.

ჩვენი ამოცანაა — კიდევ მეტი ყურადღება მივაქციოთ კომკავშირს, გავაძლიეროთ დახმარება კომკავშირისადმი უპარტიო ახალგაზრდობის რაც მეტად თავის გავლენის ქვეშ დაყენების საქმეში.

კომკავშირი უნდა იყოს პატიოსანი, კეთილსინდისიერი შრომის თაოსანი კოლმეურნეობებში, მას მაღლა უნდა ეჭიროს დამკვრელობისა და სოცშეჯიბრების დროშა სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

მე ვათავებ ჩემს მოხსენებას.

საანგარიშო პერიოდი უსათუოდ ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია საქართველოს კომპარტიის განვითარებაში.

1. განვლილი პერიოდის მანძილზე ჩვენ მივაღწიეთ საქართველოს პარტიული ორგანიზაციების გადაჭრით გაუმჯობესებას, ჩვენ მივაღწიეთ ბოლშევიკური დისციპლინის დამყარებას, ჯგუფობრივობის და „ატამანშჩინის" ელემენტების ლიკვიდაციას.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს ამჟამად ხელმძღვანელობს პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის ნებისყოფა.

2. ჩვენ მივაღწიეთ მთელი ორგანიზაციის ყურადღების მობრუნებას სამეურნეო საკითხებისაკენ.

თუ წინათ კონკრეტული სამეურნეო მუშაობა შავ მუშაობად ითვლებოდა და მას ამჯობინებდნენ ლაყბობას, ყველაფერზე, ახლა გემო გაუგეს სამეურნეო საკითხებს, პარტიული ორგანიზაციები იწყებენ მუშაობას კონკრეტულად, ოპერატიულად, საქმიანად.

3. ამ საფუძველზე ჩვენ მივაღწიეთ პარტიული რიგების მონოლიტობას და მის შემჭიდროებას საკავშირო კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პარტიის ბელადის ამხ. სტალინის ირგვლივ (ტაში).

4. ყოველივე ამან წინასწარ განსაზღვრა მიღწეული გამარჯვებები, რომლებითაც საქართველოს კომპარტია ხვდება მე-17 პარტყრილობას.

5. ლენინის და სტალინის დროშით, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, საქართველოს ბოლშევიკები მთელს პარტიასთან ერთად ცხოვრებაში გაატარებენ ბოლშევიკების საკავშირო კომუნისტური პარტიის მომავალი მე-17 ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

გაუმარჯოს საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

(მქუხარე, ხანგრძლივი შეუჩერებელი ტაში. დარბაზი ფეხზე ადგომით ესალმება ამხ. ბერიას).

სომხეთის კომპ. ყრილობის მისალმებანი

საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-9 ყრილობას

ერევანი, 10 იანვარი. სომხეთის კომპარტიის მე-9 ყრილობა მხურვალედ ესალმება საქართველოს ბოლშევიკებს.

აწარმოებდნენ რა ბრძოლას მარქს-ლენინ-სტალინის მოძღვრების სიწმინდისათვის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის, პარტიის, გენერალური ხაზიდან ყოველგვარი, გადახრის წინააღმდეგ, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებისათვის წარმოადგენდნენ სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ნამდვილი ოპერატიული ხელმძღვანელობის ნიმუშს და კვლავაც ასეთ ნიმუშად დარჩებიან.

საქართველოს კომპარტიის უდიდესი მიღწევები მტკიცე ბოლშევიკის და ნაცადი ხელმძღვანელის ამხ. ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით წარმოადგენს საქართველოს ბოლშევიკების შემდგომ კიდევ უფრო დიდ წარმატებათა და მონაპოვართა მტკიცე საწინდარს.

გაუმარჯოს ბოლშევიკურ ა.-კ. სამხარეო კომიტეტს ამხ. ლავრენტი ბერიას მეთაურობით!

გაუმარჯოს საქართველოს სახელოვან კომპარტიას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის გენიალურ სტრატეგს ამხ. სტალინს! (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს—ამხ. ლ. ბერიას

სომხეთის კომპარტიის მე-9 ყრილობა გითვლის შენ, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს მხურვალე ბოლშევიკურ სალამს.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის ბრძოლაში ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა შენი უშუალო ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს.

საკ. კ. პ. (ბ) ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და ჩვენი საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის პირადი მითითებების მიხედვით, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების საფუძველზე, ნავთის, ბამბის, ჩაის, თამბაქოს, ციტრუსოვანი კულტურებისათვის ბრძოლაში, ბოლშევიკური კოლმეურნეობებისათვის ბრძოლაში, ამიერ-კავკასიის ფედერაციამ წამოიწია და ჩადგა დიდი საბჭოთა კავშირის მოწინავე მხარეების მწყობრში.

„იცვლება მუშაობის სტილი, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა იწყეს ოპერატიული ხელმძღვანელობა, კონკრეტულად მუშაობა დიდი პრობლემების გადაჭრისათვის". სწორედ ეს არის ის ახალი რამ ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების მუშაობაში, რასაც ჩვენ მივაღწიეთ შენი უნარიანი, კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობის მეოხებით.

სომხეთის ბოლშევიკები პირობას იძლევიან, რომ შემდეგშიაც კიდევ უფრო მედგრად იბრძოლებენ პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისათვის, გააძლიერებენ ბოლშევიკურ სიფხიზლეს ყოველი ჯურის ოპორტუნისტებთან ბრძოლაში პარტიის გენერალური ხაზისთვის, კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში ჩვენი მუშაობის კონკრეტულ უბნებზე.

გაუმარჯოს საკ. კ.პ. (ბ) ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — ამიერ-კავკასიის სოციალისტურ გამარჯვებათა ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ბოლშევიკურ ა.-კ. სამხარეო კომიტეტს! (ადს).

შრომათა ძლევა

(ძღვნად საქართველოს კომპარტიის მე-9 ყრილობას)

ამდენი განძი თუ გაგვიგიათ
ან ამ დოვლათით სავსე მთაბარი!
აი, ის მდელო, ქვეშ რომ გიგიათ,
სულ ჩაისთვის გააქვს გადანაბარი.
მეორე ხუთწლედს რომ გავალთ
თავში
და გადავჭიმავთ ჩაის ხეობას,
საკუთარ ჩაით დავატკბობთ მაშინ
მთელი კავშირის მოსახლეობას.
სადაც ელავა გვიმრა წყეული
და იშვიათად—სიმინდის ჩალა,
ამირის მკერდივით წამოწეული
მანდარინების გაშლილა ჰალა.
და ყვითელ-წითელ-ლურჯ-ფერ-
დაკრული
ჩამოყურსულა ტკბილი ნაყოფი,
კოლმეურნეთა ხელით დარგული,
ის საერთოა, ყველას საყოფი.
და მურმანსკიდან წამოწყებული
მოთავებული ვლადივასტოკით,
სუბტროპიკული ხილი ქვეშული
ყველას დაატკბობს წვნიანი
ლოკვით...
მაგრამ ეს გეგმა აქ არ ჩერდება.
ის არც აცხელებს და არც აციებს.
თამბაქოს მინდვრებს აღარ ჯერდება
და უწევს ფართოდ მის
პლანტაციებს.
არ გააჩნია მკვიდრ საწყისებით
მას აღარც მარჯვნივ, არც
მარცხნივ თარჯი,
მოვა ფოთოლი და მას ღირსებით
უკან დარჩება გავაის გლარჯი.

ის გეგმა მაინც ისევ წინ იწევს,
წელიწადივით მოდის დღეები,
აზის ნაპირებიც ირგვლივ ვერ
იტევს,
რომ ჩარაზმულან თუთის ხეები.
ამაში არის დღეს შრომის ძლევა:
და, მოსავალიც ყაჭის თუ დარჩა
ხონს დარაია არ დაელევა
და სამ[illegible]-ქოთაისს ფარჩა.
განა, სამოთარ ტანის სამოსი
ითხოვს, რომ შთანთქას მთელი
მარაგი?
ჩვენი კავშირის ვრცელ მიდამოსი
გაინაწილებს სოფელ-ქალაქი.
ამას ტყიბულის მოსდევს ნახშირი
და მარგანეციც ჭიათურისა,
ჩვენი საბჭოთა დიდი კავშირი
მიიღებს ყველას, ნაცვლად პურისა.
ზესტაფონიდან წამოვა ფერო,
[illegible]ვირის [illegible]ინით და რაჭის ბარიტით,
მთავ კორტოხისა თუ ლიხის წვერო.
მინც, მჭიდრო, ხედები ტივთა
ნარიყით...
ყველით, ირბოთი. რძით, ვაშლით.
მატყლით
მოვის ბორჯომის მთელი ხეობა.
და ხვდება წითელ ბელელით თუ
საბძლით
მას ს[illegible]ინისის მოსახლეობა.
ამას ზედ ერთვის გორის ატამი,
ატენისა და მუხრანის ღვინით,
კასპის ცემენტის გადასატანი
ქალაც ზაჰესს აქვს ელ[illegible]რო-
ჯინით.

მთიდანც ჩამოვა ოსური ყველი,
რომ გზაში შეხვდეს იმას თუშური,
რომ გადა[illegible]ინას გლეხის ხელს ხელი,
ხილი მაყარი, ხილი მუშური.
კახეთის ღვინო, ქიზიყის ბამბა
აქეთ შირაქის ნავთის ნაკადი,
შორს გაჭიმული ალაზნის დამბა
ზედ ნისლით, როგორც მწყემსის
ნაბადი...
და ჰა, ტფილისში თავს იყრის
ყველა,
როგორც ბელელში მოსავლის
ხვავი.
მშრომელი ხალხის ეს არის შველა,
ძალთა ერთ ძალად შეყრილი ხვავი!
მოგვიტანიათ საჩქითა ძნები,
რომ აქ დაყარონ ახალ კონებად,
რომ გამარჯვების ასწიონ ხმები
მთელი მსოფლიოს გასაგონებლად!—
დღეს მეცხრედ არის ეს შეჯამება
მოქმედი სიტყვის, მოქმედი ძალის,
ჩვენს მშენებლობას ის ეხმარება
და ახალ ძალას უგზავნის სტალინს.
რომ ერთად შეკრას საბჭოთა
სიტყვა,
მსოფლიოს ჩაგრულთ მას ხსნა
უნდა რა,
და ო[illegible] მტრის თავს, ვით ლოდი,
ვით ქვა,
ვით უნახავი ჯირედ ყუმბარა!..

ნ. ზომლეთელი.

1934 წლ. 10 იანვარი.

ამხ. ხინჩუკის სიტყვა

ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე

ბერლინი, 10 იანვარი. საბჭოთა კავშირსა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების აღსანიშნავად ამერიკის სავაჭრო პალატის მიერ გამართულ ნადიმზე სიტყვა წარმოსთქვა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. ხინჩუკმა, რომელმაც მიესალმა ნორმალური ურთიერთობის დამყარებას ორ ქვეყანას შორის და განსაკუთრებულად აღნიშნა პრეზიდენტ რუზველტის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლიტვინოვის დიდი დამსახურება ამ საქმეში. ამხ. ხინჩუკმა დასძინა, რომ შეერთებულ შტატებს და საბჭოთა კავშირს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება მომზადებული იყო საბჭოთა კავშირის და შეერთებულ შტატების ბევრი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ხანგრძლივი მუშაობით. მათ შორის ამხ. ხინჩუკმა პირველ რიგში აღნიშნა სენატორების ბორახ და ლაფოლეტის კაპიტან რობინსის, გუბერნატორ სმიტის, ამერიკის ელჩის საბჭოთა კავშირში ბულიტის და ინჟინერ კუპერის მოღვაწეობა — ამერიკის მხრით, და ამტორგის თავმჯდომარის ამხ. ბოგდანოვის, ამხ. მეჟლაუკის და სკვირსკის მოღვაწეობა—საბჭოთა კავშირის მხრით. ამხ. ხინჩუკმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამერიკის პირველი ელჩის ბულიტის ჩასვლამ საბჭოთა კავშირში ხელი შეუწყო ორი ქვეყნის ურთიერთ დამოკიდებულების შემდგომ განმტკიცებას.

შემდეგ ამხ. ხინჩუკი დაწვრილებით შეჩერდა საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე.

„ცნობილია,—განაცხადა ამხ. ხინჩუკმა,—რომ შეერთებულ შტატებს პირველი ადგილი უჭირავს ხელმძღვანელ მსოფლიო სახელმწიფოებს შორის, მაგრამ საბჭოთა კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობაც იზრდება. ხუთწლედის ოთხ წელიწადში წარმატებით განხორციელებამ, მეორე ხუთწლედის განხორციელებაზე გადასვლამ, რომლის პირველი წელი უკვე დამთავრდა, საბჭოთა კავშირი მსხვილ სამრეწველო პროდუქციის მიხედვით მეორე ადგილზე დააყენა მსოფლიოს სამრეწველო სახელმწიფოებს შორის".

ფართოდ დაახასიათებს რა საბჭოთა კავშირის უდიდეს მიღწევებს ახალი ფაბრიკების და ქარხნების შექმნის საქმეში, უახლესი ტექნიკის საფუძველზე, წარმატებებს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოკვლევის დარგში, საბჭოთა მეურნეობების შექმნის, კოლექტივიზაციის და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საქმეში, ამხ. ხინჩუკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამეურნეო ძლიერების გადიდებასთან ერთად „მშვიდობიანობის თანმიმდევრობითმა პოლიტიკამ, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე, საბჭოთა ქვეყანა გადააქცია საყოველთაო მშვიდობიანობის უმნიშვნელოვანეს დასაყრდენად: საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენა, ეჭვს გარეშეა, კიდევ უფრო განამტკიცებს საყოველთაო მშვიდობიანობის საქმეს"—განაცხადა ამხ. ხინჩუკმა.

შემდეგ ამხ. ხინჩუკი შეჩერდა შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის პერსპექტივებზე. ამხ. ხინჩუკმა მიუთითა, რომ საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციები პირველად არ გამოდიან ამერიკის ბაზარზე და რომ პირველი ხუთწლედის განმავლობაში სავაჭრო ბრუნვამ ორივე ქვეყანას შორის მიაღწია 450 მილიონ დოლარს, რომლიდანაც 880 მილიონ დოლარს შეადგენდა საბჭოთა კავშირის იმპორტი ამერიკიდან. თუ უკანასკნელ წლებში ეს ბრუნვა შემცირდა, ეს შედეგი იყო იმის, რომ ორ ქვეყანას შორის არ არსებობდა ნორმალური ურთიერთობა. შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარების საქმეში, ამხ. ხინჩუკის სიტყვით, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას სამი ძირითადი მომენტი.

პირველი, ამერიკის მანქანების, მანქანათა ნაწილების და ნედლეულის იმპორტი საბჭოთა მრეწველობისათვის.

საბჭოთა იმპორტის გაძლიერება მოხდება იმ რაოდენობით, რამდენადაც შეიქმნება პირობები და წანამძღვრები, რომლებზედაც მიუთითებდა ამხ. ლიტვინოვი ლონდონის ეკონომიურ კონფერენციაზე, ე. ი. შეიქმნება კრედიტის ისეთი პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს საბჭ. ექსპ. განვითარებას და უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის დაკვეთების დიდი პროგრამის რეალიზაციას.

ეკონომიური ურთიერთობის განვითარების მეორე მომენტს წარმოადგენს ურთიერთ ტექნიკური დახმარება.

მრავალმხრივმა ურთიერთობამ საბჭოთა მრეწველობასა და ამერიკის მრეწველობას შორის ორივე მხარეს დიდი სარგებლობა მოუტანა. ამერიკულ ფირმებს „ფორდს", „ჯონ ენდ ჯეკსონს", „[illegible]", „ჯენერალ ელექტრიკს" და სხვ. სამართლიანად აქვთ მოპოვებული სახელი შეერთებულ შტატებში. ბევრმა ამერიკელმა ინჟინერმა [illegible] მუშაობა ჩაატარა საბჭოთა კავშირის გიგანტურ საწარმოთა მშენებლობაში, ზოგიერთი მათგანი დაჯილდოებულია საბჭოთა ორდენებით, როგორც, მაგალითად, [illegible] ნერი, [illegible] ხანინი, კუპერი და სხვ.

გარდა ამისა, საბჭოთა კავშირში მუშაობს მრავალი ასეული ამერიკელი მაღალკვალიფიციური მუშა, რომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს მშენებლობის საქმეში. თავის მხრივ ამერიკელმა ინჟინრებმა და მუშებმა ბევრი რამ ისწავლეს საბჭოთა საწარმოების აგების დროს, რომლებიც შენდება უმაგალითო მასშტაბით.

„ამ ძვირფას ურთიერთ ტექნიკურ დახმარებას,—განაცხადა ამხ. ხინჩუკმა, ფართო პერსპექტივები აქვს ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცების და განვითარების საქმეში. საბჭოთა კავშირში შეიქმნა მრეწველობის ბევრი ახალი დარგი, როგორიცაა კალიუმის, აზბესტის მრეწველობა, ქიმიური და მარგანეცის მრეწველობა, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან ახალი ბაზისი საბჭოთა ექსპორტისათვის შეერთებულ შტატებში. საბჭოთა ექსპორტის განვითარება მთავარ წყაროს წარმოადგენს იმ ვალდებულებათა განაღდებისათვის, რომლებიც გამომდინარეობს დაკვეთებიდან და შესყიდვებიდან. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ამერიკული ტურიზმის განვითარებას საბჭოთა კავშირში".

დასასრულ, დაწვრილებით შეჩერდა რა კრედიტების საკითხზე, ამხ. ხინჩუკმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების ზოგიერთ ეკონომიურ წრეში არსებობს გარკვეული სკეპტიციზმი საბჭოთა დაკვეთების დაკრედიტების შესაძლებლობის მიმართ იმ მოსაზრებით, რომ შეერთებულმა შტატებმა [illegible] თითქმის ყველა თავისი კრედიტი ევროპაში.

[illegible] მე უნდა აღვნიშნო,—განაცხადა ამხ. ხინჩუკმა,—რომ საბჭოთა კავშირი არის ერთად-ერთი ქვეყანა, რომელიც [illegible] ასრულებს თავის ვალდებულებებს, იმ დროს როცა კაპიტალისტურ მსოფლიოს არა მარტო ცალკე ფირმებმა, არამედ მთელმა სახელმწიფოებმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადეს.

ხელმოწერილია საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება

პარიზი, 11 იანვარი. 11 იანვარს ხელმოწერილ იქნა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დროებითი სავაჭრო ხელშეკრულება. საფრანგეთის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: საგარეო საქმეთა მინისტრმა ბონკურმა, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა ლერან-ეინაკმა და სახალხო მეურნეობის მინისტრის ამხანაგმა ტენტერმა, საბჭოთა კავშირის [illegible]—სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. დოვგალევსკიმ და სავაჭრო წარმომადგენელმა ამხ. ოსტროვსკიმ.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მხარეებმა ერთმანეთს მიულოცეს მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება. ბონკურმა და ამხ. დოვგალევსკიმ აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებას აქვს არა მარტო სავაჭრო, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც და რომ იგი წარმოადგენს ახალ ეტაპს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოების გზაზე.

შემდეგ ამხ. დოვგალევსკიმ მიიღო ჟურნალისტები და აუწყა მათ განცხადება. ამ განცხადებაში მან აღნიშნა ეკონომიური მნიშვნელობა ახალი ხელშეკრულებისა, რომელიც ხელს შეუწყობს კავშირის გაფართოებას საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. მან მიუთითა, რომ ეს ხელშეკრულება—მხოლოდ პირველი ეტაპია ამ გზაზე და რომ იგი იძლევა ეკონომიური ურთიერთობის განვითარების ახალ შესაძლებლობას გაცილებით უფრო დიდი მასშტაბით.

ამხ. დოვგალევსკიმ აღნიშნა, რომ სავაჭრო ხელშეკრულებას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა არა მარტო საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის, რამდენადაც მისი დადება ამავე დროს ანმტკიცებს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, რამდენადაც მისი დადება ამავე დროს ანმტკიცებს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, არამედ საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებისათვისაც.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ ხელშეკრულება შესდგება ორი ნაწილისაგან ეკონომიური ნაწილი, რომელიც საბჭოთა მხარეს ანიჭებს მინიმალურ საბაჟო ტარიფს და გამოყოფს კონტინგენტების განსაზღვრულ პროცენტს საბჭოთა საქონლის შემოსატანად, და [illegible] ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს საფრანგეთში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის დებულებას.

საფრანგეთის მთელ პრესას ხელშეკრულების დადება მიაჩნია უმნიშვნელოვანეს მოვლენად, რომლის მნიშვნელობაც სცილდება საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის წმინდა სავაჭრო ურთიერთობის ჩარჩოებს.

„ჰავასი“ იუწყება, რომ დადებული სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც მოჰყვა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირს შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადებას და აღნიშნავს, რომ ეს არის საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობის და ნდობის მეორე ეტაპი. ხელშეკრულება ხელს შეუწყობს იმ საკითხების მოგვარებას მეგობრულ ატმოსფერაში, რომლებიც ჯერ კი არ არის გადაჭრილი.

ცნობილი ჟურნალისტი ზაუერვეინი „პარი სუარში“ წერს, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების დადებით ბოლო ეღება საბჭოთა კავშირისათვის იმ არახელსაყრელ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა სამი წლის წინად და რომელსაც ახასიათებდა ის, რომ საბჭოთა საქონელი შემოქონდათ საფრანგეთში მხოლოდ სპეციალური ლიცენზიების მიხედვით. თუ ეს ხელშეკრულება,—აღნიშნავს შემდეგ ი-ი, წარმოადგენს უდაო მნიშვნელოვან აქტს ეკონომიური თვალსაზრისით, მას დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რამდენადაც დადებულია მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა, საბჭოთა კავშირმა და მათი მოსაზღვრე ქვეყნებმა ხელი მოაწერეს თავდაუსხმელობის პაქტებს.

გავლენიანი „ჟურნე ენდუსტრიელი“ აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება უზრუნველყოფს საფრანგეთის პროდუქციის საგრძნობ გასაღებას საბჭოთა ბაზარზე.

„პტი პარიზიენს“ მოჰყავს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ პრესის წარმომადგენლებისადმი გაკეთებული განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის გადახდისუნარიანობა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

მთელი რიგი გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთის მთავრობა მალე დანიშნავს სავაჭრო ატაშეს საფრანგეთის საელჩოსთან საბჭოთა კავშირში (ადს).

„ნიუს ქრონიკლი“ ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ

ლონდონი, 10 იანვარი. ლიბერალური „ნიუს ქრონიკლ“, უკეთებს რა კომენტარიებს ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერის შეფერხებას, უწოდებს ამას სკანდალურ აქტს. გაზეთის სიტყვით, საბჭოთა კავშირს სურს აწარმოოს ვაჭრობა და ამ მიზნით ყოველგვარ დათმობაზე მიდის და იძლევა მოთხოვნილ პირობებს. ინგლისელი [illegible] მრეწველნიც დაინტერესებული არიან საბჭოთა ბაზრით, არამედ [illegible] მოუთმენლად. ვიდრე საბჭოთა კავშირი, იწრაფვიან ბოლო მოუღონ იმ მდგომარეობას, რომელიც არღვევს საყოველთაო ინტერესებს. [illegible] ქაშაყის (თევზის) მრეწველობაში მოწმობს, რომ ამ საქმის [illegible] მდგომი დაყოვნება კიდევ უფრო მეტ საფრთხეს ქმნის. ამავე დროს საგარეო საქმეთა სამინისტრო აყენებს მეორეხარისხოვან საკითხებს, რომლებსაც უფრო მნიშვნელოვნად სთვლის, ვიდრე ქაშაყის მრეწველობის ბედს. დადგა დრო,—წერს გაზეთი,—როცა ბოლო უნდა მოეღოს ამ პედანტიზმს (ადს).

იაპონიის სამხედრო გემების გაგზავნა ფუჯოუში

ტოკიო, 10 იანვარი. ფუჯოუში მდგომარეობის გამწვავებასთან დაკავშირებით, ნანკინის ჯარების მოახლოების გამო სამხედრო გემი „დსუმა“ გაიგზავნა ფუჯოუში და გამანადგურებელი „აკიძაკე“ ამოიში. ნანკინის ჯარებმა დაიკავეს იანპინი, გუტიანი და უიკოუ და ამჟამად იმყოფებიან მინციოში (ადს).

ასკანიტი

(საუბარი პროფ. ა. თვალჭრელიძესთან)

ასკანიტი (სახელწოდება წარმოსდგება სოფ. ასკანადან) ბენტონიურ თიხების კატეგორიას ეკუთვნის. ამ თიხების დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ის, რომ მათში არის რკინის სიმჟავის, მაგნიუმის და კალციუმის ელემენტები და აგრეთვე სხვა ნივთიერებანი.

გოგირდის სიმჟავით გადამუშავების შემდეგ ასკანიტი იძენს ძლიერ აქტიური ადსორბენტის თვისებას. ადსორბენტი არის ნივთიერება, რომელიც იჭერს ჭუჭყს, სწმენდს ზეთებს, ცხიმებს, სანთელს და ნავთობის სხვა და სხვა პროდუქტებს. ამ თვისებით ასკანიტი უკეთესია გერმანიიდან შემოტანილ გააქტივებულ მიწებზე, რაშიაც ჩვენს ნავთის მრეწველობას აუარებელი ოქრო ეხარჯებოდა.

ასკანიტი ჩვენს ქვეყანას ანთავისუფლებს უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან ამ დარგში. იგი გასწმენდს ჩვენი ნავთის პროდუქტებს. საკმარისია ითქვას, რომ 1934 წლის განმავლობაში აზნავთი მოიხმარს 10.000 ტონა ასკანიტს ნავთის პროდუქტების გასაწმენდათ.

მეორე მხრივ ცხიმოვანი პროდუქტების დამამზადებელი მრეწველობა უშუალოდ არის დაინტერესებული ასკანიტით, რადგანაც იგი აუცილებელია მაღალ ხარისხოვან (ცხიმების) ასამზადებლად.

სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით ჩვენ არა გვაქვს ასკანის ბენტონიური თიხების გადამამუშავებელი ქარხანა. ამიტომ ცხიმოვან პროდუქტების მრეწველობის მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი რჩება. საკუთარი საჭიროების დაფარვის გარდა ასეთი ქარხანა მოგვცემდა საექსპორტო ასკანიტსაც, რომელიც წარმატებით გასაღდება ევროპის ქვეყნებსა და ეგვიპტეში, სადაც ფართოდ სწარმოებს ზეთების დამზადება.

საქ. სახპროექტში ამჟამად მუშავდება ასკანიტის გააქტივების (სიმჟავეებით დამუშავების) პროექტი. ქარხანამ წლიურად უნდა მოგვცეს 50.000 ტონა ასკანიტი. ამას გარდა, გამოყენებითი მინერალოგიის სამეცნიერო — საკვლევო ინსტიტუტმა წამოაყენა საკითხი, რომ ოზურგეთში აგებულ იქნას შედარებით მცირე ძალოვნების ქარხანა, რომელიც წლიურად მოგვცემს 1.000 — 5.000 ტონა ასკანიტს ცხიმის მრეწველობის მწვავე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ტფილისში გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტთან მუშაობს პატარა საცდელი დანადგარი, რომელიც, ცხადია, ოდნავადაც ვერ აუდის მოთხოვნილებას.

ასკანის თიხას დიდი ხანია იცნობენ ადგილობრივი მცხოვრებნი. ლიტერატურაში იგი პირველად აღნიშნა აკადემიკოსმა ფერსმანმა 1915 წელს სპეციალურ ბროშურაში. შემდეგ მეცნიერო აკადემიის დავალებით პირველი გამოკვლევა 1916 წელს ჩაატარა პროფ. ა. თვალჭრელიძემ. 1927 წელს მანვე გაიყვანა პირველი შურფი. 1929-30 წლებში პროფ. ფილატოვმა ჩაატარა მუშაობა ასკანის თიხების გააქტივებისათვის, რასაც ბრწყინვალე შედეგები მოჰყვა.

გააქტივებულ ასკანიტის გამოცდა ჩატარდა ამერიკელ ინჟინერ პეტის თანდასწრებით. დადასტურდა, რომ ასკანიტი სავსებით ეგუება ნავთის მრეწველობის [illegible] და სხვა პროდუქტების გასაწმენდათ. კიდევ მეტი: ამ მხრივ ასკანიტი სჯობს ამერიკულ თიხებსაც კი.

გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტმა ასკანიტის ნიმუშები (რამოდენიმე ვაგონი) გაუგზავნა საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ქალაქებს. ყოველი მხრიდან მოწონების გამოხმაურება მოდის და ასკანიტს მოითხოვენ ძალიან დიდი რაოდენობით. ამას გარდა, ასკანიტი გამოცდილ იქნა როგორც ყალიბის მასალა. ეს მოხდა ტფილისში ა. ლ. ტუმანსკის ხელმძღვანელობით. შემდეგ საქთომოს ცდები ჩატარდა მოსკოვის ქარხანა „დინამოში“, სადაც ფოლადი ჩამოასხეს ქვიშისა და ასკანის თიხისაგან შემზადებულ ნარევის ყალიბში. შედეგები აქაც ბრწყინვალეა.

წინასწარი ანგარიშით ასკანასა და მის მიდამოებში ((ჯიხის - უბანი, მთის - პირი, ვანის ქედი) არის 7.000.000 ტონამდე ასკანიტი, ბუდობების სიღრმე ზოგან 45 მეტრს აღწევს.

დღეისათვის დამთავრებულია საცდელი პარტიის (10 ვაგონი) ამოღება. ეს არის ასკანიტის საგანგებო კატეგორიები, რომელთაც წყალის შესრუტვის განსაკუთრებული თვისება აქვთ. გამოშრობის შემდეგ ასკანიტი კაი გზავნება საბჭოთა კავშირის მანქანათმშენებელ ქარხნებში (როსტოვი, ხარკოვი, გორკი, მოსკოვი).

ასკანიტს დიდი პერსპექტივები აქვს. შინაური მოხმარების გარდა, როგორც ითქვა, იგი წარმატებით გამოდგება საექსპორტოთ, კერძოდ ასკანიტი უცხოეთში გაიტანება როგორც საყალიბო მასალა, რადგანაც ამ მხრივ იგი ამერიკულ თიხებს უტოლდება და ზოგჯერ სჯობნის კიდეც. საამისოდ საჭირო იქნება ასკანის საშრობ და საფქვავ საამქროს მოწყობა.

გადაუდებელი საკითხია ტრანსპორტი. გათვალისწინებულია წლიურად 30.000.000 ტონა საყალიბო თიხისა და ამდენივე გამწმენდი ასკანიტის გაზიდვა. ამისათვის საჭიროა კარგი გზა, სახელდობრ რკინის გზის შტოს გაყვანა სოფ. ასკანამდე. ტრანსპორტს უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება, რადგანაც გზა სწყვეტს ასკანიტის სამრეწველო გამოყენების საკითხს.

ხ. მასხულია

ქვანახშირი

9 იანვარს ქვანახშირის ამოღების გეგმა შესრულდა 106 პროც.

	ამოღება (ტონობით)		
	დავალება	შესრულება	%
სულ	962	1.017	106
მათ შორის:			
ლენინის უბანი . . .	462	514	111
სტალინის უბანი . .	500	503	100,6

მოზარდ მაყურებელთა თეატრი მე-17 ყრილობის წინ

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი კონკრეტულ ვალდებულებების მიღებით ხვდება პარტიის მე-17 ყრილობას. ლენინის გარდაცვალების ათი წლის თავზე თეატრი გაუშვებს ს. მთვარაძის „ორატორიას“, (დადგმა ჭელიძის, მუსიკა ალავერდაშვილის, მხატვარი კვესი). თებერვლის პირველ რიცხვებში დაიდგმება სპექტაკლი „სურამის ციხე“, გადმოკეთებული ს. მთვარაძის მიერ (დადგმა თაყაიშვილის. მხატვარი ოცხელი); ამას გარდა თეატრი პრემიერად მისცემს სპექტაკლ „ჯამბაზებს“.

ძველი დადგმებიდან განახლებული იქნება „კაცი შავი სათვალეებით“ და „რობინ გუდი“, რომელსაც გასულ წელში საგრძნობი ჩავარდნები ახასიათებდა. თეატრი ვალად იღებს გაშალოს მუშაობა მსახიობთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და წითელი არმიის საშეფო ნაწილებზე მომსახურეობის გაძლიერებისათვის.

ფიზკულტურა

სამი ქალაქის ფიზკულტურელთა შეჯიბრება

16, 17, 18 და 19 იანვარს. ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ყრილობის [illegible], ა.-კ. ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო ტრამვაელთა კლუბში ატარებს ტფილისის, ბაქოს და ერევნის უძლიერეს მოჭიდავეთა, მოკრივეთა და სიმძიმის ამწევთა შეხვედრას.

აღნიშნული შეხვედრა გამოამჟღავნებს ამიერ-კავკასიის საუკეთესო პროფკავშირულ კოლექტივს. შეჯიბრებისადმი ინტერესს აძლიერებს ის გარემოება, რომ მასში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები სიმძიმის აწევაში გუმაშიანი (ტფილისი), შულიაცი (ბაქო) და აზარცუმიანი (ერევანი). და აგრეთვე საუკეთესო მოჭიდავეები ცკინსკი, ოგანეზოვი, აკოპოვი, დენისოვი და უძლიერესი მოკრივეები ტფილისიდან და ბაქოდან — ნერსაევი, კაიუროვი, ხოპლაევენკო, პაპიანი, და ისრიელოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

1934 წ. 13 იანვარს, დღის სრულ 4 საათზე საქართველოს კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგის ამხ. კოკლამაზაშვილის კაბინეტში (ოთახი № 45) შესდგება თათბირი კვების მრეწველობის შესახებ საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების შესრულების საკითხზე.

თათბირს უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები. ამხ. **მკურტუმოვი** („რ. ლიუქსემბურგი“), **ხინჩიკაშვილი** („პროლეტარი“), **შ. ცერცვაძე** (მაკარონის ფაბრიკა), **ალახვერდოვი** (საკონდიტერო ფაბრიკა), **ერგულოიანი** (ხორცის კომბინატი), **ადამიანი** (პურის ქარხანა), **კერესელიძე** (მექანიზირებული საცხობი), **ჯარიშნელოვი** (ტფილსთამრეწვი), **ბიჭვავა** (ლიმონის ქარხანა), **კოლასონია** (ლუდის ქარხანა), **პინცენკო** (ძეხვების ქარხანა), **კალინინი** (ზეთის სახდელი ქარხანა), **მურადზანოვი** (ტფილისის საზკვება), **დარჩიევი** (მურაბის ფაბრიკა), **რიაზანოვი** (საპროდუქტო ბაზა № 205), **ლევ. კაზაროვი** (საცხობი № 3), **მიკირტიჩიანი** (არტელი „რეკორდი“), **კოპიანოვი** (საქხილბოსტანი), **თხილავა** (მომარაგების სახალხო კომისარიატი), **ივანე მოქაძე** (საქ. კოოპერატიულ ინვალიდთა კავშირი), **მამაცაშვილი, ყოჩიაშვილი, ბახტაძე; რობაქიძე; პილიევი; „საქრძეფრინველის“, კონფეტების ფაბრიკა „რეკორდის“, კონფეტების ფაბრიკის** (რკინ. რიგი № 9), **ლარებკომის კონფიტების ფაბრიკის, საკონდიტრო საწარმოს** (ელიაბოვის ქ. № 36) **და არტელ „რეაქტივის“** (მუზეუმის ქ. № 9) **უჯრედის მდივნები.**

საქართველოს ა.ლ.კ.კ. ცეკა იუწყება, რომ ამა წლის 14 იანვარს, დღის 12 საათზე ც. კ-ის შენობაში (რუსთაველის № 20 ოთახი № 9) განათლების და კადრების განყოფილების მიერ მოწვეულია გაფართოებული თათბირი ს.ს.რ.კ.-ს ცაკის და სახკომსაბჭოს 1933 წ. 15—9 დადგენილების რეალიზაციის მიმდინარეობაზე ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრების გამოყენების შესახებ.

თათბირს ყველა საჭირო მასალებით აუცილებლად უნდა დაესწრონ: მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი—(ამხ. **მძ. ხარიშვილი, სარალიძე**), მსუბუქი მრეწ. სახკომისარიატი—(ამხ. **ჯაფარიძე**), მომარაგების სახკომისარიატი, მიწსახკომი—(ამხ. **ცინცაძე, ჯორჯიკია**), ტყის მრეწველობის კომისარიატი—(ამხ. **თოდუა**), განსახკომი—პროფსაბჭო—(ამხ. **პაპავა, წულუკიძე**), ჯანსახკომი (**ბოკუჩავა, პაპავა**), „სოიუზტრანსის, სამტრესტის, საქ. ჩაის; ტრაქტორცენტრის, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის, „26“ კომუნარ. სახ. ქარხნის, სტალინის სახ. საცდელ-საჩვენ. კლუბის და „ვოროშილოვის“ სახელობის კლუბის პ. მგ. წარმომადგენლები, კომკავშირის ტფილ. კომიტეტი (ამხ. **კაზაროვი**), კომკ. სტალინის რაიკომი (**კამკამიძე**), კომკ. ორჯონიკიძის რაიკომი (**კალანდაძე**), კომკ. ლენინის სახ. რაიკომი—(ამხ. **ფოფხაძე**), კომკ. „26“ სახ. რაიკომი—(ამხ. **ზაქარიაძე**) კომკ. გარეუბნის რაიკომი—სახ. უნივერსიტეტი (ამხ. **ბაშაძე, ალნიაშვილი, კვიცარიძე**), სუბტროპიკული ინსტიტუტი (**კანდელაკი, [illegible]ლაძე**), საქ. ინდუსტრ. ინსტიტუტი (**ვაშაყმაძე, მესხი**), სახ. სამ. ინსტიტუტი (**ბუაჩიძე, თარგამაძე**), სატყეო ინსტიტუტის დირექტორი და კომკ. კოლექტივის ბიუროს მდივანი, მეთინსტიტუტი (ამხ. **ვაწაძე, ხურციძე**), ამიერ-კავკასიის კავშირგაბმულობის სამ. ინსტ. დირექტორი და კოლექტივის ბიუროს (მდივანი).

სახ. ოპერა

12 იანვ. დღისით **გოფმანის ზღაპრები** დასაწ. დღის 12-30 წ. საღამოთი 2 აბ. 10 წ. **ტრავიატა**	13 იანვარს 4 აბონ. 10 წარ. **ევგენი ონეგინი**	კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის **ყრილობის** გამო 14 იანვრიდან 18 იანვრამდე წარმოდგენები არ იქნება.

ის აბონენტები, რომელთაც არ ექნებათ გადახდილი მეექვსე შესატანი თავისი წარმოდგენის დღემდე, წარმოდგენაზე არ დაიშვებიან. 327

რუსთაველის თეატრი სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით

14 იანვარს 10 აბ. 4 წარ. **დუშმანი**	15 იანვარს 9 აბონ. 5 წარ. **დუშმანი**

მე-4-ზე გადასახადი სავალდებულოა, შეტანილი უნდა იქნას თეატრის სალაროში წარმოდგენის დღის 2 საათამდე. სალარო ღიაა 11—2, 6—9 ს.-მდე. დასაწყისი 8 ს.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

12 იანვარს აბონ. გარეშე **ოტელლო**	14 იანვარს 3 აბონ. 4 წარ. **კაკალ გულში**	15 იანვარს 4 აბონ. 4 წარ. **ოტელლო**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11—2 საათ. საღ. 6—9 ს. აბონენტების მიერ იანვრის 20-მდე დაფარული უნდა იქნეს მე-5 გადასახადი.

[illegible] კინო-თეატრები

[illegible] ხმოვანი	ხმ. მოლ. ფ. **დიდი ნუგეშისმცემელი** სეანსები 6-30. 8-30. 10-30.
[illegible]	მხატ. სურ. სახლ. ნაწ. **რისთვის?** 2 სერ. სეანსები 6, 8-15, 10-30.
[illegible]	მხატვრული ფილმი **ნამუსი** სეანსები 6, 7-30, 9, 10-30.
რ. ლუქსემბურგის ხმოვანი	ჟღანსკ. დღ. **რაფიკეს ქალიშვილი** სეანსები 6, 7-30, 9, 10-30.
სპარტაკი	ოლღა ჩეხოვა სურათში **მულენ-რუჟი** სეანსები 6-30, 8-30, 10-30.
26-ის სახ	ისტორ. ფილ. **ჯანყი** 1-ლი სერია სეანსები 6-30, 8-15. 10.
მეცნიერება და ტექნიკა	სამეცნ. საინსტრუქტ. ფ. **პარაშიუტი** სეანსები 8, 9-30.
რ. ლუქსემბურგის დღისით	საბავშ. კ. **თეთრი მხედარი** (მოზრდ. ჯგუფებ-თვის) სეანსები 10-30, 12, 1-45.
[illegible]	**კომუნარის ჩიბუხი** სეანსები 10, 12, 2.

საბიბლიოთეკო კურსები

საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საქ. განსახკომი ხსნის 6 თვიან გადასამზადებელ კურსებს ორი განყოფილებით: სამეცნიერო და მასიურ ბიბლიოთეკებისათვის.

თანახმად სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა ყველა ბიბლიოთეკები ვალდებულია მიავლინონ კურსებზე თავიანთი ბიბლიოთეკარები.

კურსები გაიხსნება სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკასთან 25 იანვრიდან. მეცადინეობა იწარმოებს საღამოობით.

ყოველგვარი ცნობების მისაღებად მიმართეთ იქავე კურსების გამგეს ამხ. **ციციშვილს** 11—12 საათამდე.

განს. სახ. კომ. საბიბლ. გან. გამგე **გრ. გოგოტიშვილი.**
3—1 274 კურსების გამგე **ივ. ციციშვილი.**

„მკერავტრესტი“-ს ინდივიდ. დაკვეთების სამკერვ. ფ-კა № 6
(სარეწ. კოოპერაციის, ყოფ. სომხის ბაზარი № 22)

აცხადებს

შემკვეთელების საყურადღებოდ,

რომ დამზადებული შეკვეთები 1 იანვრისათვის—კაცის და ქალის კოსტუმები და პალტოები ქვემოთ ჩამოთვლილი ნომრებით გამოსყიდული უნდა იქნეს ხუთი დღის ვადაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ამ ვადის შემდეგ გამოუსყიდავი დაკვეთები გაიყიდება სხვა პირებზე ორდერებით და არავითარი პრეტენზიები შემდეგ არ მიიღება.

შეკვეთების ნომრები:

3547, 3893, 4544, 4630, 4699, 4789, 4892, 5272, 5280, 5317, 5355, 5423, 5427, 5440, 5459, 5502, 5566, 5583, 5613, 5638, 5703, 5722, 5746, 5760, 5807, 5822, 5847, 5852, 5867, 5869, 5950, 5985, 6089, 6121, 6138, 6187, 6191, 6264, 6281, აგრეთვე 20 ქალის პალტო ძველი შეკვეთები.

დანარჩენი შეკვეთები ცალკე შარვლებზე, ხალათებზე და ქალის კაბებზე, რომელთა დამზადების ვადა იყო 1 იანვრამდე და ამ დღისთვის უკვე დამზადებულია, გამოსყიდული უნდა იქნეს 5 დღის ვადაში.
ნ. 564

ტფილისის ინდუსტრიალური მუშფაკის დირექცია ხსნის ექვსთვიან გადასამზადებელ კურსებს

რუსულ და ქართულ ენაზე უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში შემსვლელთათვის.

კურსებზე მიიღებიან ისინი, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება ცხრაწლედის ან ათწლედის ფარგლებში, საქ. საფაბ. სკოლა დამთავრებულნი შვიდწლედის ბაზაზე და ტექნიკუმ დამთავრებულნი.

განცხადებების მიღება იწარმოებს ტფილისის ინდუსტრიალურ მუშფაკის კანცელარიაში, ენგელსის ქ. № 28 14/I—34 წ.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან საშუალო სასწავლებელ დამთავრებულ ს. კ. პ. (ბ) წევრთა და კანდიდატებისათვის უნივერსიტეტში შესასვლელად

იხსნება 5 თვიანი გადასამზადებელი კურსები

კურსები გაიხსნება 25 იანვარს. მეცადინეობა იწარმოებს საღამოს საათებში 6-დან 10 საათამდე. კურსებზე მეცადინეობა დამთავრდება 25 ივნისს. 25 ივნისიდან 1-ლ ივლისამდე შემოწმდება მსმენელების განვლილი მასალის შეთვისების ხარისხი, რის შემდეგ უგამოცდოთ გადაირიცხებიან უნივერსიტეტში ის მსმენელები, რომელთა ცოდნა დამაკმაყოფილებლათ იქნება ცნობილი.

კურსებზე ჩასარიცხად საჭიროა 20 იანვრამდე შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

1. მოწმობა საშუალო სასწავლებლის დამთავრების შესახებ (9 წლედი, 10 წლედი, ტექნიკუმი, მუშფაკი და სხვა).
2. დაბადების მოწმობა.
3. მოწმობა სამხ. ბეგარასთან დამოკიდ. შესახებ.
4. მოწმობა სოციალური წარმოშობისა და მდგომარეობის შესახებ.
5. მოწმობა ს. კ. პ. (ბ) წევრ-კანდიდატობის შესახებ სათანადო დახასიათებებით.
6. ორი სათანადოთ შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი.

კურსებზე მეცადინეობა უფასოა.

რექტორატი სთხოვს ს. კ. პ. (ბ) რაიკომიტეტებს კურსებისათვის გამოაგზავნონ შესაფერისი კანდიდატები.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
301 პროფ. **ალნიაშვილი.**

განსახკომთან არსებულ სამრეწველო-ეკონომიურ და ადმინ. ტექნიკის განათლების კომბინატი

20 იანვრიდან დამატებით ხსნის

1. მოანგარიშე-საქმისწარმოების 8 თვიან ჯგუფს. (მეცადინეობა იწარმოებს დილის ჯერში).
2. სტენოგრაფიის 6-თვიან ქართულ და რუსულ ჯგუფს. (მეცადინეობა იწარმოებს საღამოს ჯერში).

კურსები იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე.
დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება—რუსთაველის პრ. № 34-ში, დილის 9 საათიდან საღ. 10 საათამდე.
ნ. 565 2—1 **კომბინატის დირექცია.**

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული

მუშა ძალის შეკრების მომწესრიგებელი კომისია

ავალებს სამეურნეო ორგანიზაციებს, რომლებმაც წარმოადგინეს განაცხადებები 1934 წლისათვის დამატებითი მუშა ძალის შეკრების ნებართვების მისაღებად, გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები მინდობილობით ა/წ. 20 იანვრამდე (ტფილისი, სასახლე, ოთახი 22) 1934 წლის 1 კვარტალის საჭიროებისათვის დამატებით მუშა-ძალის შესაკრებ სათანადო ნებართვების მისაღებათ. ის სამეურნეო ორგანიზაციები, რომელთა ცენტრალური გაერთიანება ტფილისში არ იმყოფება ვალდებულია დეპეშით გვაცნობოს მისამართი, ნებართვების კუთვნილებისამებრ გადასაგზავნად.

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული მუშაძალის შეკრების მომწესრიგებელი კომისია.
ნ. 569

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ტარდება

ტფილისის საბჭოს წევრების ხელახალი რეგისტრაცია

საბჭოს წევრების მანდატების ახალი მანდატებით შეცვლით.

რეგისტრაცია იწარმოებს 15—27 იანვრამდე ტფილისის საბჭოს საორგანიზაციო განყოფილებაში (ტფილისის საბჭოს შენობა, ოთახი № 32) ყოველდღე საღამოს 7—10 საათამდე (წარმოების მუშები, რომლებიც მუშაობენ საღამოს ცვლაში ცხადდებიან დილისით 10—2 საათამდე) შემდეგი წესით:

15 იანვარს	ცხადდებიან მანდატებით	№ 1— 200
16	„ „	№ 200— 300
17	„ „	№ 300— 500
19	„ „	№ 500— 700
20	„ „	№ 700— 800
21	„ „	№ 800— 900
22	„ „	№ 900—1000
23	„ „	№ 1000—1100
25	„ „	№ 1100—1300
26	„ „	დანარჩენი.

იმ საბჭოს წევრის შესახებ, რომელიც 27 იანვრამდე არ გატარდება რეგისტრაციაში და ახალ მანდატს არ მიიღებს, ან მივლინების შემთხვევას აღნიშნულ დრომდე არ აცნობებს საორგანიზაციო განყოფილებას, საკითხი დაისმება ამომრჩეველთა წინაშე საბჭოს შემადგენლობიდან მის გამოსაყვანად. ნ. 566

ტფ. საბჭოს საორგ. განყოფილება.

საქ. მიწსახკომის ტერიტორიის ორგანიზაციის სექტორი

აცნობებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა საბჭოთა ორგანიზაციებს, რომ საბჭოთა მეურნეობებში მიწ-ტოპოგრაფიულ, მიწათმოქმედების და სამი წლის მომსახურებისათვის და სხვა სამუშაოების ჩასატარებლად **საჭიროა განაცხადი შემოტანილ იქნას საქმიწსახკომის ტერ. ორგანიზაციის სექტორში.**
განაცხადის შემოტანის ვადაა 1934 წლის 1-ლი თებერვალი.
323 საქმიწსახკომის ტერიტ. ორგანიზაციის **სექტორი.**

ქ. ტფილისის გაერთ. სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი **6. ი. იზორია** ამით აცხადებს, რომ 1934 წ. 15 იანვარს დღის 2 საათზე ქ. ტფილისში კ. ცეტკინის ქუჩაზე № 153 სახლში

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

არტელ „სტროიკომპი“-ს ქონებას: 2400 დიდ და 1000 პატარა ფანჯრის ჩარჩოებს. ქონება შეფასებულია 5300 მან. და გაიყიდება „საქმკერავტრესტის“ პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად სახ. არბიტრაჟის 1933 წ. 22/VI № 449-ით გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა.
315 სასამართლოს აღმასრ. **იზორია.**

იხსნება ახალი ჯგუფები

პოლიგრაფიული მრეწველობის საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში

სკოლაში მისაღებათ საჭიროა მოწმობები: 1) განათლების, 2) სოციალური მდგომარეობის, 3) წლოვანების 4) ჯანმრთელობის და 5) მშობლების საარჩევნო ხმის შესახებ.

მოწაფეთათვის სკოლას აქვს: იაფფასიანი სასადილო, სადალაქო, ფეხსაცმელების შესაკეთებელი სახელოსნო და სხვა.

მოწაფეები იქნებიან მუშის მომარაგებაზე და მიიღებენ თვიურ ფულად დახმარებას 30-დან 60 მანეთამდე.

სკოლა დამთავრებულთ წარმოებაში გადასვლის შემდეგ შეუძლიათ იარონ მუშათა განათლების კომბინატში და მიიღონ საშუალო განათლება წარმოებიდან მოუწყვეტლად.

განცხადებების მიღება წარმოებს 8 საათ.-დან 4 საათამდე, ქ. ტფილისში, წერეთლის (ყოფილი განოვის) ქ. № 3.

სწავლა დაიწყება ა/წ. 1-ლ თებერვლიდან.
305 **სკოლის დირექცია.**

ექიმი
3. ფ. ომიაძე
ქირურგიული სნეულებანი
იღებს საღ. 5—7 საათამდე.
მისამართი—გრიბოედოვის ქ. № 1 4 5

დაკარგულია

მკერავტრესტის ავტო-ტრანსპორტის № 20—94, 20—93, 20—86 და 24—47 სატვირთო მანქანების პასპორტები, რაც ჩაითვალოს გაუქმებულად.
284 **მკერავტრესტი.**

თანახმად სათანადო ორგანოების დადგენილებისა 1934 წლის იანვრის 5-დან

მიმდინარეობს ანასეულის ჩაის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევო **ინსტიტუტის მუშკოოპის**

ლიკვიდაცია პრეტენზიების მიღება წარმოებს 20 იანვრამდე.
325 **ლიკვიდკომი.**

[illegible]

სამხედრო წიგნაკები
ამროსი ხაჩიძის. მალხაზ ოდიშერიძის. იასონ პაპუნაშვილის. პეტრე გოგოლაშვილის.

კოოპერატიული
ნიკო წიკლაურის. გიორგი თოქმაჯევის 381.

სხვა და სხვა
პარტმანდატი №/0857621 და პარტიზანობის მანდატი № 2199/199 ალექსანდრე სვანიძის პენსიის წიგნაკი № 1934. ანნა ახვლედიანის 7 წლედის დამთავრების დროებითი მოწმობა № 280 ვარლამ დანელიასი. № 2

ძმები: დიმიტრი, ილარიონი, ვასილი, დები: ოლღა, ანეტა, ევდოკია ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი ძმის
ვასილი გიორგის-ძე ხახუტაშვილის
გარდაცვალებას.

დამწუხრებული ცოლის ძმა ალექსანდრე ცოლ-შვილით ვალენტინა და თინა ტატაძეები იუწყებიან დაუვიწყარი სიძის
კალისტატე ნანიტაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ხარაგოულში სოფელ ბაზალეთში 13 იანვარს. 319

სამუდამოდ გაუბედურებულნი მშობლები ცუცა, კოლია ლორთქიფანიძეები შვილებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს უსაყვარლესი შვილის
კოლია (ბუჩუჩა) ლორთქიფანიძის
ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება 14 იანვარს სამტრედიაში. გამოსვენება წერეთლის ქ. № 152. 2—2 289

ქეთევან ლილუაშვილი-აბაკელისა შვილით მადლობას უძღვნის ნათესავ-მეგობრებს, ნაცნობებს და „სამტრესტის“ თანამშრომლებს, რომლებმაც პატივი სცეს მათი საყვარელი მეუღლისა და მამის
ივანე გიორგის-ძე ახალაძის
ხსოვნას. 318

მეუღლე ეკატერინე, შვილები: ნინა, გიორგი, ნიკოლოზი, ლევანი, რძლები: მარიამი და ნინა მწუხარებით იუწყებიან
ვასილი გიორგის-ძე ხახუტაშვილის
გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს, 6 ს. გამოსვენება 13 იანვარს, 5 ს. შროშის ქ. № 5. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

სოფ. მიროწმიდაში გარდაიცვალა
სამუილ გრიგოლის-ძე დევდარიანი
რასაც იუწყებიან მეუღლე ეკატერინე, შვილები: მამიკო, აკაკი, და სონია კაკაბაძისა, ძმა გიორგი დევდარიანი, რძლები: ევა, ალექსანდრა, სიძე სიმონ მდივანი და შვილის-შვილი ავთანდილი. 312

ვასილი და ოლღა გიორგაძეები მწუხარებას გამოსთქვამენ მათთვის დაუვიწყარი
ქეთო კენჭიაშვილი-ჩუბინიძის
გარდაცვალების გამო. 302

ექ. ანდრო ცხადაძე ცოლით—გულით მწუხარებას გამოსთქვამს საყვარელი ბიძაშვილის, დედის ერთადერთი ნუგეშის
ნათელა შოთაძის
უდროოდ დაკარგვის გამო. ნ. 568

საქმარაგსალების დირექცია და თანამშრომლები აუწყებენ საზოგადოებას თანამშრ.
მარიამი (ფენია) გურგენიძის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 6 საათზე. გამოსვენება 14 იანვარს 5 საათზე, ბინიდან საზანოვის მე-3 ჩიხი № 13. 321

ნიკო და პატარა გურამი ჩუბინიძე იუწყებიან პირველის მეუღლისა და მეორის საყვარელი დედის
ქეთო ჩუბინიძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 2 საათზე, არსენალის № 31. 326

დამწუხრებული დედა ივლიანე, და ნინა გურგენიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი იმედი
ფენია გიორგის-ასული გურგენიძე
დაკრძალვა 14 იანვარს, ვერის სასაფლაოზე, სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე, 6 ს. საზანოვის მესამე ჩიხი № 13. 314

დამწუხრებული მამიდა ელენიჩკა, ბიძა კოწია ქუთათელაძე, ბიძა დათიკო ცოლშვილით, მამიდა ან ჩკა ლორთქიფანიძე აუწყებენ ნათესავებს მათთვის საყვარელი
ბუჩუნა ლორთქიფანიძის
ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება სამტრედიაში 14 იანვარს. 290

სახ. ბანკის სამტრედიის განყოფილების თანამშრომლები ვიზიარებთ ამხ. ე დაწყეტებულის თანამშრომლის ცუცა ლორთქიფანიძის მწუხარებას მისი საყვარელი ვაჟის
ბუჩუნა ლორთქიფანიძის
ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. 309

დამწუხრებული მეუღლე მალვა პატარა გივით, მშობლები კოლია, ტერეზია, მეულები: ნატაშა, თამრო. ვარა იუწყებიან, რომ 21 იანვარს, ს. საინისოების სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი საყვარელი
ელენე ზაქარიას ასულ ჩიტაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 328

მწუხარებაში მყოფი შვილები: გალაქტიონი, იპოლიტე და იუსტინე ფილიპეს-ძე ყაველაშვილები ოჯახებით, ქალიშვილი ოლიმპიადა ქმრით და შვილებით იუწყებიან მამის
ფილიპე გიორგის-ძე ყაველაშვილის
გარდაცვალებას. დასაფლავება 13 იანვარს, ს. ხიდისთავში, ქიათურის რ. 324

დამწუხრებული მშობლები: იონა და ეშანა, და ეთერი, ბიძა კოსტა გედენიძე, ბაბუა პროკოფი, ბებია მარო ძნელაძე იუწყებიან საყვარელი პატარა
ბ უ ლ ი კ ო ს
გარდაცვალებას. გამოსვენება 13 იანვარს, 4 ს. მალაკნის ქ. 54. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 308

დამწუხრებულნი ძმები: გიორგი, იოსები, ვანო; რძლები: ოლია, ნინო შვილებით: ნათელა, შურა, თემიკო კენჭიაშვილები იუწყებიან დაუვიწყარი
ქეთო კენჭიაშვილი-ჩუბინიძის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 12 იანვარს 3 ს. კუკიის სასაფლაოზე. არსენალის გზატკეცილი 31. 297

დამწუხრებული მეუღლე ფარნაოზი შვილებით აუწყებს ნათესავ-მეგობრებს
ოლღა გიორგის-ას. კანდელაკის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 13 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ბათუმის ქ. № 30. 310

დამწუხრებული შვილები: გოგი, მიტო და მათიკო ფავლენიშვილები, რძლები: ვარვარა, მერი, სიძე სანდრო საგინაშვილი იუწყებიან დაუვიწყარი დედის
ეფემია ალექსანდრეს-ასულ ფავლენიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 13 იანვარს, 4 საათზე. ვარახსხევის ქ. № 9, დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 307

სამედიცინო ინსტიტუტის მე-5 კურსის სტუდენტები: დ. კომახიძე, ბ. ჩხაიძე, ბ. სალაკაია, შ. დარჯანია, გ. ფანცულაია, ვ. ჯულაძე, გ. შავთათაძე, გრ. ბრეგვაძე, პ. ცხვედაძე, ზ. ვაშაკიძე იუწყებიან, რომ ს. ონოლიაში 13 იანვარს შედგება სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელი ამხანაგის
დათიკო ხალაჟაიას
ხსოვნის აღსანიშნავად. 320

დამწუხრებული მშობლები: თედო და ანიჩკა, მამიდა მარო, ბიძა დავით კურტანიძე, დეიდა ქეთო ქმრით ნიკოლოზ ელბაქიძე, სონა და ილიკო ზერიკიძეები დაუვიწყარი სიცოცხლით სავსე პატარა
ლეილა კურტანიძის
უდროოდ დაკარგვას. 322

უახლოესი მეზობლები და მეგობრები მცხოვრებნი მსროლელთა ქუჩა № 13-ში ვუწყებთ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობით გარდაიცვალა
კატო (ბაბო) ჟენია
დაკრძალვა მოხდება 13 იანვარს 4 საათზე. გამოსვენება ბინიდან მსროლელთა ქუჩა 13.
311

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. №68

მთავლიტის რწმუნებული ა 1550